**მასწავლებლის წიგნი**

ინა იმედაშვილი
თინათინ კუხიანიძე
მარინა ბედოშვილი
ნინო გორდელაძე

# ქართული 2

## ენა და ლიტერატურა



სულაკაურის
გამომცემლობა

**ქართული ენა და ლიტერატურა 2**
მასწავლებლის წიგნი

ავტორები: **ინა იმედაშვილი, თინათინ კუხიანიძე, მარინა ბედოშვილი, ნინო გორდელაძე**
რედაქტორები: **ოლანი ბიწაძე, თეონა ბექიშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ილუსტრატორები: **ია მახათაძე, ნანა მელქაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**
აუდიომასალა მომზადებულია **„საავტორო სტუდიაში“ დავით ხოსიტაშვილისა** და
**ნინო ჯანჯღავას** მიერ. ახმოვანებს **ნინო ვანელი.**
საშობაო სიმღერის ვერსიის ავტორი ჯგუფი **„სტუმარი”**

პირველი გამოცემა, 2023
© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

**Georgian 2**
Student's book

© Sulakauri Publishing, 2023
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# სარჩევი

შესავალი.....5
სახელმძღვანელოს აგების პრინციპები.....6
დეტალური კომენტარები სახელმძღვანელოს თითოეულ სტრუქტურულ ელემენტთან (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) დაკავშირებით და მათი გამოყენების წესი..... 12
ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე..... 33
რეკომენდაციები მატრიცებამდე..... 38
თავი 1 – სკოლა..... 39
თავი 2 – ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით..... 58
თავი 3 – დღესასწაულები და საჩუქრები..... 70
თავი 4 – მე და ჩემი ოჯახი..... 81
თავი 5 – ამბები გვასწავლიან..... 91
თავი 6 – ჩვენ და ბუნება..... 105
თავი 7 – ჩემი სამშობლო..... 120
დამატებითი საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო ჩამონათვალი..... 133
რესურსი 1. ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)..... 134
სიტყვების რუკა..... 135
სიტყვების აბლაბუდა..... 136
გააცოცხლე წარმოსახვა..... 137
რესურსი 2. თხრობის რუკა..... 138
რესურსი 3. კითხვის სტრატეგიები..... 140
რესურსი 4. წესების ხის შაბლონები..... 141
რესურსი 5. მოსასმენი ტექსტები..... 142
რესურსი 6: ვენის დიაგრამა..... 160
რესურსი 7: ასოების წერა ახალ ბადეზე..... 161

**ძვირფასო მასწავლებლებო,**

თქვენ წინაშეა მეორე კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კარგად გააზრებული კურსი, რომელზე მუშაობის პროცესშიც შესაძლებლობა გვქონდა, ჩვენ მიერ შედგენილი მასალა შეგვემოწმებინა საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. ამიტომ თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საგნის ნებისმიერ მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოარგოს ეს წიგნი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ავტორებისა და პედაგოგების საერთო მიზანია, შევაყვაროთ მოსწავლეებს მშობლიური ენა, გავუღვივოთ ინტერესი ენისა და ლიტერატურისადმი, გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები და ინიციატორები. ჩვენ შევეცადეთ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სამყარო წარმოგვეჩინა მოსწავლეებისთვის საინტერესო კუთხით, მიგვეწოდებინა მათთვის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები, საინტერესო მასალა, რომელიც გაუზრდის ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს საგნისადმი; **განსაკუთრებულსა და დასამახსოვრებელს გახდის თითოეულ გაკვეთილს**. ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ფორმირებას.

ჩვენ ასევე კარგად გვესმის, რომ დღევანდელი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება, იზრუნოს არა მხოლოდ ეკონომიკურ წინსვლაზე, არამედ დემოკრატიული საზოგადოების შექმნასა თუ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და დავალებები შესანიშნავ საშუალებას იძლევა, მეორე კლასის მოსწავლეებს განუვითაროს აზროვნება თითოეული მიმართულებით; ყურადღება გაამახვილებინოს ტოლერანტობაზე, კაცთმოყვარეობაზე, საკუთარი მოვალეობების შეგნებაზე და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ჩვენ ასევე შევეცადეთ თქვენთვის საინტერესო და მრავალფეროვანი გზამკვლევი მოგვემზადებინა. დავიწყოთ მოსწავლის წიგნისა და რვეულის გაცნობით.

სახელმძღვანელო შვიდი თავისგან შედგება.
**ვნახოთ სარჩევი და სტრუქტურული ერთეულების მოკლე მიმოხილვა.**

# მოსწავლის კომპონენტების სარჩევი


| თავი | კითხვა | ამოკითხვა | მოსმენა | ლექსიკა |
|---|---|---|---|---|
| თავი 1<br>**სკოლა**<br>3 | სკოლისაკენ<br>ჰერი, ჰერი! 4<br>კეთილი<br>სანდალა 6<br>მეც მინდა სკოლაში<br>დასაწყისი ...(1) 8<br>ბუნების<br>გაკვეთილზე (4)... 12<br>დასასრული...(7) 18<br>სკოლაში 20<br>გიორგი სკოლაში 21<br>ჩხუბს<br>თავლაფიანობა მოსდევს 23<br>სიმღერა წიგნზე 24 | გაკვეთილების<br>ცხრილი და<br>დრო 5<br>სიტყვების<br>გამომძიებელი 17 | მეც მინდა<br>სკოლაში<br>პირველი<br>გაკვეთილი (2)...<br>9<br>ჩხუბი (3)...<br>11<br>დიდი დასვენება<br>და სპორტის<br>გაკვეთილი (5)...<br>14<br>კითხვის<br>გაკვეთილი (6)...<br>16 | სიტყვების<br>ყუთი 13 |
| თავი 2<br>**ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით**<br>27 | კეთილი ამხანაგები 28<br>ყვავი და გვირილები<br>გივი ჭიჭინაძე 30<br>შვიდფერა ყვავილი<br>დასაწყისი (1)... 32<br>პირველი სურვილი (2)... 33<br>ანას ბოლო<br>სურვილი ...(4) 35<br>ვინ რა ინატრა 37<br>პატარა მსახიობები 39<br>ფანქრების ყუთი 42<br>პაპა 44 | გაფუჭებული<br>ტელეფონი 43 | ჩვენ ყველანი<br>განვსხვავდებით<br>და ეს ძალიან<br>კარგია 38<br>შვიდფერა<br>ყვავილი<br>ანას სხვადასხვა<br>სურვილი (3)... 34 | სიტყვებზე<br>დაკვირვება 31 |
| თავი 3<br>**დღესასწაულები და საჩუქრები**<br>47 | რატომ გვიყვარს შემოდგომა 48<br>დიდედები და შვილიშვილები<br>ნაწილი (1)... 49<br>ნაწილი (2)... 50<br>ოქროსფერი შემოდგომა 52<br>დღესასწაულები 52<br>საჩუქრები, საჩუქრები... 53<br>ალი და აისელი 53<br>როგორ მაჩუქეს ოთახი<br>ნაწილი (1)... 54<br>ნაწილი (2)... 55<br>ნაწილი ...(3) 56<br>დათიკოსა და ნანას<br>საახალწლო საჩუქრები<br>ნაწილი (1)... 59<br>ნაწილი ...(2) 60<br>როგორ მოიპარა<br>გრინჩმა შობა 64<br>სათაგური<br>ნაწილი (1)... 66<br>ნაწილი (2)... 68<br>ნაწილი ...(3) 70 | | შობა 62<br>ალილო 63 | სიტყვების<br>გამოგონება69 |

განკუთვნილის უფრო მეტად უფროსებისთვის, მოსწავლის წიგნსა და რვეულში საორიენტაციოდ.

* შენიშვნა: მოსწავლის წიგნის და რვეულის გვერდები ერთმანეთს მიყვება.


| ენა | თეორია | წერა | თამაში | კომპლექსური დავალება |
|---|---|---|---|---|
| წინადადება 10<br>სასვენი ნიშნები 15 | თემა 19 | დასაწყისი და დასასრული 7 | კითხვების ლაბირინთი 22 | წესების ხე 25<br>კითხვარი 26 |
| როგორი? 29 | ნამდვილი და ზღაპრული ამბავი 36<br>პერსონაჟი 41 | | ვინ ვარ მე? 40 | ხელების ყვავილი 45<br>კითხვარი 46 |
| დიალოგი 51 | აღწერა 57<br>პიესა 67 | მოსაწვევი 71 | მსახიობობანა 61 | ჩრდილების თეატრი 72<br>კითხვარი 74 |

# მოსწავლის კომპონენტების სარჩევი


| | კითხვა | ამოკითხვა | მოსმენა | ლექსიკა |
|---|---|---|---|---|
| 4 თავი<br>**მე და ჩემი ოჯახი**<br>75 | დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა<br>ნაწილი (1)... 76<br>ნაწილი (2)... 78<br>მაგდანას ლურჯა 80<br>ცხოვრება ძველად 82<br>ელენე და ნიკო 83<br>პიტერ პენი<br>ნაწილი (1)... 85<br>ნაწილი ...(2) 86<br>გულკეთილი ბიჭუნა 89<br>მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო<br>ნაწილი (1)... 90<br>ნაწილი (2)... 91<br>ნაწილი ...(4) 94<br>ზურიკო და პაპა<br>ნინო ნაკაშიძე 97<br>ძალა ერთობაშია 98 | ინსტრუქცია 95 | დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა<br>ნაწილი ...(3) 79<br>მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო<br>ნაწილი (3)... 93 | სიტყვების შეერთება 87 |
| 5 თავი<br>**ამბები გვასწავლიან**<br>101 | ჭრიჭინა და ჭიანჭველა<br>ნაწილი (1)... 102<br>ნაწილი ...(2) 103<br>მელა და ყვავი 104<br>ქორი და იხვი 105<br>ძაღლი და ძროხა 107<br>ცრუპენტელა 08<br>მამლის ქურდი 110<br>ლომი და თაგვი 111<br>მკვეხარა მამალი 114<br>მებადურის შვილი 116<br>წიგნები და დამწერლობა 120<br>ხელნაკეთი ქაღალდი 121<br>ბიბლიოთეკართან 122<br>ქარი და მზე 124 | | | მსგავსი და საპირისპირო შინაარსის სიტყვები 112<br>კითხვის დასმა 123 |

განკუთვნილის უფრო მეტად უფროსებისთვის, მოსწავლის წიგნსა და რვეულში საორიენტაციოდ.

* შენიშვნა: მოსწავლის წიგნის და რვეულის გვერდები ერთმანეთს მიყვება.


| ენა | თეორია | წერა | თამაში | კომპლექსური დავალება |
|---|---|---|---|---|
| ერთი და ბევრი 84<br>მე 96 | | განცხადება დაკარგულ ნივთზე 77<br>დღიური 92 | ვყვებით სასაცილო ამბავს 88 | მე რომ ვიყო... 99<br>კითხვარი 100 |
| ადრე, ახლა, მერე 115 | ლექსიკონი 106<br>იგავ-არაკი 109<br>გამოცანა 113 | | ამოხსენი თავსატეხები მინიშნებებით 118<br>მეფე და მხატვარი 119 | ჩემი ხელნაკეთი წიგნი 125<br>კითხვარი 128 |

# მოსწავლის კომპონენტების სარჩევი


| | კითხვა | | ამოკითხვა | | მოსმენა | | ლექსიკა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თავი 6<br>ჩვენ და ბუნება<br>129 | დაწერე ამბავი | 129 | ნიშნები | 147 | ია ყინულებში<br>ნაწილი (2)... | 136 | |
| | ტყე და მისი სიმშვენიერე<br>ნაწილი (1)... | 130 | | | ქეთუნა და ჩიტი<br>ნაწილი ...(3) | 144 | |
| | ნაწილი ...(2) | 132 | | | გასეირნება ზოოპარკში | 146 | |
| | საგაზაფხულო | 134 | | | მოგზაური მაიმუნები | 150 | |
| | ია ყინულებში<br>ნაწილი (1)... | 135 | | | | | |
| | ნაწილი ...(3) | 138 | | | | | |
| | ახალი სიცოცხლე | 139 | | | | | |
| | ყმაწვილი და პეპელა | 140 | | | | | |
| | ქეთუნა და ჩიტი<br>ნაწილი (1)... | 142 | | | | | |
| | ნაწილი (2)... | 143 | | | | | |
| | ზოოპარკი | 148 | | | | | |
| | ზოოპარკი | 149 | | | | | |
| | ტყის შვილები | 152 | | | | | |
| | კინოში წასვლა | 154 | | | | | |
| | სიზარმაცე თუ მოხერხება? | 155 | | | | | |
| | მოხუცი და მსხლის ნერგი | 160 | | | | | |
| თავი 7<br>ჩემი სამშობლო<br>165 | ვანო და ქალაქი | 164 | რუკა | 178 | ვაფლის გულები<br>ნოეს ნავი (2)... | 170 | |
| | დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა<br>დაგვიანებული არდადეგები (1)... | 166 | | | ლენასა და თრილეს კიდობანი ...(3) | 171 | |
| | დაგვიანებული არდადეგები ...(2) | 167 | | | ნაწყვეტები ძველი ფილმებიდან<br>იმერული ესკიზები | 172 | |
| | ვაფლის გულები<br>მე და ლენა (1)... | 168 | | | არდადეგებზე | 173 | |
| | თეასა და ნათიას არდადეგები<br>ნაწილი (1)... | 174 | | | | | |
| | ნაწილი ...(2) | 176 | | | | | |
| | სიმღერა საქართველოზე | 182 | | | | | |
| | გიდის რჩევები | 184 | | | | | |

განკუთვნილის უფრო მეტად უფროსებისთვის, მოსწავლის წიგნსა და რვეულში საორიენტაციოდ.

* შენიშვნა: მოსწავლის წიგნის და რვეულის გვერდები ერთმანეთს მიყვება.

| ენა | თეორია | წერა | თამაში | კომპლექსური დავალება |
|---|---|---|---|---|
| | შედარება 137<br>ლოგო 156 | ინსტრუქცია 147<br>პოსტერი 157<br>სიტყვით გამოსვლის გეგმა 151 | შეავსე ტესტი 158 | მწვანე აქცია 161<br>კითხვარი 162 |
| | ჩანახატი 169 | მოკლე შეტყობინება 180<br>წერილი 181<br>როგორ დავწერო ლექსი 183 | | მოგზაურის ჩანახატები 186 |

ვნახოთ, როგორა არის წარმოდგენილი თითოეული სტრუქტურული ერთეული **მოსწავლის წიგნსა და რვეულში.** ***მოსწავლის წიგნის ერთ გვერდს რვეულშიც ერთი გვერდი შეესაბამება.**

## 1. თავის გახსნა

თემის ილუსტრაცია, რომელზეც მასწავლებელი სვამს კითხვებს და მოსწავლეები საუბრობენ.




წინასწარი შეკითხვები თემის შესავლისთვის.




**მოსასმენი ტექსტი,** რომელიც დატანილია კოდის ქვეშ. ტექსტში მოკლედ და სახალისოდ არის ახსნილი, რას გააკეთებენ მოსწავლეები ამ თავის განმავლობაში. აქვეა მოცემული კომპლექსური დავალების პირობაც.
* მოსასმენი ტექსტები დანართის სახითაც ახლავს მასწავლებლის წიგნს.

# თავის გახსნა

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში


მოსმენა

ერთი დღე წესების გარეშე

1

1 დააკვირდი სურათს. რაც არ მოგწონს, შემოხაზე ფანქრით.

2 დაასრულე წინადადებები:

ა. კლასში კარგად რომ ვიგრძნოთ თავი და სწავლაში ხელი არ შეგვეშალოს, საჭიროა საკლასო

ბ. ასევე აუცილებელია ამ წესების

3


მოსმენა

ჩემი სამშობლო

7

1 დაწერე შენი გეგმა, რისი გაკეთება ან სწავლა გინდა ზაფხულის არდადეგებზე.

165

დავალებების სირთულე წიგნის დასაწყისსა და წიგნის ბოლოში.

## 2. კითხვა

წიგნში თავმოყრილია ქართული და თარგმნილი საბავშვო ლიტერატურის შედევრები: **მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი, ლექსი, კომიქსი, პიესა, ენციკლოპედიური ტექსტი თუ სხვა.** აქვეა ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე დაწერილი **ინსტრუქციები, რჩევები და რეცეპტები.**
ტექსტები სტანდარტის სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. ახლავს ლექსიკონი და გაფორმებულია შთამბეჭდავი ილუსტრაციებით.







სავარჯიშოების ნაწილში კი მოცემულია როგორც ტექსტის გააზრებასთან, ასევე საკუთარ გამოცდილებასთან დასაკავშირებელი აქტივობები.









# კითხვა

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში















# 3. ამოკითხვა

ასეთი სახელი დავარქვით სტრუქტურულ ერთეულს, რომლის ამოცანაც არა დაწერილი ან დახატული ამბის, არამედ სხვაგვარად მოწესრიგებული ტექსტის ამოკითხვაა. იქნება ეს ცხრილი, რუკა, პირობითი ნიშანი, გამოტოვებული სიტყვა თუ სხვა.



მოსწავლეები აქაც ბევრს მსჯელობენ, რამდენად სწორად ამოიკითხეს ესა თუ ის ინფორმაცია.







# ამოკითხვა

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში



## 4. მოსმენა

ამ რუბრიკაში გვხვდება ამა თუ იმ ტექსტის გაგრძელებები, ახალი ამბები, სიმღერა ან საყურებელი მასალა. დავალებების ნაწილში კი მოცემულია მოსმენილის გააზრებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა.

მოსასმენი და საყურებელი მასალა დატანილია კოდის ქვეშ.

* მოსასმენი ტექსტები დანართის სახითაც ახლავს მასწავლებლის წიგნს. საყურებელი მასალა კი ლინკის სახითაც არის ჩასმული.



# მოსმენა

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში



## 5. ლექსიკა

სიტყვების განმარტების გარდა, მოსწავლის წიგნსა და რვეულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსიკაზე მუშაობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სიტყვის განმარტებისა თუ კონტექსტში სწორად გამოყენების გარდა, მოსწავლეებმა შეძლონ სიტყვების სტრუქტურაზე დაკვირვება, მათი განაწილება სხვადასხვა თემის მიხედვით, ახალი სიტყვების მოფიქრება, თუ სხვა, ამ ასაკისთვის შესაფერისი, სახალისო აქტივობების შესრულება.









# ლექსიკა

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში









# 6. ენა

ასე ვუწოდეთ გრამატიკის საკითხებს. ამ ნაწილში კარგად ჩანს, რომ აღმოჩენებით სწავლება ამ სახელმძღვანელოს მთავარი იდეაა. უკვე შესწავლილი ნაწარმოების ეპიზოდებზე დაკვირვებით და კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები აღმოაჩენენ იმ კანონზომიერებებს, რომლებიც შემდეგ წერილობით ჩამოყალიბებულია რუბრიკაში: „მე ვისწავლე“.






# ენა

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში

რასაკვირველია, წიგნსა და რვეულში არ ვახსენებთ გრამატიკულ ტერმინებს.









## 7. თეორია

ამ ნაწილშიც კარგად ჩანს აღმოჩენებით სწავლების პრინციპი. უკვე შესწავლილი ნაწარმოების ეპიზოდებზე დაკვირვებითა და კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები იღებენ ცოდნას, რომელიც შემდეგ მოკლედ ჩამოყალიბებულია რუბრიკაში: „მე ვისწავლე“.












# თეორია

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში









# 8. წერა

სტანდარტით გათვალისწინებული წერის მოდელები მოცემულია მოსწავლის წიგნში. ამ მოდელის მიხედვით დავალების შესრულება კი მოსწავლის რვეულშია გათვალისწინებული.












# წერა

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში












# 9. თამაში

წიგნის თავები კიდევ უფრო სახალისო რომ გამოსულიყო, თემატური თამაშებიც დავამატეთ, რომლებიც **აღმოჩენებით სწავლებაზეა დაფუძნებული.** თამაშების შემოტანის მეორე მიზანი კი **ინსტრუქციების გაგებაზე ორიენტირებაა.**

მაგალითად, **პირველ თავში, სკოლის თემაში** სწავლასა და სასკოლო გარემოსთან დაკავშირებული კითხვებია, რაც მთავარია, მოსწავლის თვალით დანახული.




მეორე თავში – **ჩვენ ერთმანეთისაგან განვსხვავდებით** – მოცემული თამაში მიზნად ისახავს, ბავშვებმა წარმოიდგინონ, ვინ როგორია და მიიღონ ერთმანეთი ისეთები, როგორებიც არიან.

**მეექვსე თავში** კი – **ჩვენ და ბუნება** – სახალისო **ტესტი** უნდა შეავსონ, რომლის შემდეგაც აღმოაჩინენ, არიან თუ არა ბუნების მეგობრები.






# თამაში

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში


თამაში
კითხვების ლაბირინთი

1 ამოიწერე შეკითხვა, რომელიც თამაშის დროს შეგხვდა.

2 ჩაწერე შენი პასუხი.


თამაში
ვინ ვარ მე?

1 დაწერე სახელი, რომელიც ფურცელზე ამოიკითხე.

2 ახლა აღწერე ეს ადამიანი. როგორია ის?


თამაში
ბუნების მეგობარი

1 რომელია ბუნების მეგობარი? დაასაბუთე შენი პასუხი.

## 10. კომპლექსური დავალება

თავის დასასრულს მოსწავლეები ასრულებენ კომპლექსურ დავალებას. კომპლექსური დავალება არ არის განცალკევებული, არამედ შესაბამის თავში შესული თითოეული სტრუქტურული ერთეული, თითოეული დავალება მოსწავლეს ნაბიჯ-ნაბიჯ ასწავლის და ამუშავებს იმ უნარ-ჩვევებზე, აწვდის იმ ინფორმაციას, რომლებიც კომპლექსური დავალების შესრულებისთვის დასჭირდება.






# კომპლექსური დავალება

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში

მოსწავლის წიგნიდან და რვეულიდან ნიმუშად მოცემულია მესამე და მეშვიდე თავის კომპლექსური დავალებები.






# 11. თვითშეფასების კითხვარი

ყოველი თავის ბოლოს მოსწავლემ ამ თავში შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ თვითშეფასების კითხვებსაც უნდა უპასუხოს. კითხვებს ჯერ კლასში დასვამენ და ხმამაღლა უპასუხებენ. შემდეგ რვეულში აღნიშნავენ თავიანთ პასუხებს. მთავარი, რასაც ეს კითხვარი აჩვენებს, იმ უნარების გამოკვეთაა, რომლებიც მოსწავლეებს უკვე აქვთ ან მომავალში უნდა გამოიმუშაონ. კითხვებს გულწრფელად უნდა უპასუხონ, რათა ეს ყველაფერი თავად გაიაზრონ.

**თქვენი როლი კი პასუხების განხილვისას ძალიან დიდია:** მოსწავლეებს უნდა დააჯეროთ, რომ დასამალი არაფერია, რომ ნებისმიერ ადამიანს გამოსდის რაღაც კარგად და რაღაც – ნაკლებად კარგად; რომ მთავარია, სიმართლის აღიარება შევძლოთ. ადამიანის განვითარება მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველაფრის სწავლა შესაძლებელია! თქვენ კი ამაში ეხმარებით.







როგორც ხედავთ, სახელმძღვანელოს მრავალფეროვანი და საინტერესო სტრუქტურა აქვს. მუშაობის პროცესში ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწეული იქნება ყველა ის მიზანი, რომელიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული.

**საინტერესო და შედეგიან სასწავლო წელს გისურვებთ!**

# ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე

## შესავალი

ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში) ისწავლება სავალდებულო კურსის სახით.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია საგნის გრძელვადიანი **მიზნები.**

სტანდარტის **შინაარსი**წარმოდგენილია ქვეცნებებისა და თემატური ჩარჩოს სახით, რომლებზე დაფუძნებითაც ჩამოყალიბდება კონკრეტული სასწავლო საკითხები.

**სტანდარტს ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები**. ისინი დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში ამა თუ იმ თემის შესწავლისას. ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

### I-IV კლასების სტანდარტი

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს. მაგ.,**ქართ. დაწყ.(I).1**

**„ქართ.“**– მიუთითებს საგანს „ქართულიენადალიტერატურა“;
**„დაწყ.(I).”**– მიუთითებს **I-IV**კლასების სტანდარტს;
**„1“**– მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

| ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები) | | |
|---|---|---|
| შედეგების ინდექსი | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | სამიზნე ცნებები |
| ქართ.დაწყ.(I). 1 | სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების მიზნით. | **ტექსტი**<br>(შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5) |
| ქართ.დაწყ.(I). 2 | განაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის. | **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)**<br>(შედეგები: (I).4, 5, 6) |
| ქართ.დაწყ.(I).3 | საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტის (მაგ., პერსონაჟის ქცევის) შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით. | **გრამატიკა (პრაქტიკული)**<br>(შედეგები: (I).5, 6) |
| ქართ.დაწყ.(I).4 | სტრატეგიების გამოყენებით, მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულზე რეაგირების, ამბის გადმოცემის). | **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასისთვის)**<br>(შედეგები: (I) 2, 4, 6) |
| ქართ.დაწყ.(I).5 | ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., წაკითხულის გაგება-გააზრებისას, ახალი ტექსტის შედგენისას). | **დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის)**<br>(შედეგები: (I). 2,4,6) |
| ქართ.დაწყ.(I).6 | ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება. | |

**თემატური ჩარჩო**

სასწავლო თემები უნდაუკავშირდებოდეს შემდეგ თემატიკას:

- თანატოლების ცხოვრება, სურვილები, ოცნებები, ფანტაზიები;
- თამაში, გართობა, სპორტი, დღესასწაულები;
- ოჯახი/სახლი; ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის;
- სკოლა; სწავლა-აღზრდა;
- ფასეულობები (მაგ., ზრუნვა, თანაგანცდა, სიკეთე და ბოროტება);
- ბუნება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა;
- სამშობლო, მშობლიური კულტურა; კულტურული მრავალფეროვნება (მაგ., დღესასწაულები).

**საფეხურის საკვანძო შეკითხვები**

საფეხურის საკვანძო შეკითხვების საშუალებით გამოიკვეთება აქცენტები, რომლებზე ორიენტირებითაც უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

- როგორ გავიგო ტექსტი? როგორ შევადგინო ტექსტი? **(სამიზნე ცნება – ტექსტი)**
- როგორ შევარჩიო სიტყვები და წინადადებები სათქმელის გამოსახატავად? როგორ გავიმდიდრო სიტყვების მარაგი? **(სამიზნე ცნება -სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე))**
- როგორ ამოვაჩინო და გამოვიყენო გრამატიკის წესები? **(სამიზნე ცნება – გრამატიკა (პრაქტიკული)**

**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**

| სამიზნე ცნებები | ქვეცნებები |
|---|---|
| ტექსტი | **ჟანრი**<br>• *მხატვრული ჟანრები*<br>(მაგ., ზღაპარი, მოთხრობა, იგავი, თქმულება, ლექსი, კომიქსი, ჩანახატი);<br>• *არამხატვრული ჟანრები*<br>(მაგ., საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, საინფორმაციო-ყოფითი ტექსტი, წერილი, რეკლამა, საინსტრუქციო ტექსტი, პოსტერი, დღიური, რეპორტაჟი, ინტერვიუ);<br>• *მულტიმედიური ტექსტები*<br>(*მაგ.*, საბავშვო ფილმი (მხატვრული, ანიმაციური), საბავშვო სპექტაკლი, სიმღერა).<br><br>*სხვადასხვა ჟანრის ტექსტების:*<br>**შინაარსობრივი მხარე**<br>მაგალითად:<br>• თემა;<br>• მთავარი იდეა/დედააზრი;<br>• მთავარი და არამთავარი ინფორმაცია; დეტალი (არსებითი/ მნიშვნელოვანი, არაარსებითი);<br>• პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია<br>• ძირითადი საკითხი/პრობლემა;<br>• მხატვრული კონფლიქტი;<br>• სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);<br>• ეპიზოდი; დიალოგი;<br>• მოქმედების დრო და ადგილი;<br>• პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან;<br>• ავტორი, მთხრობელი;<br>• ხედვის კუთხე (ავტორის, პერსონაჟის). |

| | |
|---|---|
| | **ენობრივი მხარე**<br>მაგალითად:<br>• თემატური ლექსიკა;<br>• მხატვრული ხერხები/ტროპები (მაგ., ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა);<br>• წარმოებული სიტყვები (მაგ., მეპურე, ჯოხიანი);<br>• რთული სიტყვები (მაგ., ხელჯოხიანი, თავქუდმოგლეჯილი, და-ძმა);<br>• მარტივი ფრაზეოლოგიზმები;<br>• სიტყვათა სემანტიკური კავშირები (სინონიმები, ანტონიმები, ლექსიკური ბუდეები).<br><br>**სტრუქტურა/აგებულება**<br>მაგალითად:<br>• *ტექსტისმაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბალური) ელემენტები* – სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა.<br>• *ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი (არავერბალური) ელემენტები* -ილუსტრაცია, სქემა, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები – დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, მუქი შრიფტი, ხაზგასმა; ხმის ტემბრი, დინამიკა (აწევ-დაწევა); ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მიმიკა.<br>**სტრატეგია (ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირებისთვის)**<br>*მოსმენის სტრატეგიები* – მოსმენის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ)<br>*კითხვის სტრატეგიები* – კითხვის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ); განაფული კითხვის სტრატეგიები;<br>*ლექსიკის სწავლის სტრატეგიები*– სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით, სიტყვის აგებულებაზე დაკვირვება, ლექსიკონის გამოყენება, ლექსიკონის შედგენა, წინადადების შედგენა ახალი სიტყვ(ებ)ის გამოყენებით;<br>*წერის სტრატეგიები*– წერის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, წერის შემდეგ). |
| **სიტყვა, წინადადე-ბა, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** | **სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება**<br>მაგალითად:<br>• თხრობა – თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);<br>• აღწერა – აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები);<br>• შედარება – შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები)<br>• დასაბუთება – დასაბუთების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (მოსაზრება, ახსნა/ არგუმენტი, გამამყარებელი მაგალით(ებ)ი).<br><br>**სამეტყველო ქმედებათა განსახორციელებელი ენობრივი საშუალებები**<br>მაგალითად:<br>• დროითი მიმართებების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., ჯერ, უწინ, ადრე, შემდეგ, დასასრულ);<br>• მდებარეობის/სივრცეში ლოკალიზების, ნიშან-თვისებების; ზომის, ფორმის, ფერის, გემოს, სუნის/სურნელის, ტექსტურის, ტემპერატურის, რაოდენობის, შემადგენლობის/ მასალის; ფუნქცია-დანიშნულების, მსგავსება-განსხვავების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., შორის, მრგვალი, პრიალა, მჟავე; სხვანაირი, მსგავსი; ისეთივე, როგორიც და მისთ.);<br>• ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., იმიტომ, რომ, იმისთვის, რომ; რადგან).<br><br>**ტექსტის ერთეულები**<br>სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აბზაცი, ტექსტი, სათაური.<br><br>**საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლები**<br>მაგალითად:<br>• საკომუნიკაციო ამოცანა; კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი); კომუნიკაციისდრო, ადგილი.<br><br>**სამეტყველო ეტიკეტი**<br>• სასაუბრო ფორმები;<br>• თავაზიანი მეტყველების ფორმები. |

| | |
|---|---|
| **გრამატიკა (პრაქტიკული)** | **გრამატიკის საკითხები**<br>*ფუნქციურ კონტექსტებში წარმოჩენილი:*<br>• სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება და ფორმაცვალება (ბრუნება, უღლება, რიცხვის წარმოება, ფუძე);<br>• სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერის წესები;<br>• ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები;<br>• სიტყვაწარმოება;<br>• ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები;<br>• სხვადასხვა შინაარსის/მოდალობის წინადადებები (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი, კითხვა-ძახილის) და მათი შესაბამისი სასვენი ნიშნები;<br>• სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ორწერტილი, მრავალწერტილი, ბრჭყალები, დეფისი, ტირე, ფრჩხილები;<br>• სიტყვამონაცვლე კონტექსტებში ამოსავალი სიტყვის ჩანაცვლება ნაცვალსახელით, სინონიმური ლექსიკით;<br>• ზმნისწინები და მათი მეშვეობით გამოხატული ძირითადი მნიშვნელობები;<br><br>**მართლმეტყველება, მართლწერა**<br>• მართლწერისა და კალიგრაფიის ელემენტარული ნორმები;<br>• მართლმეტყველებისელემენტარული ნორმები;<br>• სიტყვის გადატანის წესები. |
| **წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა** (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის) | **სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი**<br>• სიტყვის ხმოვანი ხატი, ზეპირი მარცვალი, ბგერა;<br>• სიტყვის გრაფემული ხატი. |
| **დეკოდირება-კოდირება** (I კლასის საანბანო პერიოდისთვის) | **სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი**<br>• *დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი)* – ასო, მარცვალი;<br>• *ხმოვანი და თანხმოვანიბგერები.* |

## შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები

სტანდარტის შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

**ტექსტი (ჟანრები)** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- კონკრეტული ჟანრის ტექსტის გაგება, ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა;
- ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და შეუფერხებლად წაკითხვა;
- ნაცნობი ჟანრის მცირე ზომის ტექსტის (მაგ., წერილის) შექმნა ნასწავლი ლექსიკისა და ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით.

**სიტყვა, წინადადება, ტექსტი(სიტყვიდან ტექსტამდე)**(შედეგები: (I).4, 5, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით;
- მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა; სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვა.

**გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (I).5, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება;
- გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას;
- სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის) მართებულად გამოყენება;
- მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა;

**წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა** (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის) (შედეგები: (I) 2, 4, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- ბგერების/მარცვლების ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში;
- ბგერების/მარცვლების რაოდენობის განსაზღვრაწარმოთქმულ სიტყვაში/მარცვალში;
- მიმართებების ამოცნობა სიტყვის ხმოვან და გრაფემულ ხატებს შორის.

**დეკოდირება-კოდირება** (I კლასის საანბანო პერიოდისთვის)
(შედეგები: (I). 2, 4, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება;
- სიტყვების/წინადადებების წაკითხვა;
- ასოების, სიტყვების, წინადადებების დაწერა ბადიან რვეულში (კალიგრაფიის ელემენტარული ნორმების დაცვით).

## რეკომენდაციები მატრიცებამდე

- გირჩევთ, რომ ყურადღება მიაქციოთ: საკვანძო და გეზისმიმცემ შეკითხვებს, რომლებიც მიემართება ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პირობისეულს და პროცედურულს. კითხვებით საკითხის შეჯამება, ინტერესის აღძვრა, დავალების პროცედურების განსაზღვრა – საბოლოოდ საკითხების სიღრმისეული გაგების გარანტიას იძლევა.

- დანართების სახით წარმოდგენილია ის სქემები და სტრატეგიები, რომლებიც საგაკვეთილო პროცესში მუშაობისას დაგჭირდებათ. ჩვენ გადავწყვიტეთ, მასწავლებლისთვის მიგვეცა არჩევანის თავისუფლება, ამიტომ აქტივობებში კონკრეტული სტრატეგია არ მიგვითითებია, ამასთან ვაცნობიერებთ, რომ ყველა მასწავლებელი, ყველა მოსწავლე და ყველა კლასი ინდივიდუალურია, ამიტომ თავად შეარჩევთ და გადაწყვეტთ, რომელი სტრატეგია გამოიყენოთ, მაგალითად, კითხვის პროცესში. გარდა ამისა, აქ მოცემული აქტივობები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და მათი შესრულება აუცილებელი არაა.

- მნიშვნელოვანია, რომ თემის დასაწყისში ბავშვმა იცოდეს კომპლექსური დავალების პირობა, რათა თავადაც განსაზღვროს, რა გამოცდილება და ცოდნა დასჭირდება საბოლოოდ დავალების შესასრულებლად, გარდა ამისა, ასე უფრო მოტივირებული გახდება, მისი ქმედებები, გადაწყვეტილებები, სწავლება კი – ბევრად უფრო მიზანდასახული და პროდუქტიული. ასე რომ, სანამ თემაზე მუშაობას შეუდგებოდეთ, ბავშვებს კომპლექსურის პირობა აუცილებლად გააცანით და დარწმუნდით, რომ თქვენმა მოსწავლეებმა ის კარგად გაიგეს და გაიაზრეს.

- ჩვენ არ მიგვითითებია აქტივობისთვის საჭირო დრო, საათები, ესეც თქვენ უნდა განსაზღვროთ ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით, შესაძლოა, ზოგიერთ აქტივობას ერთი საათი ეყოს, ზოგი კი რამდენიმე საათზე განაწილდეს. სახელმძღვანელოში შეხვდებით ერთი ტექსტის რამდენიმე ნაწილს, რომლებიც ხშირად ერთი აქტივობის ქვეშ მოვაქციეთ, ცხადია, მათი ერთ გაკვეთილზე/ერთ საათზე დამუშავება ვერ მოხერხდება. უფრო თვალსაჩინო და მოსახერხებელი რომ ყოფილიყო, თითოეულ ტექსტზე მუშაობას „აქტივობა“ დავარქვით, ეს, ასე ვთქვათ, მსხვილი აქტივობაა, ხოლო მის ქვეშ ჩაშლილია „ქვეაქტივობები“, რომლებიც კონკრეტულად ამ ტექსტზე მუშაობას ეხება. აქვე მივუთითეთ სახელმძღვანელოსა და მოსწავლის რვეულის შესაბამისი გვერდები და რესურსები.

- გვინდა, რომ ჩვენ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის რესურსები ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი იყოს, ამიტომ მითითებული ბმულების გახსნა და ინტერნეტრესურსებით სარგებლობა ნებისმიერი სახის მოწყობილობიდანაა შესაძლებელი. კარგი იქნება, თუ ბავშვებს, გარდა მოსწავლის რვეულებისა, დამატებით ექნებათ ჩვეულებრივი რვეულებიც, რომლებშიც ლექსიკონს აწარმოებენ და სხვა დამატებით დავალებებს შეასრულებენ. ასევე ბავშვებს დასჭირდებათ ფერადი ფანქრები, რადგან დაწყებით საფეხურზე ხატვა, ილუსტრირება, ვიზუალური ხედვა მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

- დაბოლოს, ვფიქრობთ, ჩვენი მასწავლებლის წიგნი დაგეხმარებათ სასწავლო პროცესის ეფექტურად და საინტერესოდ დაგეგმვაში, დასახული მიზნების მიღწევასა და ბავშვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საგნის შეყვარებაში.

# თავი 1 — სკოლა

| თემატური მატრიცა | |
|---|---|
| საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა<br><br>ძირითადი რესურსი/ტექსტი – „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“, „კეთილი სანდალა“, „მეც მინდა სკოლაში“ (1), (2), (3), (4), (5), (6), (7), „სკოლაში“, „გიორგი სკოლაში“, „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, „სიმღერა წიგნზე“.<br><br>ასტრიდ ლინდგრენი: „მეც მინდა სკოლაში“ (ამონარიდები: მეც მინდა სკოლაში გვ. 8, პირველი გაკვეთილი გვ. 9, ჩხუბი გვ. 11, ბუნების გაკვეთილზე გვ. 12, დიდი დასვენება და სპორტის გაკვეთილი გვ. 14, კითხვის გაკვეთილი გვ. 16, დასასრული გვ. 18)<br><br>**მთავარი საკითხი**: თემის „სკოლა“ ტექსტების („სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“, „კეთილი სანდალა“, „მეც მინდა სკოლაში“ (1), (2), (3), (4), (5), (6), (7), „სკოლაში“, „გიორგი სკოლაში“, „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, „სიმღერა წიგნზე“) მიხედვით ხუთი მნიშვნელოვანი საკლასო წესის შემუშავება და წერილობით ჩამოყალიბება.<br><br>კლასი: მეორე კლასი | |
| **თემა: „სკოლა“** | საათების სავარაუდო რაოდენობა: |
| **თემატური მატრიცის სარჩევი**<br><br>შუალედური მიზანი **1.** საკლასო წესების ხის შექმნა **(სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** | |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრები)<br>შედეგები: I 2; I 3; I 4; I 5;<br><br>ქვეცნება **– შინაარსობრივი მხარე**<br>**ქვესაკითხი: მთავარი და არამთავარი ინფორმაცია**<br>ძირითადი საკითხი/პრობლემა<br><br>**ქვეცნება: ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირების სტრატეგიები**<br>**ქვესაკითხი: კითხვის სტრატეგიები, მოსმენის სტრატეგიები, წერის სტრატეგიები** | საკითხი – თემის „სკოლა“ ტექსტების („სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“, „კეთილი სანდალა“, „მეც მინდა სკოლაში“ (1), (2), (3), (4), (5), (6), (7), „სკოლაში“, „გიორგი სკოლაში“, „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, „სიმღერა წიგნზე“) მიხედვით ხუთი მნიშვნელოვანი საკლასო წესის შემუშავება და წერილობით ჩამოყალიბება.<br>ქვესაკითხი: „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“, „კეთილი სანდალა“, „მეც მინდა სკოლაში“ (1), (2), (3), (4), (5), (6), (7), „სკოლაში“, „გიორგი სკოლაში“, „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, „სიმღერა წიგნზე“: შინაარსობრივი მხარე – მთავარი და არამთავარი ინფორმაციის ამოცნობა, მთავარი და არამთავარი ინფორმაცია. ძირითადი საკითხი/პრობლემა.<br>ტექსტის გაგება-გააზრება – წერის, კითხვისა და მოსმენის სტრატეგიები. ტექსტის ერთეულები – სიტყვა, წინადადება. |

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი**<br>**შედეგები:** (I) 4, 5, 6<br>**ქვეცნება: ტექსტის ერთეულები**<br>**ქვესაკითხი: სიტყვა, წინადადება** | • საკვანძო შეკითხვა: მოცემულ ტექსტებში როგორ, რა ხერხებით ამოვიცნო ჩემთვის მთავარი ინფორმაცია?<br>• როგორ აღმოვაჩინო პრობლემა?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოთხრობის გასაგებად?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოსასმენად?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო წესების წერილობით ჩამოსაყალიბებლად?<br>• როგორ ამოვიცნო წინადადება?<br>• როგორ დავაკავშირო სიტყვები და ვაქციო წინადადე-ბად?<br>• რომელი სასვენი ნიშანი დავსვა წინადადების ბოლოს?<br><br>**კომპლექსური დავალება**<br>წაიკითხე/გაანალიზე ტექსტები: „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“, „კეთილი სანდალა“, „მეც მინდა სკოლაში“ (1), (2), (3), (4), (5), (6), (7), „სკოლაში“, „გიორგი სკოლაში“, „ჩხუბს თავლაფიანობა მო-სდევს“, „სიმღერა წიგნზე“ – მათზე დაყრდნობით, წერილობით ჩამოაყალიბე ხუთი მნიშვნელოვანი საკლასო წესი.<br>წესებისგან შეგიძლია შექმნა კლასის წესების ხე (იხ. დანართი).<br>გაითვალისწინე: ტექსტებზე მუშაობისას აღმო-ჩენილი წესები რვეულში ჩაინიშნე.<br><br>ნაბიჯი პირველი – წაიკითხე და გაეცანი ტექსტებს „სკო-ლისაკენ ჰერი, ჰერი“, კეთილი სანდალა.“<br>ნაბიჯი მეორე – დაასახელე, მოყევი – „კეთილი სანდა-ლას“ კითხვები საშუალებას გვაძლევს, გადავიდეთ შემეცნების ახალ ეტაპზე.<br>ნაბიჯი მესამე – აღწერე, გამოიყენე მიღებული ცოდნა „მეც მინდა სკოლაში“ გვაძლევს საშუალებას, წესებთან დაკავშირებული წინარე ცოდნა გამოვიყენოთ ტექსტზე მსჯელობისას.<br>ნაბიჯი მეოთხე – იმსჯელე, დაადგინე მიზეზ-შედეგობრი-ვი კავშირი „გიორგი სკოლაში,“ „ ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს.“ ასევე ვიყენებთ შესწავლილ ენობრივ მასა-ლას.<br>ნაბიჯი მეხუთე – განაზოგადე – „წესების ხის“ შექმნისას ვაზოგადებთ მიღებულ ცოდნას. |

| | |
|---|---|
| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>სამიზნე ცნება – ტექსტი<br>1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.<br>2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.<br>3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.<br><br>სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი<br>**1.** სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად).<br>2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება.<br>3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. | **დავალების შეფასების კრიტერიუმები:**<br>(კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>***<u>წესების შედგენისას წარმოაჩინე:</u>***<br>• წესები შედგენილია ტექსტებში მინიშნებების საფუძველზე და სათანადო დასკვნების გამოტანით. (ტ.2)<br>• წესების შედგენისას გამოყენებულია მიზნის შესაბამისი ენობრივი საშუალებები (სიტყვები და წინადადებები) (ს.1). |

## კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
**რესურსი:** მოსასმენი – კომპლექსური დავალება: „წესების ხე“.

**აქტივობა 1.** დავალების მოთხოვნების გაცნობიერება;
**აქტივობა 2.** წინარე ცოდნის გააქტიურება;

***გეზისმიმცემი შეკითხვები:***

- რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რისი ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ დავალების შესასრულებლად?
- როგორ გესმით, რა არის წესი?
- რაში გვჭირდება ჩვენ წესების დაცვა?
- რა მოხდება, თუ წესებს არ დავიცავთ?
- თუ დაგირღვევია რომელიმე წესი? რა შედეგი მოჰყოლია ამას?
- საკლასო წესების შედგენისას რა უნდა გაითვალისწინო?
- შენი აზრით, როგორი წესი იქნება „იდეალური“? რატომ?
- როგორია წესი, რომელსაც არ დაიცავდი? რატომ?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

***ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის გასაგებად? მოსასმენად?***
წესები შედგენილია ტექსტებში მინიშნებების საფუძველზე და სათანადო დასკვნების გამოტანით. (ტ.1; ტ.2)

### აქტივობა 1.
### ილუსტრაციის აღწერა: დააკვირდი სურათს, რას შეცვლიდი?

*(სახელმძღვანელოში გვ. 3, რვეულში გვ. 3)*
ბავშვები მუშაობენ ილუსტრაციის აღწერაზე: (წიგნი: გვ. 3), მასწავლებელი უსვამს გეზისმიმცემ შეკითხვებს, მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს, ილუსტრაციის აღწერა სრულდება იმაზე მსჯელობით, თუ რატომ გვჭირდება წესები და რატომაა მნიშვნელოვანი მათი დაცვა. ამის შემდეგ უკვე მუშაობენ მოსწავლის რვეულში, სადაც მსჯელობას წერილობით ფორმას აძლევენ და წინადადების სახით აყალიბებენ.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 3, მოსწავლის რვეული: გვ. 3

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რას ხედავ სურათზე?
- რა არ მოგწონს? რატომ?
- რა მოგწონს? რატომ?
- რას შეცვლიდი?
- როგორ ფიქრობ, სურათზე ასახულ მოსწავლეებს რა სჭირდებათ?
- როგორ ფიქრობ, ამ ილუსტრაციას ჩვენს თემასთან რა კავშირი აქვს?

## აქტივობა 2:
## ერთი დღე წესების გარეშე – რა მოხდება, თუ წესები არ გვექნება?

მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ ერთ დღესაც ყველა ბავშვს დაავიწყდა, როგორ უნდა მოიქცეს კლასში, არც ჩანთის ჩალაგება ახსოვთ, არც მერხთან დასხდომა, მასწავლებლის მოსმენაც დავიწყებიათ, წიგნების მოფრთხილებაც და ერთმანეთთან ურთიერთობაც. როგორ ჩაივლის გაკვეთილი? რა მოხდება? მასწავლებელმა რა უნდა მოიმოქმედოს, თქვენი აზრით? როგორ გავახსენოთ წესები ბავშვებს?
ბავშვები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, მასწავლებელი კი დაფაზე წერს. შემდეგ სთხოვს, დახატონ მათი აზრით იდეალური გაკვეთილი. ხატვას რომ მორჩებიან, ნახატებს კლასში გამოფენენ და ათვალიერებენ, მასწავლებელი პარალელურად თითოეულ ნამუშევარს აფასებს და გამოყოფს ერთ მახასიათებელს, მაგალითად: აი, ამ სურათზე რა კარგად იწევს ხელს ეს გოგონა! ან წინა მერხზე მჯდომი ბიჭუნა რა ყურადღებით უსმენს მასწავლებელს, როგორ აქვს წიგნები მოწესრიგებული და ასე შემდეგ.

## აქტივობა 3:
## ტექსტის: „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი“ – გაცნობა

სანამ ბავშვები ტექსტს გაიცნობენ, მასწავლებელი სვამს შეკითხვას: როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელობა აქვს, რომ მოსწავლე დილით დროულად ადგეს? რაში სჭირდება ეს? თქვენ როდის დგებით? ხომ არ გიჭირთ? რა ხერხებს მიმართავთ, რომ დილით ადგომა არ გაგიჭირდეთ? რას აკეთებთ, სანამ სკოლაში წამოხვალთ?
ტექსტის წაკითხვის შემდეგ მუშავდება ახალი ლექსიკური ერთეულები, შესაძლოა მასწავლებელმა გამოიყენოს სიტყვის რუკა, სიტყვის პირამიდა.
ლექსზე მუშაობის შემდეგ გადაინაცვლებენ მოსწავლის რვეულში: გვ. 6, სადაც გამტკიცდება/შეჯამდება გაკვეთილი. ეს შესაძლოა ბავშვებს დავალებადაც მიეცეთ.
ბავშვებმა ტექსტიდან უნდა გამოიტანონ დასკვნა: დილით დროულად ადგომა მნიშვნელოვანია.

**რესურსი**

მოსწავლის წიგნი „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი“ – გვ. 6
ლექსიკაზე სამუშაო სავარჯიშოები.

**დავალება რვეულში**

- გვ. 6 – რას ვაწყობთ ჩანთაში?

**რესურსი**

1 – სიტყვის რუკა, სიტყვის პირამიდა.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ გესმის: „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა“?
- რა ნივთები უნდა ეწყოს შენს სასკოლო ჩანთაში?
- რაში გეხმარება მოწესრიგებული ჩანთა?
- როგორ ემზადები სკოლაში წასასვლელად?
- რომელი წესი აღმოაჩინე ლექსის: „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი“ კითხვის დროს?

## აქტივობა 4:
## გაკვეთილის ცხრილი და დრო, ერთი დღის დაგეგმვა

**რესურსი**

წიგნი: გვ. 5;
მოსწავლის რვეული – გვ. 5, კლასის ცხრილი.

მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს დიდ ფურცელზე (ან პროექტორით) დაწერილ მათსავე გაკვეთილების ცხრილს, კითხულობენ ერთად, ან ამორჩევით. მასწავლებელი ეკითხება, რა საჭიროა ცხრილი? ბავშვები პასუხობენ, მასწავლებელი ინიშნავს დაფაზე მათ პასუხებს.
ამის შემდეგ იწყებენ წიგნში მუშაობას: გვ. 5. მსჯელობენ საკუთარ გეგმებზე და ზეპირად წარმოადგენენ.
მოსწავლის რვეულში ასრულებენ წერით დავალებას, მოსწავლის რვეული: გვ. 7.
დავალებად შესაძლოა მიეცეთ: მთელი კვირის საყვარელი აქტივობების გეგმის ილუსტრაციებით წარმოდგენა. მაგალითად: ორშაბათი: 08:00 სთ. – ცეკვა, სამშაბათი: 07:00 სთ. – ფეხბურთი და ა.შ. ოღონდ აქტივობები აუცილებლად უნდა დახატონ. შესაძლოა დავალება არა რვეულში, არამედ თაბახის ფურცელზე შესრულდეს და კლასში გამოიფინოს. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ ერთმანეთის უკეთ გაცნობასა და საერთო ინტერესების აღმოჩენას.
საბოლოოდ, მოსწავლეები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დაგეგმვა საჭირო და აუცილებელი პროცესია, მნიშვნელოვანი წესის შესასრულებლად, რათა სკოლაში დროულად გამოცხადნენ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რომელი წესის დაცვაში დაგვეხმარება კვირის გეგმა?
- კიდევ რა სარგებელი აქვს დაგეგმვას?
- რა მოხდება, თუ ცხრილი არ გვექნება?

## აქტივობა: 5
## ტექსტის „კეთილი სანდალას“ დამუშავება

მასწავლებელი სანამ ტექსტს ახსნის, კლასს უსვამს შეკითხვას: როგორ გესმით, რა არის ზრუნვა? თქვენ თუ გიზრუნიათ ვინმეზე? რა შეგრძნებაა, როდესაც ვინმეზე ზრუნავ? ან თქვენზე ზრუნავენ? ბავშვები პასუხობენ, მასწავლებელი პასუხებს ინიშნავს დაფაზე. შესაძლოა, წყვილებში ბავშვებმა იმუშაონ ზრუნვის ილუსტრაციების შექმნაზე, როგორ წარმოუდგენიათ სიტყვა „ზრუნვა“, წყვილებში ხატავენ და წარადგენენ. ამის შემდეგ კითხულობენ ტექსტს.
ტექსტის საკითხავად შესაძლოა შეირჩეს კლასზე მორგებული კითხვის აქტივობა: ამორჩევით/გაგრძელებებით კითხვა ან კითხვის მატარებელი ან ექოდ კითხვა. (იხ. დანართი)

ტექსტის წაკითხვის შემდეგ, მასწავლებელი ბავშვებს უსვამს შეკითხვებს შინაარსის გაგება-გააზრებისთვის (სახელმძღვანელო: გვ. 6). მუშავდება ახალი ლექსიკური ერთეულები (იხ. დანართი).
ბავშვები მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში, გვ. 3.
საბოლოოდ მთელი კლასი ერთ წესზე თანხმდება: ვიზრუნოთ მეგობრებზე, ნიშნავს... წესი დამახსოვრებული და შენახულია.
ალტერნატიული აქტივობა: „კეთილი სანდალას“ ტექსტი სამ ნაწილადაა გაყოფილი და დაბეჭდილია/დაწერილია ბარათებზე, ბავშვები მუშაობენ წყვილებში, თითოეულ წყვილს ერთი ბარათი ხვდება: ან დასაწყისი ან შუა ნაწილი ან დასასრული. კითხულობენ და უკეთებენ ილუსტრაციებს, როდესაც მუშაობას დაასრულებენ, წყვილების ნამუშევრები ერთიანდება და ერთ ფორმატზე გამოიკვრება: პირველი ნაწილი – ილუსტრაციით, მეორე ნაწილი – ილუსტრაციით და მესამე ნაწილი – ილუსტრაციით. ბავშვები თავად უნდა მიხვდნენ, მათ მიერ დამუშავებული ნაწილი რომელია: პირველი, მეორე თუ მესამე.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა არის ზრუნვა?
- შენ როგორ ზრუნავ?
- რომელი წესი აღმოაჩინე „კეთილ სანდალაში“?

**რესურსი**

დანართი: თხრობის რუკა, სიტყვის რუკა, პირამიდა

**სახელმძღვანელო**

გვ. 6, ტექსტი: „კეთილი სანდალა“, მოსწავლის რვეული: გვ. 6

## აქტივობა 6:
## მოთხრობის სტრუქტურა, აგებულება

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს ან უხატავს ჰამბურგერს და ეკითხება, როგორ ფიქრობენ, რისგან შედგება?
ბავშვები ჩამოთვლიან ინგრედიენტებს. მასწავლებელი ეუბნება, რომ ტექსტებშიც ასეა, ჰამბურგერის ორი პური შესაძლოა ჩავთვალოთ დასაწყისად და დასასრულად, ხოლო მათ შორის მოთავსებული შიგთავსი – შუა ნაწილად, შუა ნაწილი კი შესაძლოა იმდენად მრავალფეროვანი იყოს, იმდენი წინადადებებისგან შედგებოდეს, რამდენი ინგრედიენტიც ორ პურს შორის თავსდება: პომიდორი, კატლეტი, სალათის ფურცელი, ყველი და ა.შ.
ამის შემდეგ უბრუნდებიან წიგნს და ტექსტის „კეთილი სანდალა“ მაგალითზე ამუშავებენ: დასაწყისს, შუა ნაწილსა და დასასრულს.
დავალებად შესაძლოა მიეცეთ: მოსწავლის რვეულში: გვ. 7-ზე მოცემული სავარჯიშო.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რა საერთო აქვს ყველა ამბავს ერთმანეთთან? (დასაწყისი, გაგრძელება/შუა ნაწილი, დასასრული)

**რესურსი**

წიგნი: გვ. 7,
მოსწავლის რვეულში: გვ. 7, ჰამბურგერის ილუსტრაცია.

## აქტივობა 7:

**რესურსი**

წიგნი: გვ. 8,
მოსწავლის რვეულში:
გვ. 8

როგორია ჩვენი იდეალური სკოლა? ბავშვები ხატავენ მათთვის იდეალურ სკოლას და საუბრობენ, როგორ გაკვეთილებს, როგორ წიგნებს, როგორ საკლასო ოთახებს ისურვებენ და ა.შ.
მასწავლებელი სვამს კითხვას: რაში გვჭირდება სკოლა? ბავშვების პასუხებს ინიშნავს დაფაზე (წრეში წერს: სკოლა და გარშემო სხივებად ბავშვების პასუხებს უწერს).
კითხულობენ ტექსტს ერთ-ერთი სტრატეგიის გამოყენებით (იხ. დანართი).
მუშაობენ ლექსიკაზე (იხ. დანართი).
ტექსტის გაგება-გააზრებას ამუშავებენ კითხვების საშუალებით (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 8).
დავალებად შესაძლოა მიეცეთ მოსწავლის რვეული: გვ. 8.
საბოლოოდ უნდა დაასკვნან, რომ სკოლა მნიშვნელოვანია და ის ბავშვებისთვის სასიამოვნო, საყვარელი ადგილი უნდა იყოს, სკოლა რომ ასეთ იდეალურ და ყველასთვის კომფორტულ ადგილად იქცეს, აუცილებელია წესების დაცვა. კარგი იქნება, ამ საკითხის გარშემო პატარა დისკუსიაც მოეწყოს.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა ხდის სკოლას ყველასთვის საყვარელ, კომფორტულ ადგილად? (წესები, რომლებსაც ყველა იცავს)
- რატომ უნდა დავიცვათ წესები?
- რომელი წესის დაცვა გგონიათ ყველაზე მნიშვნელოვანი?

ნაბიჯი 2. წესების შედგენისას გამოყენებულია მიზნის შესაბამისი ენობრივი საშუალებები. (სიტყვები და წინადადებები) (ს.1)

## აქტივობა 1:
### წინადადება, მოსმენა

**რესურსი**

სახელმძღვანელო,
გვ. 9, ილუსტრაცია.

მასწავლებელი კითხულობს: რა არის წინადადება? ბავშვები გამოთქვამენ მოსაზრებებს, მასწავლებელი ინიშნავს დაფაზე.

ამის შემდეგ ბავშვები საუბრობენ ილუსტრაციაზე (სახელმძღვანელო: გვ. 9), რა გაკვეთილი ტარდება? ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს, მასწავლებელი თითოეული ბავშვის ვარაუდის მოსმენის შემდეგ აღნიშნავს, თუ რამდენი წინადადებით გამოითქვა მოსაზრება.

მასწავლებელი ურთავს მოსასმენს, ბავშვებს სთხოვს, რომ ყურადღებით მოუსმინონ ტექსტს და ყოველი წინადადების დასრულების შემდეგ ტაში დაუკრან, ბავშვები უნდა მიხვდნენ, სად სრულდება წინადადება. შიგადაშიგ მასწავლებელი მოსასმენს აჩერებს და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს განმარტებებს.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რისგან შედგება წინადადება?
- რომელი სასვენი ნიშანი იწერება წინადადების ბოლოს?
- მოსმენისას რამდენჯერ დაუკარით ტაში?
- რამდენი წინადადება აღმოჩნდა ტექსტში?

## აქტივობა 2:

ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრებაზე მუშაობენ სახელმძღვანელოს გვ. 9-ზე მოცემულ შეკითხვებზე მსჯელობით.

ამის შემდეგ ისევ უბრუნდებიან წინადადებას და აკეთებენ სახელმძღვანელოს გვ. 10-ზე მოცემულ დავალებას. სასურველია, ყველა მოსწავლე ჩაერთოს და თითო წინადადება მაინც აღნიშნოს. თუ მოცემულ ტექსტში არსებული წინადადებები არ იქნება საკმარისი, დამატებით რესურსად ნებისმიერი განვლილი ტექსტის გამოყენება შეიძლება.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 10, მოსწავლის რვეული: გვ. 10

მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში, გვ. 10.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით?
- რატომ ფრთხილობდნენ პეტერი და ლენა?
- როგორ შეხვდა მასწავლებელი ლენას?
- რა გაკვეთილი ჰქონდათ ბავშვებს პირველი?
- ვისი დაბადების დღე იყო იმ დღეს?
- საიდან ჩანს, რომ მოსწავლეები და მასწავლებელი ყურადღებიანი და თავაზიანები არიან?
- რა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კითხვისას ან საუბრისას ოდნავ შევისვენოთ?

## აქტივობა 3:

მასწავლებელი უბრუნდება ისევ ტექსტს და ბავშვებს ეკითხება, როგორ მიესალმა მასწავლებელი ლენას?
თქვენ როგორ ესალმებით? როგორ ემშვიდობებით?

ბავშვები აყალიბებენ წესებს, მასწავლებელი დაფაზე წერს: როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, ვამბობთ, გამარჯობა.
როდესაც ვემშვიდობებით, ვამბობთ: ნახვამდის. როდესაც ნივთებს ვუზიარებთ, ვამბობთ: მადლობა. მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, რომ აღნიშნონ, რამდენი წინადადება დაწერა დაფაზე. რა სასვენი ნიშნები წერია წინადადების ბოლოს, რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში. შეიძლება თუ არა ამ სიტყვების სხვა სიტყვებით ჩანაცვლება? თუ შეიძლება, რომელი სიტყვებით? მოსწავლეები ვარაუდებს გამოთქვამენ.
ბავშვები მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 10.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 10, მოსწავლის რვეული: გვ. 10

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა არის თავაზიანობა?
- რაში გვჭირდება თავაზიანობა?
- რა სიტყვას ვამბობთ მისალმებისას?
- დამშვიდობებისას?
- მადლიერების გამოხატვისას?
- რამდენად მნიშვნელოვანია თანაკლასელებთან თავაზიანად მოქცევა?

## აქტივობა 4:

ბავშვები სახელმძღვანელოში, გვ. 11-ზე მოცემულ ილუსტრაციას აკვირდებიან და გამოთქვამენ ვარაუდებს იმის შესახებ, თუ რა ხდება სურათზე.
შემდეგ მასწავლებელი ურთავს მოსასმენს. მასწავლებელი სთხოვს, რომ ყურადღებით მოისმინონ და ჩაინიშნონ ის ფრაზები ან სიტყვები, რომლებიც შემდეგ წესის შედგენაში დაეხმარებათ.

ამის შემდეგ მასწავლებელი ტექსტის გაგება-გააზრებისთვის რამდენიმე კითხვას სვამს, იქვე მცირე დისკუსიაც ეწყობა:
პეტერს რომ კლასელისთვის აეხსნა, უმცროსი დაიკო რატომ წამოიყვანა სკოლაში, მაინც იჩხუბებდნენ?
წერით სამუშაოს ასრულებენ მოსწავლის რვეულში, გვ. 11.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 11, მოსწავლის რვეული: გვ. 11

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს იმ სიტყვებს, რომლებიც ბავშვებმა ტექსტის მოსმენისას ჩაინიშნეს: ჩხუბი, დაარტყა, უხეშად.
მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ისეთი სიტყვები მოიფიქრონ, რომლებიც ამ სიტყვების საპირისპირო მნიშვნელობისა იქნება, რაც წესის შედგენაში დაეხმარებათ. მაგალითად: უხეშად – თავაზიანად, დაარტყა – მეგობრულად ხელი გადახვია, ჩხუბი – მშვიდი საუბარი.
და წესიც შედგება:
ვცდილობთ ყოველთვის ვიყოთ თავაზიანები, პრობლემები მეგობრულად და მშვიდი საუბრით მოვაგვაროთ.
ბავშვები წესს რვეულში ინიშნავენ.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რომელი წესი გამომდინარეობს ტექსტიდან: „ჩხუბი“?

## აქტივობა 5:

მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს: ტოროლას, მერცხლისა და სკვინჩას სურათებს (ბარათებს), როგორ ფიქრობთ, რომელია აქედან სკვინჩა?





ბავშვები იწყებენ ვარაუდების გამოთქმას. საბოლოოდ მასწავლებელი უჩვენებს სკვინჩას სურათს. შემდეგ უხსნის, რომ სკვინჩას იგივე ნიბლია ჰქვია. სვამს კითხვას, ხომ არ ახსოვთ ხალხური ლექსი ნიბლიაზე? ბავშვები ფიქრობენ, თუ არ ახსოვთ, მაშინ მასწავლებელი უკითხავს ამ პატარა ლექსს:

ნეტამც არ დაგძინებოდა
ჩიტო ნიბლია ნარზედა,
ჩამოგიქროლებს ალალი,
წაგიყვანს მაღლა ცაზედა.

ამის შემდეგ სკვინჩაზე, იმავე ნიბლიაზე, მოკლე ინფორმაციას აწვდის: საქართველოს ზოგ კუთხეში წიფლის ჩიტსაც ეძახიან. ტანად პატარა (სხეულის სიგრძე 17 სანტიმეტრს აღწევს), მგალობელი ფრინველია. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრინველია. ბინადრობს ყველა ტიპის ტყესა და მთის ტყეებში. აპრილში დებს 3-6 კვერცხს, რომლებიც ფერად მკრთალი ცისფერია მოწითალო ლაქებით. იკვებება მცენარეების მწვანე ნაწილებით (განსაკუთრებით სარეველებით), თესლებით, ნაყოფითა და სხვა ნაწილებით, ზაფხულში – მწერებით, ობობებითა და სხვა უხერხემლოებით.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- როგორი ფრინველია სკვინჩა?

**რესურსი**

ფრინველების ბარათები

## აქტივობა 6:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 12; მოსწავლის რვეული: გვ. 12

მასწავლებელი უკითხავს სახელმძღვანელოში ტექსტს, გვ. 12, „ბუნების გაკვეთილზე“.
შემდეგ ბავშვები კითხულობენ როლური კითხვით (იხ. დანართი: კითხვის სტრატეგიები).
მასწავლებელი ტექსტის გასააზრებლად უსვამს რამდენიმე შეკითხვას. ყურადღებას ამახვილებს იმ ეპიზოდზე, როდესაც იანი წესს არღვევს და ხელის აწევის გარეშე პასუხობს.
ბავშვები მსჯელობენ, რომელი წესი დაარღვია იანმა, რატომაა ეს წესი საჭირო და რაში გვეხმარება მისი დაცვა.
მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს სიტყვებს: მოსმენა, ყურადღება, ხელის აწევა, გაკვეთილი.
ამ სიტყვების მიხედვით მოსწავლეები ადგენენ წესს:
ყურადღებით ვუსმენთ ერთმანეთს, არ ვაწყვეტინებთ, როდესაც საუბრის დაწყება გვინდა, ხელს ვიწევთ.

ამის შემდეგ მოსწავლის რვეულში აგრძელებენ მუშაობას: გვ. 12

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რომელი წესი დაარღვია იანმა?
- რატომ უნდა დავიცვათ ეს წესი?

## აქტივობა 7:
### სიტყვების ყუთები

**რესურსი**

სახელმძღვანელო, გვ. 13; მოსწავლის რვეული: გვ. 13, მუყაოს სამი ყუთი, სიტყვის ბარათები.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი სამ მუყაოს ყუთს მოამზადებს და ბარათებს სიტყვებით.
ყუთებს ეწერება: ბიბლიოთეკა, სახლი, თამაში.
ქისაში იქნება ბარათები: გათვლა, ხტუნვა, თამაში, თარო, მაგიდა, სანიშნე, სავარძელი, აბაზანა, ჩაიდანი, ძილი, საუზმე.
მოსწავლემ ეს სიტყვები შესაბამის ყუთს უნდა შეუსაბამოს და შემდეგ შიგნით მოათავსოს. გარდა ამისა, თითოეული ყუთისთვის ორ-ორ სიტყვას თავად იფიქრებს, წერს ბარათზე და ასევე ათავსებს ყუთებში.
ამის შემდეგ იღებენ ბავშვები ყუთებიდან თითო-თითო სიტყვას და წინადადებას იფიქრებენ, წერენ დაფაზე.
მასწავლებელი უბრუნდება სახელმძღვანელოს, მუშაობენ გვ. 13-ის მეორე სავარჯიშოზე.
დავალებად ექნებათ: მოსწავლის რვეული, გვ. 13, ნაწილი შესაძლოა გაკვეთილზეც დამუშავდეს.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რა პრინციპით უნდა მოვათავსო ჩემი სიტყვის ბარათი კონკრეტულ ყუთში?

## აქტივობა 8:
**მასწავლებელი – კალამი**

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, რომ მარიამს დაეხმარონ, მარიამი მეორეკლასელი გოგონაა და სკოლის ეზოზე სურს მოთხრობის დაწერა. ერთად უნდა მოიფიქრონ შვიდი სიტყვა, რომლებსაც ამ მოთხრობაში მარიამი გამოიყენებს. მასწავლებელი სიტყვებს დაფაზე წერს. ამის შემდეგ ბავშვები ცდილობენ ამ შვიდი სიტყვით პატარა მოთხრობის შექმნას. მასწავლებელი ახსენებს, რომ მოთხრობას აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული, ბავშვები ფიქრობენ, ასახელებენ წინადადებებს, მასწავლებელი წერს დაფაზე ან დიდ ფურცელზე თვალსაჩინოდ ისე, რომ მისი დაწერილი ბავშვებმაც წაიკითხონ. მოსწავლეები კარნახობენ გაგრძელებას, მასწავლებელი წერს. საბოლოოდ სათაურსაც იგონებენ. ამ შემთხვევაში მასწავლებელი გამოდის კალმის როლში, ამას თავიდანვე აჟღერებს, რომ ის დღეს იქნება მხოლოდ კალამი და დაწერს იმას, რასაც უკარნახებენ. საბოლოო მოთხრობას კლასი ერთად კითხულობს (იხ. სტრატეგია: ექო).

**რესურსი**

ფურცელი, დაფა, მარკერი

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- როგორ შევქმნა პატარა მოთხრობა წინასწარ მოცემული სიტყვების გამოყენებით?

## აქტივობა 9

სახელმძღვანელოში, გვ. 14-ზე მოცემულ ილუსტრაციაზე გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რაზე იქნება ეს ტექსტი. შემდეგ უსმენენ და საინტერესო ან უცნობ სიტყვებს ინიშნავენ.
მოსმენის შემდეგ მუშაობენ უცნობ სიტყვებზე, ტექსტის გაგება-გააზრებაზე.
მასწავლებელმა შესაძლოა ბავშვებს მაჭკატების რეცეპტი გაუზიაროს.
ბავშვები მსჯელობენ იმ პროცედურებსა და წესებზე, რომლებიც ჭამის წინ, ჭამის დროს და ჭამის შემდეგ უნდა დაიცვან.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 14

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 14; მოსწავლის რვეული: გვ. 14

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რომელი წესი უნდა დავიცვათ ჭამის წინ?
- ჭამის დროს?
- ჭამის შემდეგ?

## აქტივობა 10:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 15; მოსწავლის რვეული: გვ. 15

ბავშვები მუშაობენ სახელმძღვანელოში, გვ. 15-ზე. აკვირდებიან ილუსტრაციას, კითხულობენ ღრუბლებში ჩაწერილ წინადადებებს, მსჯელობენ, რა სასვენი ნიშანი იწერება წინადადების ბოლოს, თვლიან წინადადებებს, ირგებენ როლებს და როლებში კითხულობენ ტექსტს.

შემდეგ მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში, გვ. 15.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რომელი სასვენი ნიშანი იწერება წინადადების ბოლოს?
- თუ წინადადება გამოხატავს კითხვას?
- თუ წინადადება გამოხატავს გაოცებას, შეძახილს ან თხოვნას?

## აქტივობა 11:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 16; მოსწავლის რვეული: გვ. 16

მასწავლებელს ხელში ერთ-ერთი, სპეციალურად შერჩეული, თავისი საყვარელი წიგნი უჭირავს და ბავშვებს მასზე ესაუბრება, რომ ძალიან მოეწონა, პერსონაჟები და ამბავი ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით კი ერთმა ეპიზოდმა მოხიბლა და უყვება ამ ეპიზოდს. მოსწავლეებს სთხოვს, გაუზიარონ ამბავი ან მოთხრობა ან წიგნი, რომელიც მათ მოსწონთ, რომელსაც მშობელი უკითხავდათ, ან თავად შეძლეს წაკითხვა, ან სკოლაში ისწავლეს.
ბავშვები საუბრობენ.
ამის შემდეგ სახელმძღვანელოში, გვ. 16-ზე აკვირდებიან სურათს და გამოთქვამენ მოსაზრებებს, შემდეგ უსმენენ მოსასმენს. მოსმენისას ინიშნავენ ახალ სიტყვებს.
მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს სვამს.
ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გაკვეთილზე პეტერი უყურადღებოდ იყო. მოსწავლეები მსჯელობენ, რატომ უნდა ყოფილიყო პეტერი ყურადღებით? რომელი შესაძლო წესი დაარღვია მან? როგორ ჩამოაყალიბებდით ამ წესს?
ბავშვები მუშაობას მოსწავლის რვეულში აგრძელებენ, გვ. 16.
საბოლოდ კიდევ ერთ წესს აყალიბებენ:
გაკვეთილზე ვართ ყურადღებით და ვცდილობთ მოსმენილი დავიმახსოვროთ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რომელი წესი უნდა დაეცვა პეტერს?
- როგორ ჩამოაყალიბებდით ამ წესს?

## აქტივობა 12:
**სიტყვების გამომძიებელი**

მასწავლებელი ბავშვებსეუბნება, რომ დღეს ისინი გახდებიან სიტყვების გამომძიებლები და იპოვიან დამალულ ტექსტს.
მუშაობას იწყებენ სახელმძღვანელოში, გვ. 17-ზე. მასწავლებელი აძლევს მითითებებს, მიჰყვებიან სავარჯიშოების ინსტრუქციებს. მნიშვნელოვანია, რომ სანამ მუშაობას დაიწყებენ, ბავშვებმა სურათის მიხედვით იმსჯელონ ტექსტის შინაარსზე.
კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ტექსტის თემას განავრცობს და სხვადასხვა ფოტოს ან მოკლე ვიდეოს აჩვენებს ბავშვებზე, რომლებიც სკოლაში ვერ დადიან. შესაძლოა მოსწავლეებმა გამოთქვან მოსაზრებები, როგორ შეიძლება ამ ბავშვებს დავეხმაროთ. შესაძლოა პროექტიც დაიგეგმოს.
მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში, გვ. 17.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 17; მოსწავლის რვეული: გვ. 17

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- როგორ ვიპოვო დამალული სიტყვები?

## აქტოვობა 13:

მოსწავლეები სახელმძღვანელოში გვ. 18-ზე ტექსტს ამუშავებენ ერთ-ერთი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით. სანამ ტექსტს წაიკითხავდნენ, მასწავლებელი მათ იმ ახალ სიტყვებს უკითხავს, რომლებსაც ტექსტში აღმოაჩენენ. ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს, რას ნიშნავს „რუ?“ რას ნიშნავს „აღშფოთდა“?
ეს ნაწილი ლინდგრენის „მე მინდა სკოლაში“ ბოლო ამონარიდია, ამიტომ კარგი იქნება, თუ შეჯამდება. ამისთვის კი მოსწავლის რვეულში, გვ. 20-ზე შესანიშნავი სავარჯიშოებია.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 18; მოსწავლის რვეული: გვ. 18

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- როგორ ფიქრობ, მოეწონა ლენას სკოლა?

## აქტივობა 14:

მოსწავლეები სახელმძღვანელოს გვ. 19-ზე მუშაობენ, აკვირდებიან ილუსტრაციებს, მსჯელობენ.
თუ ტექნიკური რესურსი საშუალებას იძლევა, კარგი იქნება „ბომბორას“ ერთად ყურება.
საშინაო დავალებად ეძლევათ: მოსწავლის წიგნი, გვ. 19, სავარჯიშოები.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 19; მოსწავლის რვეული: გვ. 19

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რომელ წესებს არღვევს ბომბორა?

https://bit.ly/3mhEBWK
https://bit.ly/3kzlRSn

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 20; მოსწავლის რვეული: გვ. 20

## აქტივობა 15:

სასურველია, მასწავლებელმა ბავშვებს აჩვენოს განსხვავებული სკოლის შენობები, სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეები, განსხვავებული სასკოლო ფორმებითა და საკლასო ოთახებით.

ამ საიტებზე დაათვალიერებთ ყველაზე განსხვავებულ და ორიგინალურ სკოლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
შემდეგ სახელმძღვანელოს გვ. 20-ზე კითხულობენ ტექსტს. ტექსტს კითხულობენ ნელა, გააზრებით, მასწავლებელმა შესაძლოა გააკეთოს კომენტარები კითხვის პროცესში. მასწავლებელი სთხოვს, ვისაც აქვს სურვილი, საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს, რაც ტექსტიდან დაამახსოვრდა.
ბავშვები გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა აქვთ ამ სკოლებს საერთო და რით განსხვავდებიან, რა აერთიანებთ სკოლებს. მასწავლებელმა შესაძლოა დაფაზე ჩამოწეროს მახასიათებლები.
მასწავლებელი უსმენს და სიტყვიერ, წამახალისებელ, განმავითარებელი კომენტარებს უკეთებს. ამის შემდეგ მუშაობენ მოსწავლის რვეულში, გვ. 20-ზე.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რა აქვთ საერთო სკოლებს? რით განსხვავდებიან?

**რესურსი**

სახელმძღვანელო, გვ. 21; მოსწავლის რვეული: გვ. 21

## აქტივობა 16:

ბავშვები კითხულობენ სახელმძღვანელოში, გვ. 21-ზე ტექსტს: „გიორგი სკოლაში“, მასწავლებელი თავად შეარჩევს კითხვის სასურველ სტრატეგიას, შემდეგ მუშაობას იწყებენ მოსწავლის რვეულში: გვ. 21-ზე, სადაც საკუთარ თავზე ავსებენ კითხვარს, ამის შემდეგ კი ხმამაღლა კითხულობენ და ერთმანეთს უზიარებენ იმ ინფორმაციას, რომელიც რვეულში ჩაწერეს.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- ჩემს შესახებ რა ინფორმაციის გაზიარება მსურს თანაკლასელებთან?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 22; მოსწავლის რვეული: გვ. 22

## აქტივობა 17:
### კითხვების ლაბირინთი

მასწავლებელი ბავშვებს უხსნის თამაშის წესებს, სახელმძღვანელოს გვ. 22-ზე მოთავსებულია კითხვების ლაბირინთი, შესაძლოა ბავშვებმა წყვილებშიც ითამაშონ და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარ თავზე ინფორმაცია ან მასწავლებელმაც ითამაშოს მათთან ერთად, რაც სასიამოვნო და უშუალო ატმოსფეროს შექმნის.
თამაშის დასრულების შემდეგ მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში: გვ. 22-ზე.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რომელი შეკითხვა შეგხვდა?

## აქტივობა 18:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 23; მოსწავლის რვეული: გვ. 23

მასწავლებელი კითხულობს ტექსტის სათაურს: „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, ბავშვებს სთხოვს, გამოთქვან ვარაუდები, თუ რაზე იქნება ეს ტექსტი. ვარაუდებს მასწავლებელი დაფაზე ინიშნავს. ასევე სთხოვს, განმარტონ სიტყვა: თავლაფიანობა. შესაძლოა ამ სიტყვის ილუსტრაციებიც შექმნან.
ამის შემდეგ კითხულობენ ტექსტს.
ბავშვები წიგნში ფანქრით ხაზავენ მათთვის უცნობ სიტყვებს, შემდეგ კი მასწავლებელი განუმარტავთ.
ტექსტის ქვემოთ დართულ კითხვებზე მსჯელობენ.
მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, როგორ ფიქრობენ, რომელი წესი დაარღვიეს ბიჭებმა? რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ ერთმანეთს ნივთები გაუზიარონ?
მუშაობა გრძელდება მოსწავლის რვეულში, გვ. 23.
ახალი წესიც მზადაა:
ერთმანეთს ყოველთვის ვუზიარებთ ნივთებს!

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რომელი მნიშვნელოვანი წესი დაარღვიეს ბიჭებმა?

## აქტივობა 19:

**რესურსი**

სახელმძღვანელო, გვ. 24;

მასწავლებელი დაფაზე წერს თვალსაჩინოდ: „წიგნი“, თითო ბავშვი კი ასახელებს ერთ მიზეზს, რატომ უნდა წაიკითხონ წიგნები, ოღონდ ერთმანეთის მოსაზრება არ უნდა გაიმეორონ. მასწავლებელი „წიგნს“ ამ მოსაზრებებს სხივებად უწერს.
ამის შემდეგ კითხულობენ ლექსს: „სიმღერა წიგნზე“, აქ კარგი იქნება რომელიმე საინტერესო და სახალისო კითხვის სტრატეგიის გამოყენება.
მუშაობენ ლექსიკასა და ტექსტის გაგება-გააზრებაზე.
კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ბავშვებს ხელნაკეთ წიგნებს დაამზადებინებს. ძალიან მარტივად, დაახლოებით ასე:





**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რაში გვჭირდება წიგნები?

## აქტივობა 20:

**რესურსი**

მოსწავლის რვეული: გვ. 24

მასწავლებელი გეგმავს სტუმრობას სკოლის ბიბლიოთეკაში, ბავშვები ათვალიერებენ წიგნებს, ნახულობენ ძველ, რესტავრირებულ წიგნებს. მშვენიერი იქნება, თუ ბიბლიოთეკარი გაესაუბრება მათ მოფრთხილების აუცილებლობაზე.

მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში, გვ. 24.
კიდევ ერთი ახალი წესიც მზადაა!
წიგნებსა და სასკოლო ნივთებს ვუფრთხილდებით.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- როგორ უნდა მოვეპყროთ წიგნებს?
- რატომაა მნიშვნელოვანი, რომ წიგნებს გავუფრთხილდეთ?

## აქტივობა 21:
### წესების ხე

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 25, მოსწავლის რვეული: გვ. 25

ბავშვები ამ თავში აღმოჩენილ წესებს კითხულობენ, არჩევენ მათგან ყველაზე მნიშვნელოვან და მათი აზრით საჭირო წესებს. შაბლონის მიხედვით (იხ. დანართი) ჭრიან ვაშლებსა და ფოთლებს, ხის ტანი მასწავლებელს წინასწარ აქვს მომზადებული. შესაძლოა წყვილებშიც იმუშაონ, მასწავლებელმა მათ საქმე თანაბრად უნდა გადაუნაწილოს. საბოლოოდ ხის ტანს აწებებენ ფოთლებსა და წესების ვაშლებს, ეს ჯადოსნური ხეც მზადაა, ახლა მთავარია, მათი დაცვა შეძლონ!
შესაძლოა, თითოეული წესი თითო მოსწავლემ წარადგინოს, წარდგენის ფორმა კი მან მოიფიქროს: ილუსტრაცია, პლაკატი, პრეზენტაცია და სხვა.
რჩევა მასწავლებელს:
ბავშვებმა წესების დაცვა რომ შეძლონ, აუცილებლად წაახალისეთ, არ დაგავიწყდეთ არცერთი მომენტის აღნიშვნა, როდესაც თქვენი რომელიმე მოსწავლე ერთ წესს მაინც დაიცავს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულებშიც, გვ. 25.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა მნიშვნელობა აქვს წესების ხის შექმნას ჩვენთვის?
- როგორ შევარჩიო საჭირო და აუცილებელი წესები?

## აქტივობა 22:
### თემის „სკოლა“ შეჯამება

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 26, მოსწავლის რვეული: გვ. 26.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს განვლილ თემას, ბავშვები მსჯელობენ, გამოთქვამენ მოსაზრებებს. მუშაობენ მოსწავლის რვეულში, აკეთებენ თვითშეფასებასა და თვითრეფლექსიას.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- სკოლის თემიდან რა მომეწონა ყველაზე მეტად?
- რა გამიჭირდა და რატომ?

**დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- რომელი ტექსტი მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ?
- რომელ წესს გამოარჩევდი და რატომ?
- რომელი ტექსტები უკავშირდება შენს ცხოვრებას?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე: რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- განსაკუთრებით რა გაგიადვილდა? რა გაგიძნელდა, რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?
- რჩევა მასწავლებლებს: შეეცადეთ, რომ წესები ბავშვებმა ჩამოაყალიბონ პოზიტიური ფორმულირებით, მაგალითად: სკოლაში დროულად ვცხადდებით და არა სკოლაში არ ვაგვიანებთ, ან გაკვეთილზე ვუსმენთ მასწავლებელს და არა გაკვეთილზე არ ვხმაურობთ და ა.შ.

დანართებად წარმოდგენილი სქემები, ამობეჭდვის ნაცვლად, შესაძლოა ბავშვებმა რვეულებში, ფანქრით მარტივად ჩახაზონ და იქვე შეავსონ.

კარგი იქნება, ბავშვებს, გარდა მოსწავლის რვეულებისა, თუ ექნებათ უბრალო სამუშაო რვეულებიც, სადაც სქემებს ჩახაზავენ და ლექსიკაზე იმუშავებენ.

## დანართი:

რესურსი 1: ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)
რესურსი 2: თხრობის რუკა
რესურსი 3: კითხვის სტრატეგიები
რესურსი 4: წესების ხის შაბლონები

# თავი 2 — ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით

| თემატური მატრიცა | |
|---|---|
| საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა<br><br>ძირითადი რესურსი/ტექსტი – „კეთილი ამხანაგები“, „ყვავი და გვირილები“, „შვიდფერა ყვავილი“, „ვინ რა ინატრა“, „პატარა მსახიობები“, „ფიქრების ყუთი“, „პაპა“<br><br>**მთავარი საკითხი**: ტექსტების: „კეთილი ამხანაგები“, „ყვავი და გვირილები“, „შვიდფერა ყვავილი“, „ვინ რა ინატრა“, „პატარა მსახიობები“, „ფიქრების ყუთი“, „პაპა“ – პერსონაჟების გაანალიზება და თვითშეფასების „ხელების ყვავილის შექმნა“.<br><br>კლასი: მეორე კლასი | |
| **თემა: „ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით“** | საათების სავარაუდო რაოდენობა: |
| **თემატური მატრიცის სარჩევი**<br><br>შუალედური მიზანი **2.** ხელების ყვავილი **(სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** | |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრები)<br>შედეგები: I 2; I 3; I 4; I 5;<br><br>ქვეცნება – **შინაარსობრივი მხარე**<br><br>**ქვესაკითხი:** მთავარი იდეა/დედააზრი;<br><br>**ქვესაკითხი:** ძირითადი საკითხი/პრობლემა; | საკითხი – ტექსტების: „კეთილი ამხანაგები“, „ყვავი და გვირილები“, „შვიდფერა ყვავილი“, „ვინ რა ინატრა“, „პატარა მსახიობები“, „ფიქრების ყუთი“, „პაპა“ – პერსონაჟების გაანალიზება და თვითშეფასების „ხელების ყვავილის შექმნა“.<br>ქვესაკითხი: ტექსტების: „კეთილი ამხანაგები“, „ყვავი და გვირილები“, „შვიდფერა ყვავილი“, „ვინ რა ინატრა“, „პატარა მსახიობები“, „ფიქრების ყუთი“, „პაპა“ – მთავარი იდეის/დედააზრის ამოცნობა, ძირითადი საკითხის/პრობლემის იდენტიფიკაცია, პერსონაჟების **ქცევის, მოტივაციის, შინაგანი სამყაროს – ფასეულობების, დამოკიდებულებების, პიროვნული მახასიათებლების, ემოციების, სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობების გაანალიზება.** ტექსტის გაგება-გააზრება – წერის, კითხვისა და მოსმენის სტრატეგიები. ტექსტის ერთეულები – სიტყვა, წინადადება. |

| | |
|---|---|
| **ქვესაკითხი: პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან.**<br><br>**ქვეცნება: ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირების სტრატეგიები.**<br>**ქვესაკითხი: კითხვის სტრატეგიები, მოსმენის სტრატეგიები, წერის სტრატეგიები.**<br><br>**სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი**<br>**შედეგები:** (I).4, 5, 6<br>**ქვეცნება: ტექსტის ერთეულები**<br>**ქვესაკითხი: სიტყვა, წინადადება.** | • საკვანძო შეკითხვა: მოცემულ ტექსტებში როგორ, რა ხერხებით ამოვიცნო მთავარი იდეა/დედააზრი?<br>• როგორ მივაგნო ძირითად საკითს? როგორ გამოვყო პრობლემა?<br>• როგორ ამოვიცნო პერსონაჟის შინაგანი სამყარო? ფასეულობები? მოტივაცია? პიროვნული მახასიათებლები?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოთხრობის გასაგებად?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოსასმენად?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო ჩემი თვითშეფასების ტექსტად ჩამოსაყალიბებლად?<br>• როგორ შევაკავშირო სიტყვები და ვაქციო წინადადებად?<br>• როგორ ჩამოვაყალიბო ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები?<br><br>**კომპლექსური დავალება**<br>წაიკითხე ტექსტები: „კეთილი ამხანაგები“, „ყვავი და გვირილები“, „შვიდფერა ყვავილი“, „ვინ რა ინატრა“, „პატარა მსახიობები“, „ფიქრების ყუთი“, „პაპა“, იმსჯელე მათ მთავარ იდეაზე, დაახასიათე პერსონაჟები და ამის საფუძველზე შექმენი შენი თვითშეფასების „ხელების ყვავილი“.<br><br>ნაბიჯი პირველი – წაიკითხე და გაეცანი – „კეთილი ამხანაგები“<br>ნაბიჯი მეორე – დაასახელე, მოყევი „ყვავი და გვირილები“<br>ნაბიჯი მესამე – აღწერე, გამოიყენე მიღებული ცოდნა – „შვიდფერა ყვავილი“ , ენობრივი ცოდნა<br>ნაბიჯი მეოთხე – იმსჯელე, დაადგინე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი – ჩვენ ყველანი განსხვავებულები ვართ“, თამაში – „ვინ ვარ მე“, „ფანქრების ყუთი“, „პაპა“<br>ნაბიჯი მეხუთე – განაზოგადე – „ხელების ყვავილზე“ მუშაობა. |

| | |
|---|---|
| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>სამიზნე ცნება – ტექსტი<br>1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.<br>2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.<br>3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება<br><br>სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი<br>1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად).<br>2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება.<br>3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. | **დავალების შეფასების კრიტერიუმები:**<br>(კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>***<u>თვითშეფასების „ხელების ყვავილის“ შექმნისას წარმოაჩინე:</u>***<br>• პერსონაჟების შეფასებისა და დახასიათების ის გამოცდილება, რომელიც ტექსტების კითხვისას დააგროვე. (ტ.1. ტ.2)<br>• თვითშეფასების „ხელების ყვავილის“, თითოეული კომპონენტის მიზნის შესაბამისი ენობრივი საშუალებები (სიტყვები და წინადადებები) (ს.1). |

# კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

ამ თემაში ძალიან საინტერესო ტექსტები შეგხვდება, დაკვირვებით წაიკითხე და დაამუშავე, იმსჯელე პერსონაჟების ხასიათზე, მათ თვისებებზე, მათ გუნება-განწყობაზე. როცა უკვე კარგად გაიგებ, როგორ უნდა დაახასიათო პერსონაჟი, როგორ აღნიშნო მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ჯერი შენზე მიდგება. დაფიქრდი, რა მოგწონს ან არ მოგწონს საკუთარ თავში:

1. ფერად ფურცელზე დახატე შენი ხელი და ამოჭერი.
2. ხელის გულზე დაწერე შენი სახელი. თითებზე კი ჩამოწერე:

ა. რა მოგწონს საკუთარ თავში.

ბ. რას აკეთებ ყველაფერზე კარგად.

გ. რა არ მოგწონს.

დ. რა არ გამოგდის კარგად.

3. კლასელებთან ერთად საკლასო ოთახის კედელზე ამ ხელებისგან ააწყვეთ ყვავილი.

**აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.**
**აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება.**

***გეზისმიმცემი შეკითხვები:***

- რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რის ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ დავალების შესასრულებლად?
- როგორ გესმით, რა არის თვითშეფასება?
- რაში გვჭირდება ჩვენ საკუთარ თავზე დაფიქრება?
- ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზება?
- რა მოხდება, თუ არ გვეცოდინება, რა არის ჩვენი სუსტი მხარე და რა კუთხით გვაქვს სამუშაო?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, ჩვენი ძლიერი მხარე (რაც მოგვწონს) გამოვიყენოთ სუსტი მხარის (რაც არ მოგვწონს) გასაძლიერებლად?
- თვითშეფასების „ხელების ყვავილის“ შესაქმნელად რა უნდა გავითვალისწინო?
- გიფიქრია თუ არა შენს სუსტ მხარეზე?
- ძლიერ მხარეზე?
- რომელია შენი საყვარელი პერსონაჟი? (ტექსტიდან, ანიმაციური ფილმიდან) რატომ?
- ამ პერსონაჟის რომელი თვისება მოგწონს?
- რომელი პერსონაჟი იწვევს შენში ანტისიმპათიას (ტექსტიდან, ანიმაციური ფილმიდან)? რატომ?
- ამ პერსონაჟის რომელი თვისება არ მოგწონს?

**რესურსი**

მოსასმენი – კომპლექსური დავალება: თვითშეფასების „ხელების ყვავილები“ – ტექსტი

**რესურსი**

ძირითადი ტექსტი –
„კეთილი ამხანაგები“,
„ყვავი და გვირილები“,
„შვიდფერა ყვავილი“,
„ვინ რა ინატრა“,
„პატარა მსახიობები“,
„ფიქრების ყუთი“,
„პაპა“

**ეტაპი II** – კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა
ნაბიჯი 1. რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის გასაგებად? მოსასმენად?
პერსონაჟების შეფასებისა და დახასიათების ის გამოცდილება, რომელიც ტექსტების კითხვისას დააგროვე. (ტ.1. ტ2)
თვითშეფასების „ხელების ყვავილის“, თითოეული კომპონენტის მიზნის შესაბამისი ენობრივი საშუალებები (სიტყვები და წინადადებები) (ს.1)

## აქტივობა 1:
### ილუსტრაციის აღწერა: აღწერე ილუსტრაცია ანიმაციური ფილმიდან: „წვრილფეხა“

ბავშვები საუბრობენ ილუსტრაციაზე, მასწავლებელი უსვამს ისეთ შეკითხვებს, რომ ბავშვებმა შეძლონ პერსონაჟების დახასიათება და მათ ნიშან-თვისებებზე საუბარი. მასწავლებელი საჩვენებლად ახასიათებს ერთ პერსონაჟს, სთავაზობს სიტყვების ბანკს: „მაღალი“, „დაბალი“. „ბრაზიანი“, „მხიარული“, მოსწავლემ უნდა აირჩიოს ერთი პერსონაჟი და დაახასიათოს. შესაძლოა დახატოს კიდეც საკუთარი ინტერპრეტაციით.
ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას:
როგორი ხარ შენ?
მოსწავლეები ხატავენ ავტოპორტრეტებს და გარშემო უწერენ თვისებებს. (ავტოპორტრეტის დასახატად, შესაძლოა გამოიყენოთ შაბლონი (იხ. რესურსი).
მოსწავლის რვეულში მუშაობენ: გვ. 29.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორები არიან გმირები?
- როგორი ხარ შენ?

## აქტივობა 2.

**რესურსი**

სახელმძღვანელო:
გვ. 28, მოსწავლის
რვეული: გვ. 28

„კეთილი ამხანაგები“, სახელმძღვანელო: გვ. 28
სათაურის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა
მსჯელობა: რა არის სიკეთე?
ტექსტის კითხვა სასურველი კითხვის სტრატეგიით
ტექსტის გაგება-გაანალიზება (კითხვები)
პერსონაჟის სქემის შევსება (იხ. დანართი )
დაახასიათე ნინო, დაახასიათე კატო.
მათი თვისებების შედარება.
დავალება: მოსწავლის რვეული: გვ. 28

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- რამ შეცვალა ნინო? (როგორი იყო ავადმყოფობამდე? ავადმყოფობის შემდეგ?)

## აქტივობა 3:
**ლექსის: „ყვავი და გვირილები“ გაცნობა**

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, წყვილში წაიკითხონ ლექსი: „ყვავი და გვირილები“, ამოიწერონ/მოინიშნონ სიტყვები, რომლებიც აღწერენ პერსონაჟებს.
ბავშვები წარადგენენ დავალებას. აკვირდებიან სიტყვებს.

მასწავლებელი კიდევ ერთხელ ხმამაღლა კითხულობს ტექსტს. მუშაობენ გაგება-გააზრებაზე, ლექსის ქვემოთ მოცემული კითხვებით. ბავშვები მსჯელობენ, თავად თუ არიან მეგობრები, საუბრობენ, იხსენებენ კონკრეტულ მომენტს, როდესაც მათ გულისხმიერება გამოიჩინეს მეგობრის მიმართ.

შემდეგ ისევ უბრუნდებიან სიტყვებს. მასწავლებელი განმარტავს, რომ სიტყვები შეიძლება იყოს მარტივი და შედგენილი.

მსჯელობენ გვ. 31-ზე მოცემულ ილუსტრაციაზე. ახალ სიტყვებზე იგონებენ წინადადებებს და წერენ რვეულებში ან მუშაობენ მოსწავლის რვეულში, გვ. 30, 31.

დავალებად ვაძლევთ: დაახასიათონ გვირილები ან ყვავი.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- როგორ ფიქრობ, შენ თუ ხარ მეგობრული?

**რესურსი**

სახელმძღვანელო, გვ. 30, 31. მოსწავლის რვეული: გვ. 30, 31.

## აქტივობა 4:

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს: „შვიდფერა ყვავილი“, იყენებს პაუზებით კითხვის სტრატეგიას (იხ. დანართი).
ტექსტის გაგება-გააზრება – დართული კითხვებით.
ახალ ლექსიკაზე მუშაობა, მოსწავლის რვეული: გვ. 32
დავალებად შესაძლოა მიეცეთ: ამ ტექსტის დასაწყისის მოფიქრება (კლასში მუშაობაც კარგი იქნება), ან მოსწავლის რვეული: გვ. 32.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ ახასიათებს მწერალი ძაღლს?
- რა გრძნობა გაუჩნდა ანას, როცა მიხვდა, რომ დაიკარგა?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ 32, მოსწავლის რვეული: გვ. 32

## აქტივობა: 5
**ტექსტის „პირველი სურვილი“ დამუშავება**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 33; მოსწავლის რვეული: გვ. 33

სანამ მასწავლებელი ტექსტს ახსნის, ბავშვებს უსვამს კითხვას: რას ინატრებდით, ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეთ? ბავშვები პასუხობენ. ამის შემდეგ კითხულობენ ტექსტს: „პირველი სურვილი“.
ახალ სიტყვებს ამუშავებენ (იხ. დანართი), ტექსტის გაგება-გააზრებისთვის მასწავლებელს კითხვები ბარათებზე აქვს დაწერილი წინასწარ, ეს ბარათები ქისაში ან ყუთში აქვს მოთავსებული, მოსწავლეები რიგრიგობით იღებენ ბარათებს და პასუხობენ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 33.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- შენი აზრით, რას იგრძნობდა ანა, როცა დედაბერმა ჯადოსნური ყვავილი შესთავაზა?
- როგორ ფიქრობ, რატომ იყო ანას პირველი სურვილი „შინ დაბრუნება“?
- მის ადგილას რომ იყო, რა იქნებოდა შენი პირველი სურვილი? რატომ?

## აქტივობა 6:
**კომიქსი „ანას სხვადასხვა სურვილი“**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 34, მოსწავლის რვეული: გვ. 34

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, თუ გაუგიათ, უნახავთ ან წაუკითხავთ, რა არის კომიქსი? ბავშვები პასუხობენ. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ჩაიხედონ სახელმძღვანელოში, გვ. 34-ზე, დააკვირდნენ კომიქსს, ამოიკითხონ ღრუბლებში ჩაწერილი ტექსტები და გამოიცნონ ანას სხვადასხვა სურვილი.
მასწავლებელი ურთავს მოსასმენს. ბავშვები ინიშნავენ მნიშვნელოვან სიტყვებს.
ბავშვები ხატავენ საკუთარ სურვილებს, ჯადოსნური ყვავილი რომ ჰქონდეთ, რას ინატრებდნენ.
დავალება: მოსწავლის რვეული, გვ. 34. ანას სხვა სურვილები.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- შენ რომ გქონდეს ჯადოსნური ყვავილი, რას ინატრებდი?
- რა დაგეხმარა კომიქსში ანას სხვა სურვილების ამოსაკითხად?

## აქტივობა 7:
### „უკანსაკნელი სურვილი“

მასწავლებელი სანამ ტექსტს გააცნობს ბავშვებს, აჩვენებს მოკლე ანიმაციურ ფილმს „სკარლეტს“, ამის შემდეგ ბავშვები ცდილობენ გამოიცნონ, რა იქნება ანას უკანასკნელი სურვილი.

ტექსტს ამუშავებენ რომელიმე სტრატეგიის დახმარებით (იხ. დანართი).

რომელი სურვილია საუკეთესო? – ამ კითხვის გარშემო იმართება მცირე დისკუსია.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში, გვ, 35.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- ანას შვიდი სურვილიდან რომელი მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ?
- მოგეწონა ამბის დასასრული? რატომ?
- რა თვისება ჩანს ანას უკანასკნელ სურვილში?

https://bit.ly/3y4lpi6

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 35, მოსწავლის რვეული: გვ. 35

## აქტივობა 8:

ბავშვები მუშაობენ ნამდვილ და გამოგონილ ამბავზე.
სახელმძღვანელო: გვ. 36.
მუშაობენ სახელმძღვანელოს რვეულში: გვ. 36. აღწერენ საკუთარ თავს, იგონებენ დაუჯერებელ ამბავს საკუთარ თავზე. კლასში ხმამაღლა კითხულობენ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორი ვარ მე?
- როგორია ნამდვილი ამბავი?
- როგორია გამოგონილი ამბავი?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 36, მოსწავლის რვეული: გვ. 36

## აქტივობა 9:
### ლექსი: „ვინ რა ინატრა?“

ამ ლექსზე მუშაობისას კარგი იქნება, თუ ექოდ კითხვის სტრატეგიას გამოვიყენებთ ან გუნდური კითხვისას (იხ. დანართი).
ბავშვები აგრძელებენ ლექსს და იგონებენ, რა ინატრა კატამ? ძაღლმა? და ა.შ.
ლექსიკა მუშავდება ერთ-ერთი სტრატეგიით (იხ. დანართი).
ბავშვები მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 37.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ გესმის „ნატვრა“?
- შენ რას ინატრებდი?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 37; მოსწავლის რვეული: გვ. 37

https://bit.ly/3SMkBIj

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 38, მოსწავლის რვეული: გვ. 38

## აქტივობა 9:

ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს სახელმძღვანელოს გვ. 38-ზე მოცემული ილუსტრაციის შესახებ. უსმენენ მოსასმენს, კლასში იმართება პატარა დისკუსია ილუსტრაციის ქვეშ მოცემული კითხვარის დახმარებით.
შესაძლოა ნახონ ანიმაციური ფილმი: „იანი".

მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში: გვ. 38.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- გარდა გარეგნობისა, კიდევ რით განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან?
- შენი აზრით, როგორი იქნებოდა სამყარო, ყველა ადამიანი რომ ერთმანეთს ჰგავდეს?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 39, მოსწავლის რვეული: გვ. 39

## აქტივობა 10:

ბავშვები კითხულობენ სახელმძღვანელოში გვ. 39-ზე მოცემულ ტექსტს, მსჯელობენ. ახასიათებენ პატარა მსახიობებს. ხატავენ მეგობრის პორტრეტს, წარადგენენ კლასის წინაშე, ახასიათებენ და ჰყვებიან მასზე.

მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 39.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რა აქვთ საერთო პატარა მსახიობებს? რით განსხვავდებიან ისინი?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 40; მოსწავლის რვეული: გვ. 40

## აქტივობა 11:

ბავშვები კითხულობენ სახელმძღვანელოს გვ. 40-ზე მოცემული თამაშის ინსტრუქციას, ინსტრუქციის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი უსვამს დამაზუსტებელ შეკითხვებს.
იწყებენ თამაშს.
თამაშის დასრულებისას მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 40.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- ვინ ვარ მე?
- როგორია ჩემი კლასელი?
- როგორ ვითამაშო თამაში სწორად?
- რომელი სტრატეგია გამოვიყენო თამაშის ინსტრუქციის გასააზრებლად?

## აქტივობა 12:

მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს ამ თემაში განვლილ ტექსტებს, ბავშვები იხსენებენ პერსონაჟებს, საუბრობენ, რომელი მოეწონათ და რატომ, ახასიათებენ, საუბრობენ მათზე. გამოყოფენ ნამდვილი და მოგონილი ამბების პერსონაჟებს. მსჯელობენ სახელმძღვანელოს გვ. 41-ზე მოცემულ კომიქსზე, კითხულობენ.

მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში, გვ. 41-ზე. ნამუშევრებს წარადგენენ და უზიარებენ ერთმანეთს.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რომელი პერსონაჟი მომეწონა? რატომ?
- რომელი გამოგონილი ამბავი იყო ჩემთვის ყველაზე საინტერესო? რატომ?
- რომელი ნამდვილი ამბავი იყო ჩემთვის ყველაზე საინტერესო? რატომ?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 41; მოსწავლის რვეული: გვ. 41

## აქტივობა 13:

მასწავლებელი ხატავს ცისარტყელას დაფაზე ან პოსტერზე, სასურველია, შვიდივე ფერი გამოიყენოს. ბავშვებს ეკითხება, რატომაა ის ასეთი ლამაზი? პასუხებს დაფაზე ინიშნავს. ამის შემდეგ ბავშვები კითხულობენ „ფანქრის ყუთს“, გაგრძელებებით. ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობენ კითხვების მეშვეობით.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რომელი პერსონაჟი მომეწონა? რატომ?
- რომელი გამოგონილი ამბავი იყო ჩემთვის ყველაზე საინტერესო? რატომ?
- რომელი ნამდვილი ამბავი იყო ჩემთვის ყველაზე საინტერესო? რატომ?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 42; მოსწავლის რვეული: გვ. 42

## აქტივობა 14:

მასწავლებელი ბავშებს ეკითხება, თუ როგორ ესმით გაფუჭებული ტელეფონი. ბავშვები აკვირდებიან სახელმძღვანელოს გვ. 43-ზე სურათს და გამოთქვამენ ვარაუდებს. ტექსტს კითხულობენ რიგრიგობით: ერთი ბავშვი კითხულობს დამახინჯებულ ტექსტს და მეორე ცდილობს გამოასწოროს და ისე წაიკითხოს იგივე წინადადება. მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში: გვ. 43-ზე.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ ამოვიცნო ტექსტში შეცდომა?
- კონტექსტის მიხედვით როგორ შევარჩიო სწორი სიტყვა?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 43; მოსწავლის რვეული: გვ. 43

## აქტივობა 15:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 44; მოსწავლის რვეული: გვ. 44

სახელმძღვანელოში გვ. 44-ზე მოცემულ ტექსტს – „პაპა“, ბავშვები როლური კითხვის სტრატეგიით ამუშავებენ (იხ. დანართი). ეპიზოდებს გამოყოფენ და ასათაურებენ. მსჯელობენ ტექსტის ძირითად საკითხზე, იმართება მცირე დისკუსია.
ბავშვები ტექსტს უკავშირებენ საკუთარ ცხოვრებას და იხსენებენ ზრუნვის მაგალითებს, როგორ ზრუნავენ ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, კლასელებზე.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 44.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?
- როგორ ზრუნავ შენ?

## აქტივობა 16:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 45; მოსწავლის რვეული: გვ. 45; თაბახის ფურცელი, ფერადი ფანქრები, მარკერები ან საღებავები, წებო.

„ხელების ყვავილის შექმნა“, ბავშვები მიყვებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციას, გვ. 45, მოსწავლის რვეული: გვ. 45

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა მომწონს ჩემს თავში?
- რა არ მომწონს?
- რას ვაკეთებ ყველაზე უკეთ?
- რა არ გამომდის?

დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):

- რომელი ტექსტი მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ?
- რომელი ტექსტები უკავშირდება შენს ცხოვრებას?
- რომელ პერსონაჟს ჰგავხარ? რატომ ფიქრობ ასე?
- ყველაზე მეტად რომელი ტექსტისა და პერსონაჟის გაანალიზება დაგეხმარა თვითშეფასების „ხელების ყვავილის შექმნაში"?
- რა დაგეხმარა შენს შესახებ წინადადების ჩამოყალიბებაში?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე – რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- განსაკუთრებით რა გაგიადვილდა? რა გაგიძნელდა, რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამო-გიყენებია?
- რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?

**რჩევა მასწავლებლებს:**

დანართებად წარმოდგენილი სქემები, ამობეჭდვის ნაცვლად, შესაძლოა ბავშვებმა რვეულებში, ფანქრით მარტივად ჩახაზონ და იქვე შეავსონ.

კარგი იქნება, ბავშვებს, გარდა მოსწავლის რვეულებისა, თუ ექნებათ უბრალო სამუშაო რვეულებიც, სადაც სქემებს ჩახაზავენ და ლექსიკაზე იმუშავებენ.

## დანართი:

რესურსი 1: ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)
რესურსი 2: თხრობის რუკა
რესურსი 3: კითხვის სტრატეგიები
რესურსი 4: წესების ხის შაბლონები

## თავი 3 — დღესასწაულები და საჩუქრები

| თემატური მატრიცა |
|---|
| საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა<br><br>ძირითადი რესურსი/ტექსტი – „რატომ გვიყვარს შემოდგომა“, „დიდედები და შვილიშვილები“, „ოქროსფერი შემოდგომა“, „დღესასწაულები“, „საჩუქრები, საჩუქრები“, „როგორ მაჩუქეს ოთახი“ , „ზამთარი“, „დათიკოსა და ნანას საახალწლო საჩუქრები“, „როგორ მოიპარა გრინჩმა შობა“, ვაჟა-ფშაველა „სათაგური“<br><br>**მთავარი საკითხი**: მოცემული ნიმუშისა და შერჩეული/სასურველი ტექსტის მიხედვით ჩრდილების წარმოდგენის მოწყობა.<br><br>კლასი: მეორე კლასი |
| **თემა: „დღესასწაულები და საჩუქრები“** საათების სავარაუდო რაოდენობა: |
| **თემატური მატრიცის სარჩევი**<br><br>შუალედური მიზანი **2.** ჩრდილების წარმოდგენა<br><br>**(სამიზნე ცნება** – ტექსტი (ჟანრები); **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრები)<br><br>შედეგები: I 2; I 3; I 4; I 5;<br><br>ქვეცნება – **შინაარსობრივი მხარე** | საკითხი – მოცემული ნიმუშისა და შერჩეული/სასურველი ტექსტის მიხედვით ჩრდილების წარმოდგენის მოწყობა.<br><br>ქვესაკითხი: „რატომ გვიყვარს შემოდგომა“, „დიდედები და შვილიშვილები“, „ოქროსფერი შემოდგომა“, „დღესასწაულები“, „საჩუქრები, საჩუქრები“, „როგორ მაჩუქეს ოთახი“ , „ზამთარი“, „ზამთარი“ (ნ. დუმბაძე), „დათიკოსა და ნანას საახალწლო საჩუქრები“, „როგორ მოიპარა გრინჩმა შობა“, ვაჟა-ფშაველა „სათაგური – მთავარი და არამთავარი ინფორმაცია, სიუჟეტის განვითარების საფეხურები, ეპიზოდი, დიალოგი, პერსონაჟი, ავტორი, მთხრობელი, თხრობა – თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა, თხრობისას დროითი მიმართებების გამოხატვა. |

| | |
|---|---|
| **ქვესაკითხები:**<br>მთავარი და არამთავარი ინფორმაცია;<br>**სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);**<br>**ეპიზოდი; დიალოგი.**<br>**მოქმედების დრო და ადგილი;**<br>**პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები;**<br>**პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან;**<br>**ავტორი, მთხრობელი;**<br>**ქვეცნება**<br>**კითხვის გაგება-გააზრებისა და პროდუცირების სტრატეგიები**<br>**ქვესაკითხი: კითხვის სტრატეგიები, მოსმენის სტრატეგიები, წერის სტრატეგიები**<br>**ქვეცნება**<br>**სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება**<br>**ქვესაკითხი**<br>**თხრობა – თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);**<br><br>**სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი**<br>**შედეგები:** (I).4, 5, 6<br>**ქვეცნება: სამეტყველო ქმედებათა განსახორციელებელი ენობრივი საშუალებები**<br>**ქვესაკითხი: დროითი მიმართებების გამოხატვა (მაგ., თხრობისას);** | საკვანძო შეკითხვა:<br>• მოცემულ ტექსტებში როგორ, რა ხერხებით გავმიჯნოთ მთავარი და არამთავარი ინფორმაცია?<br>• როგორ გამოვყო და მივაგნო დასაწყისს, შუა ნაწილსა და დასასრულს?<br>• როგორ შევარჩიო ეპიზოდი?<br>• როგორ ამოვიცნო დიალოგი?<br>• როგორ განვსაზღვრო მოქმედების დრო და ადგილი?<br>• როგორ ამოვიცნო პერსონაჟები?<br>• როგორ გავაცოცხლო და ავამეტყველო?<br>• როლების გადანაწილებისთვის რა უნდა გავითვალისწინო?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოთხრობის გასაგებად?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოსასმენად?<br>• როგორ გავხდე კარგი მთხრობელი? რა გავითვალისწინო? რას უნდა დავაკვირდე?<br>• ჩრდილების წარმოდგენისას, თხრობისას სწორად როგორ განვსაზღვრო დრო? დროითი მიმართებები?<br>• როგორ მოვირგო პერსონაჟის როლი?<br>• რა გავითვალისწინო შესაბამისი ინტონაციისთვის?<br>• როგორ წარვმართო დიალოგი?<br><br>**კომპლექსური დავალება**<br>ტექსტებიდან: „რატომ გვიყვარს შემოდგომა“, „დიდედები და შვილიშვილები“, „ოქროსფერი შემოდგომა“, „დღესასწაულები“, „საჩუქრები, საჩუქრები“, „როგორ მაჩუქეს ოთახი“ , „ზამთარი“, „დათიკოსა და ნანას საახალწლო საჩუქრები“, „როგორ მოიპარა გრინჩმა შობა“, ვაჟა-ფშაველა „სათაგური“ – კლასელებთან/ჯგუფთან ერთად შეარჩიე ერთ-ერთი და პიესა „სათაგურის“ ნიმუშის მიხედვით (წიგნი: გვ. 67) მოაწყვე ჩრდილების წარმოდგენა.<br><br>ნაბიჯი პირველი – წაიკითხე და გაეცანი – „ვეცნობით დღესასწაულებს“.<br>ნაბიჯი მეორე – დაასახელე, მოყევი – „საჩუქრები, საჩუქრები“<br>ნაბიჯი მესამე – აღწერე, გამოიყენე მიღებული ცოდნა – „როგორ მაჩუქეს ოთახი“.<br>ნაბიჯი მეოთხე – იმსჯელე, დაადგინე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი – „ზამთარი“, „დათიკოს და ნანას საახალწლო საჩუქრები“, „როგორ მოიპარა გრინჩმა შობა“, სათაგური“, „მაკნატუნა“, შესწავლილი ენობრივი მასალა.<br>ნაბიჯი მეხუთე – განაზოგადე – ჩრდილების თეატრი. |

| | |
|---|---|
| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>სამიზნე ცნება – ტექსტი<br>1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.<br>2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.<br>3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.<br><br>სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი<br>1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად).<br>2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება.<br>3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. | **დავალების შეფასების კრიტერიუმები:**<br>(კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ჩრდილების თეატრის წარმოდგენისას წარმოაჩინე:<br>• მინიშნებების საფუძველზე სიღრმისეულად გააზრებული, ახალი, განსახვავებული კუთხით დანახული ტექსტი; (ტ.2)<br>• ის სტრუქტურა, თავისებური შინაარსი, ენა, ჟანრი, რომლითაც ეს ტექსტი გამორჩევა სხვებისგან; (ტ.3)<br>• ჩრდილების წარმოდგენისთვის, ტექსტიდან შერჩეული მიზნის შესაბამისი სიტყვები, წინადადებები, დროითი მიმართებები. (ს.1) |

## კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები

(აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

ძალიან საინტერესო თავგადასავალი გველის წინ! ჩვენი თემა სახალისო და მრავალფეროვანია, ზუსტად ისაა, რაც შენ ყველაზე მეტად გიყვარს! თემაში: „დღესასწაულები და საჩუქრები“ – ისეთი ტექსტებია თავმოყრილი, აუცილებლად რომ მოგეწონება. თითოეულ ტექსტს წავიკითხავთ, გავაანალიზებთ, ბოლოს კი ერთ-ერთ მათგანზე ჩრდილების წარმოდგენას მოვაწყობთ! რაც მთავარია, თემის ბოლოს ნიმუშიც გვაქვს, შეიძლება ზუსტად ამ ნიმუშის მიხედვით დავგეგმოთ ჩვენი წარმოდგენა.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

ტექსტები სიღრმისეულად გავიაზროთ და დავამუშავოთ;

ამოვიცნოთ მოქმედი პირები;

როლები გადავინაწილოთ;

დიალოგზე ვიმუშაოთ შესაბამისი ინტონაციით;

შევარჩიოთ შესაბამისი სიტყვები, წინადადებები.

კარგი იქნება, თუ ჩვენს წარმოდგენაზე სტუმრებს მოსაწვევებს დავუმზადებთ და მოვიპატიჟებთ.

**აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება;**
**აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება;**

***გეზისმიმცემი შეკითხვები:***

- რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რის ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ დავალების შესასრულებლად?
- როგორ გესმით, რა არის ჩრდილების წარმოდგენა?
- რა რესურსი დაგჭირდება წარმოდგენის მოსაწყობად?
- რა სტრატეგიებს გამოიყენებდი როლზე მუშაობისას?
- როგორ გავხდე კარგი მთხრობელი? რა გავითვალისწინო? რას უნდა დავაკვირდე?
- რა კრიტერიუმებით შეარჩევდი საჭირო ტექსტს?
- რაში დაგეხმარება ნიმუშის არსებობა?
- როგორ ფიქრობ, ამ დავალების შესრულება რა გამოცდილებას მოგცემს?
- რაში გამოგადგება ეს გამოცდილება?
- თუ გიმუშავია ადრე მსგავს დავალებაზე?

**რესურსი**

მოსასმენი – კომპლექსური დავალება: ჩრდილების წარმოდგენა

**ეტაპი II –** კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. მინიშნებების საფუძველზე სიღრმისეულად გააზრებული, ახალი, განსახვავებული კუთხით დანახული ტექსტი. (ტ.2)
სტრუქტურა, თავისებური შინაარსი, ენა, ჟანრი, რომლითაც ეს ტექსტი გამორჩევა სხვებისგან. (ტ.3)

## აქტივობა 1:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 48; მოსწავლის რვეული: გვ. 48

თემა იხსნება სურათების – „შემოდგომისა“ და „ზამთრის“ აღწერით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა მრავალფეროვანი ლექსიკა გამოიყენონ.
ლექსი „რატომ გვიყვარს შემოდგომა“ – ტექსტის გაგება-გააზრება, სახელმძღვანელოში მოცემული კითხვების საშუალებით.
საბოლოო დავალებისთვის შესაძლოა, ბავშვებმა ეს ლექსიც გამოიყენონ, თუ შემოდგომაზე შეარჩევენ ტექსტს.
მუშაობას აგრძელებენ მოსწავლის რვეულში: გვ. 48.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რატომ გიყვარს შემოდგომა?
- რით გამოარჩევ ამ ლექსს სხვა ტექსტებისგან?

## აქტივობა 2:
**„დიდედები და შვილიშვილები“**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 49; მოსწავლის რვეული: გვ. 49

სათაურზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა;
პაუზებით კითხვა;
პერსონაჟების განსაზღვრა;
ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა;
ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება;
მოსწავლის რვეულში მუშაობა: გვ. 49

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- ვინ ჰყვება ამბავს?
- რამდენი მოქმედი პირია?
- რა დროს ხდება მოქმედება?

## აქტივობა 3:
## დიდედები და შვილიშვილები (2)

რა მოხდებოდა პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ?
ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს.
ტექსტის კითხვა და გაგება-გააზრება.
ცალკე მოცემულ დიალოგზე დაკვირვება (გვ. 51).
რა არის დიალოგი? ბავშვები ცდილობენ თავად ჩამოაყალიბონ განსა-ზღვრება.
წყვილებში ინაწილებენ როლებს და ტექსტს კითხულობენ.
მოსწავლის რვეულში ასრულებენ დავალებას: გვ. 50.
კარგი იქნება მოსწავლის რვეულში გვ. 51-ზე მოცემული სავარჯიშო დავალებად მივცეთ, შემდეგ კი ისევ ინტონაციითა და წყვილებში წავაკითხოთ.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 50, 51, მოსწავლის რვეული: გვ. 50, 51

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა არის დიალოგი?
- როგორ დავწერო დიალოგი? რომელი სასვენი ნიშნები გამოვიყე-ნო?
- როგორ წავიკითხო ინტონაციურად? როგორ მივბაძო პერსონაჟს?

## აქტივობა 4:
## შემოდგომა, დღესასწაულები

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 52, მოსწავლის რვეული: გვ. 52

ტექსტების გაცნობის შემდეგ ბავშვები მსჯელობენ, რა განსხვავებაა მათსა და მხატვრულ ტექსტებს შორის.
გაგება-გააზრება კითხვებით, წიგნში გვ. 52.
მოსწავლის რვეულში მუშაობენ, გვ. 52-ზე.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რა არის დღესასწაული?

## აქტივობა: 5
## საჩუქრები, საჩუქრები; ალი და აისელი

ტექსტების გაცნობა
მსჯელობა
მუშაობა მოსწავლის რვეულში

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 53, მოსწავლის რვეული: გვ. 53

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რომელია ყველაზე განსხვავებული დღესასწაული, რომელსაც შენი ოჯახი აღნიშნავს?

## აქტივობა 6:

**რესურსი**

სახელმძღვანელო:
გვ. 54, 55, 56, 57;
მოსწავლის რვეული:
გვ. 54, 55, 56, 57

*(აქ რადგან ერთი ტექსტის რამდენიმე ნაწილია, რამდენიმე საათზე გა-დანაწილდება.)*
„როგორ მაჩუქეს ოთახი“
ერთი ალტერნატიული აქტივობა: მასწავლებელი ბარათებზე წერს იმ პერსონაჟების სახელებს, რომლებსაც ტექსტში შევხვდებით, ბავშვები იღებენ ბარათებს, ხმამაღლა კითხულობენ სახელებს და გამოთქვამენ ვარაუდებს, ესა თუ ის პერსონაჟი ვინ იქნება? რა ეყვარება? რა თვისე-ბები ექნება?
ამის შემდეგ იწყებენ ტექსტის კითხვას.
„როგორ მაჩუქეს ოთახი“ (1)
„როგორ მაჩუქეს ოთახი“ (2)
„როგორ მაჩუქეს ოთახი“ (3)
კითხვებზე პასუხები, როლური კითხვა, პერსონაჟის სქემა.
მუშაობა წიგნის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რომელია შენი საყვარელი დღესასწაული?

## აქტივობა 7:
**ლექსი „ზამთარი“**

**რესურსი**

სახელმძღვანელო:
გვ. 58; მოსწავლის
რვეული: გვ. 58

მასწავლებელი შეარჩევს კითხვის ერთ-ერთ სტრატეგიას ლექსზე სამუშაოდ.
ყურადღებას ამახვილებს მხატვრულ სახეებსა და გამოთქმებზე.
შესაძლოა ბავშვებმა აირჩიონ სტროფები და დაასურათონ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.
მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს ამავე სახელწოდების ნოდარ დუმბაძის ლექსს „ზამთარი“.

ბიჭოს, რა თოვლი მოვიდა,
ნეტავ საიდან მოვიდა,
იმდენ ხანს დაიგვიანა,
ალბათ, ძალიან შორიდან.
აუ, რამდენი ფიფქია,
ფიფქები ქარში მიქრიან,
ასე ლამაზი თუ იყო
ზამთარი, არც მიფიქრია.
ეი, ბელურავ, მავთულზე
მობუზული რომ ზიხარო,
ჩემს აივანზე მოფრინდი,
საკენკი დაგიყარო,
ცოტათი გათბი,
დანაყრდი
და მერე ერთად ვიხაროთ.

ბავშვები ამ ორ ლექსს ადარებენ, საუბრობენ, რა აქვთ საერთო და რით განსხვავდებიან, შესაძლოა მასწავლებელმა მათ შესადარებლად ვენის დიაგრამაც გამოიყენოს.

მოსწავლეები ხატავენ ამ ორი ლექსის ილუსტრაციას, თაბახის ფურცელს ყოფენ ორ ნაწილად და ორივე ილუსტრაციას ერთმანეთის გვერდით ათავსებენ, ილუსტრაციებშიც იკვეთება ამ ორი ლექსის თავისებურება, საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ასევე შეიძლება იმ ემოციებზეც ისაუბრონ, რომლებიც ლექსებს მკითხველისთვის მოაქვთ. რომელია უფრო სევდიანი? რატომ? რომელია მხიარული? რატომ? რა მინიშნებებს ეყრდნობი? შენ რომელი ლექსი მოგწონს? რატომ? დაასაბუთე. შეურჩიე ორივე ლექსს შენ მიერ მოფიქრებული განსხვავებული სათაურები.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- ზამთრის რომელი დღესასწაული მოგწონს ყველაზე მეტად? რატომ?
- რით განსხვავდება ერთნაირი სათაურის მქონე ორი ლექსი ერთმანეთისგან?
- რა აქვთ საერთო? რა ემოციებს იწვევენ ისინი?

## აქტივობა 8:
**„დათიკოსა და ნანას საახალწლო საჩუქრები“ (1), (2)**

ტექსტზე მუშაობა.
შესაძლოა ბავშვებმა დახატონ ტექსტის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული, შემდეგ კი ილუსტრაციები კლასში გამოფინონ ან საერთო პოსტერიააწყონ და ტექსტიდან ფრაზებითაც გააფორმონ.

მოსწავლის რვეულში შესაბამისი სამუშაო: გვ. 59, 60

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 59, 60; მოსწავლის რვეული: გვ. 59, 60

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რატომ ჩუქნიან ადამიანები ერთმანეთს საჩუქრებს?
- შენ როგორ არჩევ საჩუქარს საყვარელი ადამიანისთვის?

## აქტივობა 9:

თამაში მსახიობობანა, ბავშვები მიჰყვებიან სახელმძღვანელოში, გვ. 61-ზე მოცემულ თამაშის ინსტრუქციას.
მასწავლებელი ურჩევს, რომ ყურადღება გაამახვილონ ინტონაციაზე, მიმიკებზე. კიდევ ერთხელ საუბრობს, რა არის დიალოგი.
დავალებად აძლევს მოსწავლის რვეულში, გვ. 61-ზე მოცემულ დავალებას.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 61; მოსწავლის რვეული: გვ. 61

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- როგორ გავითავისო როლი?
- როგორ მივბაძო პერსონაჟს?

## აქტივობა 9:
**შობა**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 62; მოსწავლის რვეული: გვ. 62

ბავშვები საუბრობენ შობაზე, იხსენებენ მოგონებებს შობის შესახებ, ჰყვებიან ოჯახის ტრადიციებზე.
უსმენენ მოსასმენს შობის შესახებ.
ინიშნავენ საკვანძო სიტყვებს. სახელმძღვანელოში აკვირდებიან ილუსტრაციას და მასზე საუბრობენ მოსმენისას ჩანიშნული სიტყვების გამოყენებით. ვინ არიან სურათზე გამოსახული? რომელი ეპიზოდის ილუსტრაციაა?
მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ 62, 63.
შესაძლოა დავალებად მივცეთ, რომ მოიძიონ ინფორმაცია შობის შესახებ ფილმებზე, წიგნებზე, მოთხრობებზე, გააკეთონ პოსტერი და კლასის წინაშე წარადგინონ.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- როგორ ვატარებ შობის დღესასწაულს? რა ტრადიცია გვაქვს ოჯახში?

## აქტივობა 10:
**ალილო**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 63; მოსწავლის რვეული: გვ. 63

კარგი იქნება, თუ ეს გაკვეთილი მუსიკის მასწავლებლის ჩართულობით დაიგეგმება.
ბავშვები უსმენენ ალილოს, უკვირდებიან სიტყვებს. შესაძლოა მასწავლებელმა წინასწარ ალილოს ტექსტი გააცნოს ან ამობეჭდილი დაურიგოს. (იხ. დანართი)
მასწავლებელი აცნობს ბავშვებს ალილოს ტრადიციას, კარგი იქნება, თუ რამდენიმე ფოტოს ან ილუსტრაციას აჩვენებს ქართულ ტრადიციულ ალილოზე.
(შესაძლოა ხელოვნების მასწავლებლის ჩართვაც და ალილოსთვის ნიღბების დამზადება.)
ბავშვები იხსენებენ საყვარელ საშობაო მელოდიას, მღერიან ერთად.
დავალება: მოსწავლის რვეული: გვ. 63

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა არის ალილოს იდეა?
- რა მოგწონს ყველაზე მეტად ამ რიტუალში?

## აქტივობა: 11

ბავშვები ეცნობიან „გრინჩის“ კომიქსს, კითხულობენ, ჰყვებიან შინაარს.
მასწავლებელი უჩვენებს ნაწყვეტს ანიმაციური ფილმიდან „გრინჩი“:
მუშაობენ მოსწავლის რვეულში, გვ. 64-ზე.
დავალებად ექნებათ, მოსწავლის რვეულში: გვ. 65.

https://youtu.be/UzZbMj5qYNg

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა აღმოაჩინე ამ ტექსტში?
- რამ შეცვალა გრინჩის დამოკიდებულება შობის მიმართ?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 64, 65; მოსწავლის რვეული: გვ. 64, 65

## აქტივობა **1:**

ნაბიჯი **1.** ჩრდილების წარმოდგენისთვის ტექსტიდან შერჩეული მიზნის შესაბამისი სიტყვები, წინადადებები, დროითი მიმართებები **(ს.1)**

## აქტივობა 2:
**(ნაწილდება რამდენიმე საათზე)**

ჩრდილების წარმოდგენა „სათაგურის“ მიხედვით.
ბავშვები ეცნობიან პიესას, მსჯელობენ შინაარსზე, პერსონაჟებზე, მუშაობენ ახალ ლექსიკაზე.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 66, 67, 68, 69.
კითხულობენ როლებში, ცდილობენ პერსონაჟებს მიბაძონ.
მასწავლებელი ანაწილებს როლებს.
ტექსტიდან ამოიწერენ იმ სიტყვებსა და წინადადებებს, რომლებიც ჩრდილების წარმოდგენისთვის გამოადგებათ.
უყურებენ პატარა ვიდეო ინსტრუქციას ჩრდილების წარმოდგენის მომზადებაზე.
ამის შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციას, გვ. 72.
შესაძლოა მასწავლებელმა და ბავშვებმა „სათაგურის“ ნაცვლად მოცემული თავიდან სხვა ტექსტი შეარჩიონ, ჯერ ტექსტი დაამუშაონ, პერსონაჟები გამოყონ, დიალოგები განსაზღვრონ, სცენებად დაყონ.
წიგნში მოცემული ნიმუში დაიხმარონ და მოამზადონ ჩრდილების წარმოდგენა.
შესაძლოა ამ პროცესში ხელოვნების მასწავლებელიც ჩაერთოს, კარგი იქნება, თუ საჭირო რესურსს მოსწავლეები თავად დაამზადებენ.
ბავშვები ამზადებენ მოსაწვევებს, აკვირდებიან წიგნში მოსაწვევის ნიმუშს, მსჯელობენ, პასუხობენ კითხვებს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში: გვ. 71.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73; მოსწავლის რვეული: გვ. 66, 67, 68, 69, 70, 71.

https://youtu.be/KoS6p7H4oYg

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- როგორ შევიდე როლში? როგორ გავითავისო?
- როგორ მივბაძო პერსონაჟის ინტონაციას?
- რა უნარ-ჩვევები დამჭირდება ჩრდილების წარმოდგენისთვის?
- როგორ „გავაცოცხლო“ ტექსტი ჩრდილების თეატრის დახმარებით?
- როგორ დავამზადო მოსაწვევი?
  რა გავითვალისწინო?

დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):

- რომელი ტექსტი შეარჩიე წარმოდგენისთვის? რატომ?
- დიალოგის წარმართვაში რა უნარები დაგეხმარა?
- პერსონაჟის როლის მორგებისთვის როგორ იმუშავე? რა სტრატეგიები გამოიყენე?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე: რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- განსაკუთრებით რა გაგიადვილდა? რა გაგიძნელდა, რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?

**რჩევა მასწავლებლებს:**

დანართებად წარმოდგენილი სქემები, ამობეჭდვის ნაცვლად, შესაძლოა ბავშვებმა რვეულებში, ფანქრით მარტივად ჩახაზონ და იქვე შეავსონ.

კარგი იქნება, ბავშვებს, გარდა მოსწავლის რვეულებისა, თუ ექნებათ უბრალო სამუშაო რვეულებიც, სადაც სქემებს ჩახაზავენ და ლექსიკაზე იმუშავებენ.

## დანართი:

რესურსი 1: ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)
რესურსი 2: თხრობის რუკა
რესურსი 3: კითხვის სტრატეგიები
რესურსი 4: წესების ხის შაბლონები
რესურსი 5: ალილოს ტექსტი

## თავი 4 — მე და ჩემი ოჯახი

| თემატური მატრიცა |
|---|
| საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა<br>ძირითადი რესურსი/ტექსტი – „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“ (1), (2), (3), „მაგდანას ლურჯა“, „ცხოვრება ძველად“, „ნიკო და ელენე“, „პიტერ პენი“ (1), (2), „გულკეთილი ბიჭუნა“, „მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო“ (1), (2), (3), (4); „ზურიკო და პაპა“, „ძალა ერთობაშია“.<br>**მთავარი საკითხი**: თემაში: „მე და ჩემი ოჯახი“ მოცემული ტექსტებიდან პერსონაჟის შერჩევა და მისი ხედვის კუთხიდან თანაკლასელების მიერ წინასწარ მოფიქრებულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა.<br>კლასი: მეორე კლასი |
| **თემა: „მე და ჩემი ოჯახი“** საათების სავარაუდო რაოდენობა: |
| **თემატური მატრიცის სარჩევი**<br>შუალედური მიზანი<br>**(სამიზნე ცნება –** ტექსტი (ჟანრები); **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრები)<br>შედეგები: I 2; I 3; I 4; I 5;<br><br>ქვეცნება **– შინაარსობრივი მხარე**<br><br>**ქვესაკითხები:**<br>**თემა;**<br>**მთავარი და არამთავარი ინფორმაცია;**<br>**მოქმედების დრო და ადგილი;**<br>**პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან;**<br>**ხედვის კუთხე (ავტორის, პერსონაჟის).**<br>**ქვეცნება**<br>**ენობრივი მხარე**<br>**ქვესაკითხები:**<br>**თემატური ლექსიკა;** | საკითხი – თემაში: „მე და ჩემი ოჯახი“ მოცემული ტექსტებიდან პერსონაჟის შერჩევა და მისი ხედვის კუთხიდან თანაკლასელების მიერ წინასწარ მოფიქრებულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა.<br>ქვესაკითხი: „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“ (1), (2), (3), „მაგდანას ლურჯა“, „ცხოვრება ძველად“, „ნიკო და ელენე“, „პიტერ პენი“ (1), (2), „გულკეთილი ბიჭუნა“, „მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო“ (1), (2), (3), (4); „ზურიკო და პაპა“, „ძალა ერთობაშია“ – თემა; მთავარი და არამთავარი ინფორმაცია; მოქმედების დრო და ადგილი; პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; ხედვის კუთხე (ავტორის, პერსონაჟის), **თემატური ლექსიკა, დროითი მიმართებების გამოხატვა (მაგ., თხრობისას), ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა (მაგ., აზრის დასაბუთებისას, შეფასებისას).** |

| | |
|---|---|
| **ქვეცნება**<br>**კითხვის გაგება-გააზრებისა და პროდუცირე-ბის სტრატეგიები**<br><br>**სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი**<br>**შედეგები:** (I).4, 5, 6<br>**ქვეცნება: სამეტყველო ქმედებათა განსახო-რციელებელი ენობრივი საშუალებები**<br>**ქვესაკითხი:**<br>**დროითი მიმართებების გამოხატვა (მაგ., თხრობისას**<br>**ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდე-ბულების გამოხატვა (მაგ., აზრის დასაბუთე-ბისას, შეფასებისას).** | საკვანძო შეკითხვა:<br>• როგორ ამოვიცნო პერსონაჟის თვისებები?<br>• მოცემულ ტექსტებში როგორ, რა ხერხებით გავ-მიჯნოთ მთავარი და არამთავარი ინფორმაცია?<br>• დავალების შესრულებისას რაში გამომადგება იმის ცოდნა, თუ რა დროსა და რომელ ადგილას უწევს პერსონაჟს მოქმედება?<br>• როგორ განვსაზღვრო მოქმედების დრო და ადგი-ლი?<br>• როგორ მოვირგო შერჩეული პერსონაჟის როლი? მისი ხედვის კუთხე?<br>• როგორ შევარჩიო ის თემატური ლექსიკური ერთე-ულები, რომლებიც კომპლექსური დავალების შესრულების დროს დამჭირდება?<br>• რა უნდა გავითვალისწინო?<br>• კითხვებზე პასუხის გაცემისას როგორ დავამყარო ლოგიკური კავშირები?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოთხრობის გასაგე-ბად?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოსასმენად?<br>• რა გავითვალისწინო შესაბამისი ინტონაციისთვის?<br>• როგორ წარვმართო დიალოგი კითხვის ავტორთან?<br><br>**კომპლექსური დავალება**<br>თემაში: „მე და ჩემი ოჯახი“, მოცემული ტექსტე-ბიდან შეარჩიე ერთი პერსონაჟი, მოირგე მისი როლი და ამ პერსონაჟის ხედვის კუთხიდან გაეცი თანაკლასელების მიერ წინასწარ მოფიქრებულ დასმულ შეკითხვებს პასუხები.<br><br>ნაბიჯი პირველი – წაიკითხე და გაეცანი – „მე რომ ვიყო“<br>ნაბიჯი მეორე – დაასახელე, მოყევი – „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო ავტომანქანა“,<br>ნაბიჯი მესამე – აღწერე, გამოიყენე მიღებული ცოდნა – „მაგდანას ლურჯა“, ცხოვრება ძველად“,<br>ნაბიჯი მეოთხე – იმსჯელე, დაადგინე მიზეზ-შედეგო-ბრივი კავშირი – ნიკოსა და ელენეს ისტორია, „პიტერ პენი“, „მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო“ ენობრივი მასალა, თამაში, „პინოქიოს თავგადასავალი“, „ძალა ერთობაშია“<br>ნაბიჯი მეხუთე – განაზოგადე – კომპლექსური დავალე- |

| | |
|---|---|
| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>სამიზნე ცნება – ტექსტი<br>1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.<br>2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.<br>3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.<br><br>სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი<br>1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად).<br>2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება.<br>3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. | **დავალების შეფასების კრიტერიუმები:**<br>(კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>პერსონაჟის როლის მორგებისას და კითხვებზე პასუხების გაცემისას წარმოაჩინე:<br>• პერსონაჟის ხედვის კუთხე (როგორ გასცემდა დასმულ კითხვებს პასუხებს შენ მიერ შერჩეული პერსონაჟი, რა ურთიერთობა აქვს მას სხვა პერსონაჟებთან, რა ახარებს, რა სურვილი აქვს მას); რა მინიშნებებს დაეყრდენი პერსონაჟის როლის/ ხედვის კუთხის მორგებისას (ტ. 1, 2, 3);<br>• რას გრძნობს პერსონაჟი? როგორ, რა ინტონაციით წარმოთქვამს სიტყვებს, წინადადებებს? (ტ. 3);<br>• მიზნის შესაბამისი მრავალფეროვანი სიტყვები და წინადადებები, რომლებიც ტექსტიდან შეარჩიე კითხვებზე პასუხებისთვის. (ს. 1, 2, 3) |

## კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები

(აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**რესურსი**

მოსასმენი: კომპლექსური დავალება: მე რომ ვიყო...

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

ალბათ ბევრჯერ გიფიქრია: ნეტავ მე რომ წითელქუდა ვყოფილიყავი, მგელს რას ვეტყოდიო, ან პიტერ პენი რომ ვიყო, ვენდის შეკითხვებს როგორ გავცემდი პასუხებსო, ჰოდა, ამ თავში: „მე და ჩემი ოჯახი" გეძლევა შესაძლებლობა, ცოტა ხნით შენ მიერ შერჩეული პერსონაჟი გახდე, გაითავისო მისი ფიქრები, ემოციები, ხასიათი, წარმოიდგინო, როგორ ისაუბრებდა, როგორი ინტონაცია ექნებოდა, როგორ უპასუხებდა იმ კითხვებს, რომლებსაც ჩვენ ერთად შევადგენთ. შეგიძლია გარეგნულადაც მიბაძო „შენს პერსონაჟს" და მისნაირად ჩაიცვა, გაიკეთო ვარცხნილობა, თუნდაც, ნიღაბი მოირგო. ოღონდ აუცილებლად გაითვალისწინე:

ამ თავში მოცემულ ტექსტებზე გულდასმით იმუშავე.

პერსონაჟებს დაუკვირდი, გაიაზრე მათი ხასიათი და მიზნები, სურვილები და ემოციები.

მიჰყევი ტექსტში მოცემულ მინიშნებებს, რომლებისგანაც პერსონაჟებზე საინტერესო დეტალებს შეიტყობ.

შეეცადე ისაუბრო პერსონაჟის ენით, გამოიყენო ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც შენ მიერ შერჩეული პერსონაჟი იყენებს საუბრის დროს (კარგი იქნება თუ ინტონაციითაც მიბაძავ).

**აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება.**
**აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება;**

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რის ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ დავალების შესასრულებლად?
- რომელია შენი საყვარელი პერსონაჟი წიგნებიდან? რატომ მოგწონს?
- რომელია შენი საყვარელი პერსონაჟი კინო-ფილმიდან ან ანიმაციური ფილმიდან? რატომ?
- რომელ პერსონაჟად ყოფნას ისურვებდი?
- ზუსტად ისე მოიქცეოდი როგორც ეს პერსონაჟი, თუ შეცვლიდი რამეს? რას და რატომ?
- რა სტრატეგიებს გამოიყენებდი პერსონაჟის ხასიათი, ემოციები, დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხებისადმი და სხვა პერსონაჟებისადმი კარგად რომ ამოგეცნო?
- რა კრიტერიუმებით შეარჩევდი შენთვის სასურველ პერსონაჟს?
- რა კუთხით დაგჭირდება დახმარება?
- როგორ ფიქრობ, ამ დავალების შესრულება რა გამოცდილებას მოგცემს?
- რაში გამოგადგება ეს გამოცდილება?
- თუ გიმუშავია ადრე მსგავს დავალებაზე?

**ეტაპი II** – კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. პერსონაჟის ხედვის კუთხე (როგორ გასცემდა დასმულ კითხვებს პასუხებს შენ მიერ შერჩეული პერსონაჟი, რა ურთიერთობა აქვს მას სხვა პერსონაჟებთან, რა ახარებს, რა სურვილები აქვს); რა მინიშნებებს დაეყრდენი პერსონაჟის როლის/ ხედვის კუთხის მორგებისას (ტ. 1, 2, 3);

## აქტივობა 1:

*(ეს აქტივობა ნაწილდება გაკვეთილებზე, მასწავლებელი თავად წყვეტს, რა დრო დაუთმოს.)*
„დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“ ( (1); (2), (3)
ტექსტი მუშავდება კითხვისა და მოსმენის სასურველი სტრატეგიის გამოყენებით (იხ. დანართი, ასევე მოსწავლის რვეულში მოსმენის შესაბამისი დავალება: გვ. 79).
მუშაობენ ახალ ლექსიკურ ერთეულებზე (იხ. დანართი).
ტექსტის იაზრებენ კითხვა-პასუხის რეჟიმში. შესაძლოა მასწავლებელმა პატარა ვიქტორინაც მოაწყოს ან სამივე ნაწილის გავლის შემდეგ გუნდებად დაყოს ბავშვები, თითოეულმა გუნდმა „კითხვების კალათიდან“ ბარათზე დაწერილი კითხვა ამოიღოს, დაამუშაოს, წარმოადგინოს პოსტერის სახით ან წერილობით ილუსტრაციასთან ერთად.
გამოყოფენ პერსონაჟებს, თითოეულ პერსონაჟს ახასიათებენ სქემის დახმარებით (იხ. დანართი).
ხატავენ შერჩეული პერსონაჟის პორტრეტს.
იგონებენ კითხვებს, რომლებსაც ამ პერსონაჟებს დაუსვამდნენ. მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე ამ კითხვებს.
დახატულ პერსონაჟებს კლასის წინაშე წარადგენენ და მსჯელობენ, რატომ შეარჩიეს ეს კონკრეტული პერსონაჟი.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში, ტექსტის შესაბამის დავალებებზე.
შესაძლოა ეპიზოდების გამოყოფა და დასათაურებაც.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რომელი პერსონაჟი მოგწონს? რატომ?
- შენი აზრით, საბარგო მანქანაც ოჯახის წევრია? რატომ?
- როგორ ფიქრობ, ოჯახში რა არის მნიშვნელოვანი? რა აერთიანებთ ადამიანებს ოჯახად?

**რესურსი**

სახელმძღვანელო:
გვ. 75, 76, 77, 78, 79;
მოსწავლის რვეული:
გვ. 75, 76, 77, 78, 79

## აქტივობა 2:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 80, 81; მოსწავლის რვეული: გვ 80, 81

ბავშვები ჯერ უსმენენ მოსასმენს და შემდეგ კითხულობენ „მაგდანას ლურჯას“ კომიქსს.
იაზრებენ ტექსტს, მსჯელობენ მთავარ საკითხზე.
მაგდანა, როგორც მთავარი პერსონაჟი – ბავშვები ასახელებენ მის თვისებებს. კომიქსში მოცემული მინიშნებების საფუძველზე აგრძელებენ მაგდანას ამბავს, მასწავლებელი მიუთითებს, რომ ამბის გაგრძელებისას გაითვალისწინონ მაგდანას ხასიათი და თვისებები.
ფიქრობენ კითხვებზე, რომელთაც მაგდანას დაუსვამდნენ. მასწავლებელი ისევ ინიშნავს.
(საბოლოოდ, კარგი იქნება, თუ ამ მონიშნულ კითხვებს პერსონაჟთან ინტერვიუს დროს გამოიყენებენ).
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა ახარებს მაგდანას? რა სურს მას?
- რით განსხვავდება კომიქსი ჩვეულებრივი ტექსტისგან?

## აქტივობა 3:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 82, 83; მოსწავლის რვეული: გვ. 82, 83

საინფორმაციო ტექსტები
მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორია ტექსტები, რომლებიც სინამდვილეს გვიყვებიან? რომლებიც გამოგონილი არ არის?
რით განსხვავდებიან ისინი მხატვრული ტექსტებისგან?
ბავშვები პასუხობენ, შესაძლებელია ვენის დიაგრამით შედარებაც.
ამის შემდეგ ეცნობიან: „ცხოვრება ძველად“, „ელენე“, კითხულობენ და პასუხობენ კითხვებს.
ელენე, როგორც პერსონაჟი – რით განსხვავდება საინფორმაციო ტექსტის პერსონაჟი მხატვრული ტექსტის პერსონაჟისგან?
ბავშვები ახასიათებენ ელენეს.
გამოთქვამენ ვარაუდებს, რა კითხვებს დაუსვამდნენ ელენეს. მასწავლებელი ინიშნავს.
საკუთარი ოჯახიდან შეარჩევენ ერთ წევრს, ხატავენ და წარადგენენ კლასთან – როგორია, რა თვისებები აქვს, რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც ის.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**

- რით განსხვავდება საინფორმაციო ტექსტის პერსონაჟი მხატვრული ტექსტის პერსონაჟისგან?

## აქტივობა 4:
### „პიტერ პენი“ (1), (2)

სანამ ტექსტის დამუშავებაზე გადავლენ, ბავშვები საუბრობენ, თუ რა იციან პიტერ პენის შესახებ, რა გაუგიათ ან უნახავთ.
კითხულობენ ტექსტს კითხვის ერთ-ერთი სტრატეგიის გამოყენებით (იხ. დანართი).
ამუშავებენ ლექსიკას.
ბავშვები წყვილებში პერსონაჟ ძაღლ ნენას ხატავენ და გარშემო უწერენ თვისებებს. ნამუშევრებს წარადგენენ.
ასევე წყვილებში იგონებენ იმ შეკითხვებს, რომლებსაც ძაღლ ნენას დაუსვამდნენ. მასწავლებელი ინიშნავს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში. (შესაძლოა დავალებად მიეცეთ მოსწავლის რვეულის სავარჯიშოები.)

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ 85, 86; მოსწავლის რვეული: გვ. 85, 86

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- გადია ნენას რა თვისებას გამოყოფ? რატომ?
- შენი აზრით, რა დამოკიდებულება აქვს ნენას ბავშვების მიმართ? რას გრძნობს ის? საიდან მიხვდი?

## აქტივობა: 5
### ვყვებით სასაცილო ამბავს

ბავშვები აკვირდებიან ილუსტრაციებს და საუბრობენ.
ცდილობენ საკუთარი თავი წარმოიდგინონ ილუსტრაციების პერსონაჟების ადგილას.
რას იტყოდა დედა, მამა, ბებია, ბაბუა (პაპა) სადილობისას, ჩაცმის დროს, სეირნობისას.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 88; მოსწავლის რვეული: გვ. 88

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რას იტყოდა დედა? მამა? ბებია? ბაბუა?
- რა მინიშნებებს დაეყრდენი?

## აქტივობა 6
### „გულკეთილი ბიჭუნა“

სანამ მასწავლებელი ტექსტს ახსნიდეს, ბავშვები მსჯელობენ, რა არის სიკეთე და თავად თუ ჩაუდენიათ სიკეთე, ან მათ მიმართ ხომ არ ყოფილა ვინმე ძალიან კეთილი? იხსენებენ პირად მაგალითებს.
ტექსტს კითხულობენ როლური კითხვით.
ახასიათებენ ნოდარს, ჩამოწერენ მის თვისებებს.
იგონებენ კითხვებს, რომლებსაც ნოდარის დაუსვამდნენ.
მუშაობენ წიგნის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 89, მოსწავლის რვეული: გვ. 89

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა თვისებები გამოავლინა ნოდარმა?
- რა არის სიკეთე?

## აქტივობა 7:

რესურსი

სახელმძღვანელო: გვ. 90, 91, 92, 93, 94, 95, 96; მოსწავლის რვეული: გვ. 90, 91, 92, 93, 94, 95, 96

„მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო“ (1)
„მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო“ (2)
„მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო“ (3)
„მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო“ (4)

სანამ ტექსტის კითხვაზე გადავლენ, ბავშვები იხსენებენ საკუთარ დებსა და ძმებს, საუბრობენ მათზე, თუ უმცროსი და-ძმები ჰყავთ, იხსენებენ, როგორ მიიღეს, რა ურთიერთობები აქვთ მათთან. რა თქმა უნდა, მასწავლებელი სვამს შეკითხვებს.
კითხულობენ შერჩეული კითხვის სტრატეგიით (იხ. დანართი 1).
ამუშავებენ ლექსიკას, კითხვებს, სავარჯიშოებს.
კითხულობენ პეტერის დღიურს. განიხილავენ.
შეარჩევენ სასურველ პერსონაჟს, მათ ადგილზე წარმოიდგენენ თავს და ცდილობენ ერთი დღე აღწერონ. შესაძლოა ილუსტრაციაც დაურთონ.
იგონებენ კითხვებს, რომლებსაც პეტერს დაუსვამდნენ.
მუშაობენ წიგნში გრამატიკულ საკითხებზე, მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- შენ თუ გყავს და ან ძმა?
- როგორი ურთიერთობა გაქვს მათთან?
- როგორ იქცევი ოჯახში?
- რატომ მოუნდა პეტერს და ან ძმა?
- შენი აზრით, როგორ შეიძლება დაეხმარო მშობლებს უმცროსი და-ძმის მოვლაში?
- ყველაზე მეტად პეტერის რა თვისება მოგეწონა?

## აქტივობა 8:
**„ზურიკო და პაპა“**

https://youtu.be/tl57Gy5X_Kg

რესურსი

სახელმძღვანელო: გვ. 97; მოსწავლის რვეული: გვ. 97

როგორ ვეხმარებით ოჯახის წევრებს?
ბავშვები საუბრობენ, იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას.
შესაძლოა ნახონ მოკლე ანიმაციური ფილმი, სადაც შვილიშვილი ზრუნავს ბებიაზე.
ამის შემდეგ იყოფიან ჯგუფებად და ჯგუფში ამუშავებენ ტექსტს. თითოეულ ჯგუფს ტექსტის ერთი ნაწილი აქვს მიცემული, მათი მიზანია, წაიკითხონ და დაასურათონ, შემდეგ ჯგუფების ნამუშევრები შეიკვრება და მთლიანი მოთხრობის ილუსტრაციას მივიღებთ.
მსჯელობენ, რატომ უნდა ვიზრუნოთ ოჯახის წევრებზე, ახასიათებენ ზურიკოს და ფიქრობენ მისთვის დასასმელ კითხვებზე.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის ზრუნვა?
- რატომ უნდა ვიზრუნოთ ოჯახის წევრებზე?

## აქტივობა 9:
### „ძალა ერთობაშია“

კითხვა – ერთ-ერთი სტრატეგიის გამოყენებით.
მსჯელობა.
მეფის, როგორც პერსონაჟის გამოყოფა და მასზე საუბარი, რა მნიშვნელოვანი თვისება ჰქონია მეფეს?
რა კითხვებს დაუსვამდით მეფეს?
დავალება: მოსწავლის წიგნში შესასრულებელი შესაბამისი სავარჯიშო.

**ჯგუფური სამუშაო / მიმდინარე შეფასება**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 98; მოსწავლის რვეული: გვ. 98

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა თვისება ჰქონია მეფეს?
- რაში გამოადგება სამომავლოდ მის ოჯახს მეფის ეს დავალება?

**ნაბიჯი 2.** რას გრძნობს პერსონაჟი? როგორ, რა ინტონაციით წარმოთქვამს სიტყვებს, წინადადებებს. (ტ. 3);
მიზნის შესაბამისი მრავალფეროვანი სიტყვები და წინადადებები, რომლებიც ტექსტიდან შეარჩიე კითხვებზე პასუხებისთვის. (ს. 1.2,3)

და აი, დავასრულეთ ეს თემაც. ახლა კომპლექსური დავალების საბოლოოდ წარდგენის დროა.
ბავშვებმა, რა თქმა უნდა, წინასწარ იციან, რომ მათივე რჩეული პერსონაჟის როლი უნდა მოირგონ და იმ კითხვებზე უპასუხონ, რომლებსაც მთელი თემის განმავლობაში ერთად ადგენდნენ.
სასურველია, გამოვყოთ რამდენიმე დღე ამისთვის, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი თავის წარდგენა.

მასწავლებელი მთელი თავის განმავლობაში ინიშნავდა კითხვებს, რომლებსაც ბავშვები სხვადასხვა პერსონაჟისთვის იგონებდნენ.
ახლა ამ კითხვებს პატარა ბარათებზე წერს და ანაწილებს მუყაოს ყუთებში. იმდენი ყუთია, რამდენი პერსონაჟიცაა, თითოეულ მათგანში ამ პერსონაჟთან დასასმელი კითხვები ყრია. ყუთებს ზემოდან აწერია შესაბამისი პერსონაჟის სახელი. მაგალითად: ყუთი ნენა, ყუთი მაგდანა, ყუთი ნოდარი და ა.შ.
მოსწავლეები ემზადებიან შერჩეული პერსონაჟის ხედვის კუთხის მოსარგებად. ამისთვის უბრუნდებიან შესაბამის ტექსტებს და ინიშნავენ/იწერენ იმ სიტყვებს, წინადადებებს, რომლებითაც ეს კონკრეტული პერსონაჟი ისაუბრებდა. ვარჯიშობენ ინტონაციაში, ცდილობენ მიბაძონ სასურველ გმირს.
წარდგენის დროს ბავშვი – პერსონაჟი გამოდის კლასის წინაშე, მისთვის დასასმელ კითხვებს დანარჩენი ბავშვები შესაფერისი ყუთიდან იღებენ. მაგალითად, თუ მოსწავლე მაგდანას წარმოადგენს, კითხვებს ამოიღებენ მაგდანას ყუთიდან.

*თითოეული პერსონაჟის დახასიათების სქემაც ექნებათ და საქმე უფრო გაუადვილდებათ.*

დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):

- რომელი პერსონაჟი შეარჩიე?
- რატომ?
- კითხვის ავტორთან დიალოგის წარმართვაში რა უნარები დაგეხმარა?
- როგორ გაითავისე პერსონაჟის შინაგანი ფიქრები, ემოციები?
- რა დაგეხმარა ამაში? რა მინიშნებებს დაეყრდენი?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე: რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- განსაკუთრებით რა გაგიადვილდა? რა გაგიძნელდა, რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?

**რჩევა მასწავლებლებს:**

დანართებად წარმოდგენილი სქემები, ამობეჭდვის ნაცვლად, შესაძლოა ბავშვებმა რვეულებში, ფანქრით მარტივად ჩახაზონ და იქვე შეავსონ.

კარგი იქნება, ბავშებს, გარდა მოსწავლის რვეულებისა, თუ ექნებათ უბრალო სამუშაო რვეულებიც, სადაც სქემებს ჩახაზავენ და ლექსიკაზე იმუშავებენ.

## დანართი:

რესურსი 1: ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)
რესურსი 2: თხრობის რუკა
რესურსი 3: კითხვის სტრატეგიები
რესურსი 4: წესების ხის შაბლონები
რესურსი 5: ალილოს ტექსტი

# თავი 5 — ამბები გვასწავლიან

| თემატური მატრიცა | |
|---|---|
| საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა<br>ძირითადი რესურსი/ტექსტი – „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“(1), „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (2), „მელა და ყვავი“, „ქორი და იხვი“, ძაღლი და ძროხა“, „ცრუპენტელა“, „მამლის ქურდი“, „ლომი და თაგვი“, „მკვეხარა მამალი“, „მებადურის შვილი“, მეფე და მხატვარი“, „წიგნები და დამწერლობა“, „ბიბლიოთეკართან“, „ქარი და მზე“.<br>**მთავარი საკითხი**: თემაში „ამბები გვასწავლიან“ მოთხრობილი ამბების („ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (1), „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (2), „მელა და ყვავი“, „ქორი და იხვი“, ძაღლი და ძროხა“, „ცრუპენტელა“, „მამლის ქურდი“, „ლომი და თაგვი“, „მკვეხარა მამალი“, „მებადურის შვილი“, მეფე და მხატვარი“, „წიგნები და დამწერლობა“, „ბიბლიოთეკართან“, „ქარი და მზე“) სტრუქტურულად/ლექსიკურად დამუშავება/გააზრება და მოსწავლის მიერ შეთხზული ამბის ხელნაკეთი წიგნის შექმნა.<br>კლასი: მეორე კლასი | |
| **თემა: „ამბები გვასწავლიან“** | საათების სავარაუდო რაოდენობა: |
| **თემატური მატრიცის სარჩევი**<br>შუალედური მიზანი<br>**(სამიზნე ცნება –** ტექსტი (ჟანრები); **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** | |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრე-ბი)<br>შედეგები: I 2; I 3; I 4; I 5;<br><br>ქვეცნება **– მხატვრული ჟანრი**<br><br>**ქვესაკითხები:**<br>**ზღაპარი, მოთხრობა, იგავი, ლექსი, კომიქსი.**<br><br>**ქვეცნება**<br>**შინაარსობრივი მხარე**<br>**ქვესაკითხები:**<br>**თემა; მთავარი იდეა/დედააზრი; ძირითადი საკითხი/პრობლემა; სიუჟეტის განვითარების საფე-ხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);**<br>**მოქმედების დრო და ადგილი.**<br>**პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეუ-ლობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან;**<br>**ავტორი, მთხრობელი;** | საკითხი – თემაში „ამბები გვასწავლის“ მოთხრობილი ამბების („ჭრიჭინა და ჭიანჭველა“(1), „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (2), „მელა და ყვავი“, „ქორი და იხვი“, ძაღლი და ძროხა“, „ცრუპენტელა“, „მა-მლის ქურდი“, „ლომი და თაგვი“, „მკვეხარა მამალი“, „მებადურის შვილი“, მეფე და მხატვარი“, „წიგნები და დამწერლობა“, „ბიბლი-ოთეკართან“, „ქარი და მზე“) სტრუქტურულად/ლექსიკურად და-მუშავება/გააზრება და მოსწავლის მიერ შეთხზული ამბის ხელნა-კეთი წიგნის შექმნა.<br>ქვესაკითხი: „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“(1), „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (2), „მელა და ყვავი“, „ქორი და იხვი“, ძაღლი და ძროხა“, „ცრუპე-ნტელა“, „მამლის ქურდი“, „ლომი და თაგვი“, „მკვეხარა მამალი“, „მებადურის შვილი“, მეფე და მხატვარი“, „წიგნები და დამწერლო-ბა“, „ბიბლიოთეკართან“, „ქარი და მზე“ – ზღაპარი, მოთხრობა, იგავი, ლექსი, კომიქსი. თემა; თემა; მთავარი იდეა/დედააზრი; ძირითადი საკითხი/პრობლემა; სიუჟეტის განვითარების საფე-ხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); მოქმედების დრო და ადგილი. პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლე-ბი, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; თემატური ლექსიკა;<br>ავტორი, მთხრობელი; **მაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბა-ლური) ელემენტები – სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრი-კა, წარწერა. მაორგანიზებელი არასიტყვიერი** (**არავერბალური**) ელემენტები – ილუსტრაცია, ტიპოგრაფიული მინიშნებები – და-ხრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, მუქი შრიფტი, ხაზგასმა; ხმის ტემბრი, დინამიკა (აწევ-დაწევა); ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მი-მიკა. |

| | |
|---|---|
| **ქვეცნება:**<br>**ტექსტის გაგება-გააზრებისა და პრო-დუცირების სტრატეგიები**<br>**ქვესაკითხები:**<br>**მოსმენის, კითხვის, ლექსიკის სწა-ვლისა და წერის სტრატეგიები.**<br>**ქვეცნება**<br>**ენობრივი მხარე**<br>**ქვესაკითხები:**<br>**თემატური ლექსიკა;**<br>**ქვეცნება:**<br>**სტრუქტურა/აგებულება**<br>**ქვესაკითები:**<br>**მაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერ-ბალური) ელემენტები –სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა.**<br>**მაორგანიზებელი არასიტყვიერი** (**არავერბალური**) ელემენტები – **ილუსტრაცია, ტიპოგრაფიული მინიშნებები – დახრილი, წვრილი/ მსხვილი შრიფტი, მუქი შრიფტი, ხაზგასმა; ხმის ტემბრი, დინამიკა (აწევ-დაწევა); ინტონაცია, ჟესტიკუ-ლაცია, მიმიკა.**<br><br>**სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადე-ბა – ტექსტი**<br>**შედეგები:** (I).4, 5, 6<br>**ქვეცნება:**<br>ტექსტის ერთეულები<br><br>**ქვესაკითხი:**<br>**სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აბზაცი, ტექსტი, სათაური.** | საკვანძო შეკითხვა:<br>• რა პრინციპით შევარჩიო ჩემი ამბის პერსონაჟები? მათი სახელები?<br>• თუ დამეხმარა თავის: „ამბები გვასწავლიან“ ტექსტები?<br>• ადგილი და დრო როგორ განვსაზღვრე? ტექსტებიდან რა მინიშნებები დამეხმარა?<br>• ჩემი ამბის დასაწყისისთვის ფრაზა რომელი ტექსტიდან ავიღე? რა ჟანრის იყო ეს ტექსტი? რა ჟანრისაა ჩემი ამბავი?<br>• სათაურის შერჩევისას რას დავეყრდენი?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენე ამბის წერისას?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენე არეებზე მინი ლექსიკონის შექმნისას?<br>• წიგნის ყდის სიტყვიერი ელემენტების გაფორმების დროს რით ვიხელმძღვანელე?<br>• სანიმუშოდ რომელიმე წიგნი თუ შევარჩიე?<br>• რომელი?<br>• ილუსტრაციების შექმნისთვის რა ცოდნა-გამოცდილება გამომადგა?<br>• რა არის ჩემი ამბის მთავარი იდეა?<br>• რა პრობლემების გადაჭრა უწევთ პერსონაჟებს?<br>• როგორ შევარჩიო ის თემატური ლექსიკური ერთეულე-ბი, რომლებიც კომპლექსური დავალების შესრულების დროს დამჭირდება?<br>• როგორ გავმიჯნო მთხრობელი პერსონაჟისგან?<br>• ჩემი წიგნის წარდგენისას/კითხვისას როგორ ვიმუშაო ინტონაციაზე?<br>• რა უნდა გავითვალისწინო?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოთხრობის გასაგებად?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენო მოსასმენად?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენე ლექსიკაზე სამუშაოდ?<br>• რა სტრატეგიების გამოვიყენე ამბის წერის დროს?<br><br>**კომპლექსური დავალება**<br>თემაში: „ამბები გვასწავლიან“ მოცემული ტექსტე-ბის გააზრებისა და დამუშავების შემდეგ მოიფიქრე ამბავი, დაწერე და შექმენი შენი ხელნაკეთი წიგნი.<br><br>ნაბიჯი პირველი – წაიკითხე და გაეცანი – „ამბები გვასწა-ვლიან“<br>ნაბიჯი მეორე – დაასახელე, მოყევი – ჭრიჭინა და ჭიან-ჭველა“, მელა და ყვავი“, ქორი და იხვი, „ძაღლი და ძროხა“<br>ნაბიჯი მესამე– აღწერე, გამოიყენე მიღებული ცოდნა – თეორიული მასალა, „მამლის ქურდი“, ლომი და თაგვი“, „მკვეხარა მამალი“ ენობრივი მასალა, „მებადურის შვილი“<br>ნაბიჯი მეოთხე – იმსჯელე, დაადგინე მიზეზ-შედეგობ-რივი კავშირი – თამაში, „მეფე და მხატვარი“, ბიბლიოთეკა-რთან“, „ქარი და მზე“.<br>ნაბიჯი მეხუთე – განაზოგადე – ჩემი ხელნაკეთი წიგნი |

| | |
|---|---|
| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>სამიზნე ცნება – ტექსტი<br>1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.<br>2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.<br>3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.<br><br>სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი<br>1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად).<br>2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება.<br>3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. | **დავალების შეფასების კრიტერიუმები:**<br>(კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ხელნაკეთი წიგნის შექმნისას წარმოაჩინე:<br>შენ მერ დაწერილი ამბის ჟანრობრივი მახასიათებელი (ტ.3)<br>ის ადგილი და დრო სადაც და როდესაც მოქმედება ხდება. (ტ.3)<br>შენი ამბის შესაბამისი ლექსიკა (ს.1)<br>**ხელნაკეთ წიგნში შენი ტექსტის: სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, სამნაწილიანი სტრუქტურა** (ტ.3) |

## კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
**რესურსი:**
**აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება;**
**აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება;**

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რის ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ დავალების შესასრულებლად?
- შეგიქმნია თუ არა ხელნაკეთი წიგნი? თუ კი, მოგვიყევი მასზე.
- როგორი იქნებოდა შენი პერსონაჟი?
- რა ფრაზით დაიწყებდი შენს ამბავს? რომელიმე ჟანრს ხომ არ მიაკუთვნებ ასეთ დასაწყისს? (მაგ., იყო და არა იყო რა – ზღაპარი)
- როგორ ფიქრობ, ამ თემის ტექსტების დამუშავება რაში დაგეხმარება?
- შენი აზრით, როგორი წიგნია იდეალური?
- ილუსტრაციები რაში ეხმარება მკითხველს?
- რა სტრატეგიებს გამოიყენებდი წერის პროცესში?
- შენი წიგნის წარდგენისას როგორ გგონია, რას უნდა მიაქციო ყურადღება?
- რა კუთხით დაგჭირდება დახმარება?
- როგორ ფიქრობ, ამ დავალების შესრულება რა გამოცდილებას მოგცემს?
- რაში გამოგადგება ეს გამოცდილება?
- თუ გიმუშავია ადრე მსგავს დავალებაზე?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

ნაბიჯი 1. შენ მერ დაწერილი ამბის ჟანრობრივი მახასიათებელი (ტ.3) ის ადგილი და დრო, სადაც და როდესაც მოქმედება ხდება (ტ.3)

შენი მიზნის შესაბამისი ლექსიკა (ს.1)

## აქტივობა 1:
**ტექსტი: „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (1), „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (2)**

ტექსტის კითხვა შერჩეული კითხვის სტრატეგიით, ლექსიკაზე მუშაობა.
ანდაზის მიხედვით შესაძლოა ილუსტრაციები შექმნან. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს დროზე, როდესაც მოქმედება ხდება. ბავშვებს ეკითხება, რამდენად მნიშვნელოვანია ამბავში დრო იყოს მითითებული?
მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, ყველაზე მეტად რომელი სიტყვები მოეწონათ ამ ამბავში? ბავშვების პასუხებს ინიშნავს, რადგან შემდეგ, როდესაც ამბების წერას დაიწყებენ, გამოიყენონ. ასევე ინიშნავენ დასაწყის ფრაზას.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 102, 103; მოსწავლის რვეული: გვ. 102, 203

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- რა არის ამ ამბის მთავარი იდეა/სათქმელი?

## აქტივობა 2:
**ტექსტი: „მელა და ყვავი“, „ქორი და იხვი“**

შესაძლოა ეს ტექსტები ცალ-ცალკე აიხსნას, შესაძლოა ერთადაც. ერთად ახსნის შემთხვევაში: კითხულობენ ტექსტს. ადარებენ ვენის დიაგრამით (იხ. დანართი), გამოყოფენ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.
ადარებენ ანდაზებსაც.
საუბრობენ პერსონაჟ ცხოველებზე, მასწავლებელი ეკითხება: როგორ ფიქრობთ, რატომ აალაპარაკა ცხოველები ავტორმა? თქვენ თუ აირჩევდით თქვენი ამბის პერსონაჟად რომელიმე ცხოველს? თუ კი, რომელს? საუბრობენ მორალზე.
ინიშნავენ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც მოეწონათ და შესაძლოა ხელნაკეთი წიგნის დამზადებისას გამოადგეთ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 104, 105; მოსწავლის რვეული: გვ 104, 105

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რით განსხვავდება ეს მოთხრობები იმ მოთხრობებისგან, რომლებიც სხვა თემებში შევისწავლეთ?
- რა აქვთ მათ განსაკუთრებული?

## აქტივობა 3:
**ლექსიკონი**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 106; მოსწავლის რვეული: გვ. 106

მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება ლექსიკონის შესახებ, აწვდის ინფორმაციას, თუ რა არის და რისთვის სჭირდება ადამიანს, უჩვენებს ონლაინ ლექსიკონს: ena.ge-ს ან განმარტებითი ლექსიკონის რომელიმე გამოცემას.
ამის შემდეგ სახელმძღვანელოში მოცემულ ლექსიკონის გვერდს აკვირდებიან და მსჯელობენ.
მასწავლებელი სიტყვების ყუთს წარუდგენს და უხსნის მათ ფუნქციას. შიგნით ათავსებენ რამდენიმე სიტყვას.
რჩევა: კარგი იქნება, თუ ბავშვებს ექნებათ პატარა ბლოკნოტები ან რვეულები ლექსიკონისთვის, სადაც ჩაინიშნავენ ან ჩაიხატავენ ახალ სიტყვებს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ ვიმუშაოთ ლექსიკონში?
- როგორ განვმარტოთ სიტყვები?

## აქტივობა 4:
**ძაღლი და ძროხა**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ 107; მოსწავლის რვეული: გვ. 107

ტექსტის კითხვა (იხ. დანართი);
გააზრება – კითხვებით;
ლექსიკაზე მუშაობა (იხ. დანართი).
ბავშვები მსჯელობენ და იგონებენ გაგრძელებას: რა პასუხს დაუბრუნებდა ძაღლი?
იწერენ რვეულებში.
მუშაობენ მოსწავლის რვეულებში. შესაძლოა დავალებადაც მიეცეთ.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- ტექსტიდან რა მინიშნებებს დავეყრდენი ძაღლის სიტყვების მოფიქრების დროს?

## აქტივობა 5:
**„ცრუპენტელა“**

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ტექსტის დასაწყისზე, ბავშვებს ეკითხება, თუ ახსოვთ ის ტექსტები, რომლებიც ასე იწყება? ხომ არ დაასახელებდნენ? ბავშვებს სთხოვს, მოიფიქრონ ალტერნატიული დასაწყისები: *მაგ.: ერთხელ, იყო და არა იყო რა, უხსოვარ დროს, ერთ სოფელში და ასე შემდეგ*.
კითხულობენ ტექსტს, მსჯელობენ ტექსტის იდეაზე.
მუშაობენ ლექსიკაზე.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 108; მოსწავლის რვეული: გვ. 108

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- რა არის „ცრუპენტელას“ მთავარი სათქმელი?

## აქტივობა 6:
**იგავ-არაკი**

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, თუ როგორ ესმით, რა არის სიბრძნე? პასუხებს დაფაზე ინიშნავს. ამ თემაში ხომ არ ყოფილა რომელიმე მოთხრობა, რომელიც რაიმეს გვასწავლის? ჭკუას გვარიგებს? ბავშვები პასუხობენ.
მუშაობენ სახელმძღვანელოში.
მასწავლებელი განმარტავს, რა არის „იგავ-არაკი“.
მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, რით განსხვავდება იგავ-არაკი მოთხრობისგან.
განმარტავენ ბრძნულ გამონათქვამებს/ანდაზებს.
მასწავლებელი ეკითხება, რომ მოუნდეთ იგავ-არაკის დაწერა, რა უნდა გაითვალისწინონ? ვინ იქნებიან პერსონაჟები?
ბავშვები ფიქრობენ, შესაძლოა რვეულებში პატარა ჩანაწერი გააკეთონ: „მე რომ იგავ-არაკის დაწერა შევძლო...“ და მახასიათებლები ჩამოწერონ.
მოსწავლის რვეულში აკეთებენ შესაბამის სავარჯიშოებს (ან დავალებად ეძლევათ).

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 109; მოსწავლის რვეული: გვ. 109

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა განასხვავებს იგავ-არაკს სხვა, ჩვეულებრივი ტექსტებისგან?
- რა უნდა გავითვალისწინოთ, თუ იგავ-არაკის დაწერას გადავწყვეტთ?

## აქტივობა 7:
## „მამლის ქურდი“

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 110; მოსწავლის რვეული: გვ. 110

სანამ ტექსტს წაიკითხავდნენ, ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს, რაზე იქნება ეს იგავ-არაკი, რა იდეა ან მთავარი სათქმელი ექნება.
ამუშავებენ ტექსტს – კითხულობენ, იაზრებენ.
ახალ სიტყვებს ლექსიკონში ეძებენ (ena.ge ან განმარტებითი ლექსიკონი), ბარათებზე წერენ და სიტყვების ყუთში ყრიან. ინიშნავენ ფრაზებს, რომლებიც მოეწონათ და შემდეგ გამოიყენებენ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რას გვეუბნება „მამლის ქურდი“?
- შენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი რა გაიგე ამ ტექსტიდან?

## აქტივობა 8:
## „ლომი და თაგვი“

https://youtu.be/3Dke3efwpUI

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 111; მოსწავლის რვეული: გვ. 111

ტექსტის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ მოსწავლეები ცდილობენ მოირგონ თაგვის ან ლომის როლი და ამბავი პერსონაჟების ხედვის კუთხიდან გადმოსცენ.
შესაძლოა მასწავლებელმა ეს პატარა ანიმაციაც გამოიყენოს:
ახალ სიტყვებს სიტყვების ყუთში ყრიან, ხოლო საინტერესო სიტყვებსა და ფრაზებს ინიშნავენ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- პერსონაჟის როლის მორგებისას ტექსტში რა მინიშნებებს დაეყრდენი?
- ყველაზე მეტად რომელმა ფრაზამ მომხიბლა?

## აქტივობა 9:
## მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 112; მოსწავლის რვეული: გვ. 112

ბავშვები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ სიტყვებსა და ილუსტრაციებს, მსჯელობენ.
ბავშვები იყოფიან ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფი იღებს კონვერტში ჩადებული სიტყვების ბარათებს და აჯგუფებენ: საპირისპიროებს ერთად, მსგავსებს ერთად. აწებებენ თაბახზე და აფორმებენ ილუსტრაციებით. შემდეგ კი წარადგენენ. სასურველია, ყველა ჯგუფს მასწავლებელმა განსხვავებული სიტყვები შესთავაზოს. ნამუშევრები გამოიკვრება კლასში, რაც თვალსაჩინოების როლსაც შეასრულებს.
დავალებად მოსწავლის რვეულში სავარჯიშოები ექნებათ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რას ნიშნავს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?
- რას ნიშნავს მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები?

## აქტივობა 10:
**გამოცანა**

მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს ერთ რომელიმე გამოცანას, სასურველია, რომ სახელმძღვანელოში არ იყოს. ბავშვები ცდილობენ გამოცნობას, ხოლო შემდეგ განმარტავენ, რით განსხვავდება ლექსისგან? მოთხრობისგან? რა აქვს განსაკუთრებული? ასე ნელ-ნელა განმარტავენ, რა არის გამოცანა.
სახელმძღვანელოში კითხულობენ მოცემულ გამოცანებსა და ილუსტრაციებს.
ნაწილდებიან წყვილებში და იგონებენ საკუთარ გამოცანებს, უხატავენ ილუსტრაციებს. მასწავლებელი გამოფენს კლასში.
მასწავლებელი განმარტავს, რომ გამოცანა შესაძლოა სხვადასხვა ამბავშიც შეხვდეთ ან თავიანთ ხელნაკეთ წიგნში შეიტანონ.
დავალებად შესაძლოა მოსწავლის რვეულში შესაბამისი სავარჯიშოები მიეცეთ.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 113; მოსწავლის რვეული: გვ. 113

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის გამოცანა?
- როგორ შევქმნა ჩემი გამოცანა?

## აქტივობა 11:

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის გამოცანა?
- როგორ შევქმნა ჩემი გამოცანა?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 113; მოსწავლის რვეული: გვ. 113

## აქტივობა 12:
**„მკვეხარა მამალი“**

სანამ ლექსს წაიკითხავენ, მსჯელობენ სათაურზე, რას ნიშნავს „მკვეხარა“? ვარაუდებს მასწავლებელი დაფაზე წერს.
ლექსს ჯერ მასწავლებელი კითხულობს, განმარტავს ახალ სიტყვებს, რომლებსაც ბარათებზე წერენ ბავშვები და სიტყვების ყუთში ყრიან.
ლექსს კითხულობენ სტრატეგია ექოს გამოყენებით. (იხ. დანართი)
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 114; მოსწავლის რვეული: გვ. 114

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რომელი სიტყვები მოგეწონა? რატომ?
- შენ რა სათაურს შეურჩევდი? რატომ?

### აქტივობა 13:
**ადრე, ახლა, მერე**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 115; მოსწავლის რვეული: გვ. 115

სახელმძღვანელოში აკვირდებიან მოცემულ წინადადებებს და მსჯელობენ. გამოთქვამენ მოსაზრებებს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.
გაკვეთილის ბოლოს საუბრობენ, ხელნაკეთი წიგნის შექმნისას როგორ გამოიყენებდნენ ამ ახალ ცოდნას.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ გამოვიყენო დღევანდელ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა?
- რატომ უნდა გავითვალისწინო: მოქმედებები ახლა ხდება, ადრე მოხდა თუ მერე მოხდება?

### აქტივობა 14:
**კომიქსი**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 116, 117; მოსწავლის რვეული: გვ. 116, 117

სახელმძღვანელოში მოცემულ კომიქსს კითხულობენ, ჰყვებიან, რაც დაამახსოვრდათ, უსმენენ ტექსტს.
მსჯელობენ, რით განსხვავდება კომიქსი თხრობითი ტექსტისგან.
მასწავლებელი სთავაზობს, რომ, ვისაც უნდა, ხელნაკეთი წიგნისთვის შეუძლია ამბავი კომიქსად აქციოს.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- რა აქვს კომიქსს თხრობით ტექსტთან საერთო? განსხვავებული?

### აქტივობა 15:
**თავსატეხი**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 118; მოსწავლის რვეული: გვ. 118

თავსატეხის ტექსტს მასწავლებელი კითხულობს ნელა და პაუზებით, ჩერდება და აკეთებს ახსნა-განმარტებებს. ამის შემდეგ, როცა ჯერი ამოხსნაზე მიდგება, მოსწავლეები (მასწავლებლის მინიშნებით) ზეპირად ამბობენ. შემდეგ კი კარგი იქნება, თუ კლასში გაითამაშებენ, ასე უფრო თვალსაჩინოდ დაინახავენ, რომელ ნაპირზე რა დარჩა. ამისათვის საჭიროა ოთხი მოსწავლე და ბარათზე წინასწარ დაწერილი სიტყვები: კაცი, თხა, მგელი, თივა.

დავალებად მოსწავლის რვეულში შესასრულებელი სავარჯიშოები ექნებათ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ ამოვხსნა თავსატეხი?
- რომელი ანდაზა შეეფერება თავსატეხის ამბავს?

## აქტივობა 16
### „მეფე და მხატვარი“

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, მსჯელობენ. გამოთქვამენ ვარაუდებს.
უსმენენ დასასრულს, საუბრობენ, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდი და თუ კი, ტექსტიდან რა მინიშნებებს დაეყრდნენ.
მეფესა და მხატვარს ახასიათებენ პერსონაჟის სქემის მიხედვით, შესაძლოა მათი შედარებაც (იხ. დანართი).

მუშაობენ მოსწავლის რვეულში.
მასწავლებელი ურჩევს, რომ დაიმახსოვრონ ეს ორი პერსონაჟი, იქნებ ხელნაკეთი წიგნისთვის გამოადგეთ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რით განსხვავდებიან მეფე და მხატვარი ერთმანეთისგან?
- შენი ვარაუდი ტექსტის რომელ მინიშნებაზე დაყრდნობით გამოთქვი?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 119; მოსწავლის რვეული: გვ. 119

**ნაბიჯი 2.** წარმოაჩინე ხელნაკეთ წიგნში შენი ტექსტის: სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, სამნაწილიანი სტრუქტურა. **(ტ.3)**

## აქტივობა 1
### წიგნები და დამწერლობა

კარგი იქნება, თუ ამ აქტივობას პატარა ანიმაციის ნახვით დაიწყებენ. ანიმაცია ინგლისურადაა და ინგლისურის მასწავლებლის დახმარებაც შეიძლება, ანიმაციას აპაუზებენ, თარგმნიან. პარალელურად კი მოსწავლეებს აცდიან საკუთარი მოსაზრების გამოთქმას.
ამის შემდეგ კითხულობენ ტექსტს.
მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, როგორ ფიქრობენ, ტექსტი მხატვრულია თუ არამხატვრული? არჩევანი რომ ჰქონდეთ, წიგნის შექმნის რომელ ისტორიულ მეთოდს აირჩევდნენ?
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა გაიგე ახალი ტექსტიდან: „წიგნები და დამწერლობა“?
- რით განსხვავდება სხვა, აქამდე შესწავლილი მხატვრული ტექსტებისგან?

https://youtu.be/Ontfr8aBEGI

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 120; მოსწავლის რვეული: გვ. 120

## აქტივობა 2:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 121; მოსწავლის რვეული: გვ. 121

მასწავლებელი გაკვეთილზე აჩვენებს რომელიმე წიგნს (სასურველია, რომ წიგნი იყოს დიდი, გამოკვეთილი სათაურითა და შრიფტით).
ბავშვები მასზე პოულობენ: ავტორს, სათაურს, გამომცემლობას, გამოცემის წელს, ყდას, თავებს, აბზაცებს, ილუსტრაციებს, საუბრობენ, რატომაა ზოგან შრიფტი უფრო დიდი და მუქი.
მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, რით დაიწყებდნენ საკუთარი ხელნაკეთი წიგნის შექმნას?
ბავშვები პასუხობენ. საბოლოოდ მიდიან შეთანხმებამდე, რომ ფურცლები, ქაღალდი ძალიან საჭირო და აუცილებელია. მასწავლებელი იმასაც ეუბნება, რომ ქაღალდის მოპოვების გამო უამრავი ხე იჭრება, რომ კარგი იქნება, თუ ფურცლებს გავუფრთხილდებით, ამით უამრავ ხეს გადავარჩენთ! ამიტომ, მოდი, ძველი, გამოყენებული ფურცლების გამოყენება ვცადოთ.
სახელმძღვანელოში ეცნობიან ხელნაკეთი ქაღალდის დამზადების ინსტრუქციას, პირობის კარგად გააზრებისთვის მასწავლებელი სვამს დასაზუსტებელ შეკითხვებს.
ქაღალდი შესაძლოა კლასში ერთობლივად დამზადდეს, თუ ამის საშუალება არ არის, ბავშვებმა სახლებში თავად დაამზადონ, ამას მასწავლებელი წყვეტს. ასევე იდეალური იქნება, თუ ხელნაკეთი წიგნისთვის ამ ფურცლებს გამოიყენებენ.
მოსწავლის რვეულში შესაბამის სავარჯიშოებს კლასში ასრულებენ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ შევქმნა ხელნაკეთი ფურცელი?
- რა გავითვალისწინო?
- რატომ უნდა გავუფრთხილდე ფურცლებს?

## აქტივობა 3:
**ბიბლიოთეკართან**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 122; მოსწავლის რვეული: გვ. 122

ტექსტის დამუშავების, გააზრების, კითხვებზე მსჯელობის შემდეგ კარგი იქნება, თუ ბავშვები მოამზადებენ შეკითხვებს (წინა თემაზე მუშაობისას შეკითხვების მომზადება უკვე იციან) და სკოლის ბიბლიოთეკარს დაუსვამენ. მასთან შეხვედრა შესაძლოა ბიბლიოთეკაში დაიგეგმოს, პარალელურად კი ბიბლიოთეკას დაათვალიერებენ, წიგნებს გაეცნობიან, მკითხველის ბილეთებს აიღებენ. ბიბლიოთეკარის პასუხები შესაძლოა ბავშვებმა ჩაიწერონ. კარგი იქნება, თუ რამდენიმე კითხვა ხელნაკეთ წიგნებსაც შეეხება, იქნებ ბიბლიოთეკარს ამ საქმეში გამოცდილება აქვს? რას ურჩევდა ის ბავშვებს? ხომ არ მიეხმარება? მას ხომ წიგნების რესტავრაცია შეუძლია.
მოსწავლის რვეულში სავარჯიშოები დავალებად.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ მოვემზადო ბიბლიოთეკართან ინტერვიუს ჩასაწერად?
- რა კითხვები დავუსვა?
- სახელმძღვანელოში წაკითხულ ინტერვიუში რა იყო ჩემთვის ახალი და მნიშვნელოვანი?

### აქტივობა 4:
**კითხვის დასმა**

გრძელდება კითხვების დასმის სწავლება, ახლა უკვე ბავშვები თანატოლებს უსვამენ კითხვებს წიგნების შესახებ.
ჯერ კითხულობენ ტექსტს და ილუსტრაციებზე გამოსახული ბავშვების პასუხების მიხედვით იგონებენ კითხვებს, ამის შემდეგ კი თითოეული მათგანი ერთ კითხვას იფიქრებს წიგნის შესახებ, წერენ ბარათებზე, ამ ბარათებს მასწავლებელი ყუთში ყრის. ყუთიდან ბავშვები სათითაოდ იღებენ კითხვებს და პასუხობენ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**
სახელმძღვანელო: გვ. 123; მოსწავლის რვეული: გვ. 123

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- კითხვის მოფიქრებისას რა გავითვალისწინე?

### აქტივობა 5:
**„მზე და ქარი“**

ტექსტს კითხულობენ როლური კითხვით: ავტორი, მზე და ქარი. ინიშნავენ საინტერესო სიტყვებს ხელნაკეთი წიგნის ამბისთვის, ხოლო უცხო სიტყვებს განმარტავენ და ყრიან სიტყვების ყუთში.
ბავშვები მსჯელობენ ტექსტის იდეაზე, ფანქრით ხაზავენ აბზაცებს, ხატავენ ილუსტრაციებს. მასწავლებელი აძლევს დავალებას, უნდა წარმოიდგინონ რომ „მზე და ქარი“ წიგნია და შექმნან მისი ყდა. დააწერონ სათაური, მოიფიქრონ დიზაინი, ტექსტის შრიფტი.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**
სახელმძღვანელო: გვ. 124; მოსწავლის რვეული: გვ. 124

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- რა არის ტექსტის – „მზე და ქარი“ მთავარი იდეა?
- როგორ შევქმნა ტექსტისთვის – „მზე და ქარი“ წიგნის ყდა? რა გავითვალისწინო?

### აქტივობა 6:

სანამ ბავშვები ხელნაკეთ წიგნზე მუშაობას დაიწყებენ, მასწავლებელი ახსენებს წინა თემაში განვლილ მასალას, ტექსტის სამ ნაწილიან სტრუქტურას: დასაწყისს, შუა ნაწილსა და დასასრულს.
ბავშვები ხელნაკეთი წიგნის შექმნას პერსონაჟების შერჩევით იწყებენ. ამისთვის კი სახელმძღვანელოში მოცემული ვარიანტებიდან არჩევენ ერთ-ერთს.
ამის შემდეგ მიყვებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციებს ნაბიჯ-ნაბიჯ.
ამბისთვის იყენებენ იმ სიტყვებს, რომლებსაც მთელი თემის განმავლობაში აგროვებდნენ, ასევე შესაძლოა „სიტყვის ყუთის“ სიტყვებიც დაიხმარონ.
თავიდან ამბავს წერენ მოსწავლის რვეულში მოცემული ჩარჩოებისა და მინიშნებების დახმარებით, შემდეგ კი უკვე ხელნაკეთ წიგნში გადააქვთ.

**რესურსი**
სახელმძღვანელო: გვ. 125, 126, 127; მოსწავლის რვეული: გვ. 125, 126, 127

დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):

- რა პრინციპით შევარჩიე პერსონაჟები?
- რა ჟანრისაა ჩემი ამბავი?
- მისი დასაწყისი რაზე მიანიშნებს?
- სათაურის შერჩევისას რა გაითვალისწინე?
- რამდენად დაგეხმარა ამ თემაში განხორციელებული აქტივობები?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე: რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- განსაკუთრებით რა გაგიადვილდა? რა გაგიძნელდა, რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?

**რჩევა მასწავლებლებს:**

დანართებად წარმოდგენილი სქემები, ამობეჭდვის ნაცვლად, შესაძლოა ბავშვებმა რვეულებში ფანქრით მარტივად ჩახაზონ და იქვე შეავსონ.

კარგი იქნება, ბავშვებს, გარდა მოსწავლის რვეულებისა, თუ ექნებათ უბრალო სამუშაო რვეულებიც, სადაც სქემებს ჩახაზავენ და ლექსიკაზე იმუშავებენ.

## დანართი:

რესურსი 1: ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)
რესურსი 2: თხრობის რუკა
რესურსი 3: კითხვის სტრატეგიები
რესურსი 4: წესების ხის შაბლონები
რესურსი 5: ალილოს ტექსტი
რესურსი 6: ვენის დიაგრამა

# თავი 6 — ჩვენ და ბუნება

| თემატური მატრიცა |
|---|
| საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა<br>ძირითადი რესურსი/ტექსტი – „ტყე და მისი სიმშვენიერე"(1), (2), „საგაზაფხულო", „ია ყინულებში" (1), (2), (3), „ახალი სიცოცხლე", „ყმაწვილი და პეპელა", „ქეთუნა და ჩიტი", (1), (2), (3), „ზოოპარკი" (გ. ჭიჭინაძე), „ზოოპარკი" (მ. ფოცხიშვილი), „ტყის შვილები", კინოში წასვლა, „სიზარმაცე თუ მოხერხება", „მოხუცი და მსხლის ნერგი".<br>**მთავარი საკითხი**: თემის „ჩვენ და ბუნება" ტექსტების („ტყე და მისი სიმშვენიერე" (1), (2), „საგაზაფხულო", „ია ყინულებში" (1), (2), (3), „ახალი სიცოცხლე", „ყმაწვილი და პეპელა", „ქეთუნა და ჩიტი", (1), (2), (3), „ზოოპარკი" (გ. ჭიჭინაძე), „ზოოპარკი" (მ. ფოცხიშვილი), „სიზარმაცე თუ მოხერხება", „ტყის შვილები", „ბედოვლათი მონადირე" (1), (2), (3), „მოხუცი და მსხლის ნერგი") დამუშავება/გააზრება და „მწვანე აქციის" დაგეგმვა/მოწყობა (მთავარი სათქმელი, ლოგო, სიტყვის მომზადება, პოსტერი).<br><br>კლასი:  მეორე კლასი |
| **თემა: „ჩვენ და ბუნება"** საათების სავარაუდო რაოდენობა: |
| **თემატური მატრიცის  სარჩევი**<br>შუალედური მიზანი<br>**(სამიზნე ცნება** – ტექსტი (ჟანრები); **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრები)<br>შედეგები: I 2;  I 3; I 4; I 5;<br><br>ქვეცნება  – არამხატვრული ჟანრი<br><br><br>**ქვესაკითხები:**<br>**საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი**<br>**პოსტერი**<br>**ქვეცნება**<br>**შინაარსობრივი მხარე**<br>**ქვესაკითხები:**<br>**თემა; მთავარი იდეა/დედააზრი; ძირითადი საკითხი/პრობლემა;**<br>**ქვეცნება**<br>**ენობრივი მხარე**<br>**ქვესაკითხები:**<br>**თემატური ლექსიკა;**<br>**ქვეცნება**<br>სტრუქტურა/აგებულება | საკითხი – თემის  „ჩვენ და ბუნება" ტექსტების („ტყე და მისი სიმშვენიერე"(1), (2), „საგაზაფხულო", „ია ყინულებში" (1), (2), (3), „ახალი სიცოცხლე", „ყმაწვილი და პეპელა", „ქეთუნა და ჩიტი", (1), (2), (3), „ზოოპარკი" (გ. ჭიჭინაძე), „ზოოპარკი" (მ. ფოცხიშვილი), „ტყის შვილები", კინოში წასვლა, „სიზარმაცე თუ მოხერხება", „მოხუცი და მსხლის ნერგი".) დამუშავება/გააზრება და „მწვანე აქციის" დაგეგმვა/მოწყობა (მთავარი სათქმელი, ლოგო, სიტყვის მომზადება, პოსტერი).<br><br>ქვესაკითხი:  „ტყე და მისი სიმშვენიერე"(1), (2), „საგაზაფხულო", „ია ყინულებში" (1), (2), (3), „ახალი სიცოცხლე", „ყმაწვილი და პეპელა", „ქეთუნა და ჩიტი", (1), (2), (3), „ზოოპარკი" (გ. ჭიჭინაძე), „ზოოპარკი" (მ. ფოცხიშვილი), „სიზარმაცე თუ მოხერხება", „ტყის შვილები", კინოში წასვლა, „მოხუცი და მსხლის ნერგი" – **საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, პოსტერი**, თემა;  მთავარი იდეა/დედააზრი; ძირითადი საკითხი/პრობლემა; თემატური ლექსიკა; |

| | |
|---|---|
| **ქვესაკითხები:**<br>მაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბალური) ელემენტები – სათაური, ქვესათაური, წარწერა.<br><br>მაორგანიზებელი არასიტყვიერი (არავერბალური) ელემენტები – ილუსტრაცია, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები – დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, მუქი შრიფტი.<br><br>**ქვეცნება:**<br>**ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირების სტრატეგიები.**<br>**ქვესაკითხები:**<br>**მოსმენის, კითხვის, ლექსიკის სწავლისა და წერის სტრატეგიები.**<br>**ქვეცნება:**<br>**სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება**<br>**ქვესაკითხები:**<br><br>**დასაბუთება – დასაბუთების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (მოსაზრება, ახსნა/არგუმენტი, გამამყარებელი მაგალით(ებ)ი**).<br><br>**სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი**<br>**შედეგები:** (I).4, 5, 6<br>ქვეცნება<br>სამეტყველო ქმედებათა განსახორციელებელი ენობრივი საშუალებები<br><br>ქვესაკითხები<br>ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა (მაგ., აზრის დასაბუთებისას, შეფასებისას).<br><br>**ქვეცნება**<br>საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლები<br><br>ქვესაკითხები<br>**საკომუნიკაციო ამოცანა; კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი); კომუნიკაციისდრო**, ადგილი. | **მხატვრული ხერხები/ტროპები: შედარება,** მაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბალური) ელემენტები – სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა. მაორგანიზებელი არასიტყვიერი (არავერბალური) ელემენტები – ილუსტრაცია, სქემა, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები – დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, მუქი შრიფტი, ხაზგასმა; ხმის ტემბრი, დინამიკა (აწევ-დაწევა); ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მიმიკა.**მოსმენის, კითხვის, ლექსიკის სწავლისა და წერის სტრატეგიები. დასაბუთება – დასაბუთების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (მოსაზრება, ახსნა/არგუმენტი, გამამყარებელი მაგალით(ებ)ი).** ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა (მაგ.: აზრის დასაბუთებისას, შეფასებისას).<br>**საკომუნიკაციო ამოცანა; კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი); კომუნიკაციის დრო, ადგილი.**<br>საკვანძო შეკითხვა:<br>• როგორ ამოვიცნო ტექსტებში მთავარი სათქმელი, ძირითადი იდეა?<br>• ჩემს „სიტყვაში“ მე როგორ ჩამოვაყალიბო მთავარი სათქმელი?<br>• როგორ შევარჩიო ჩემი „სიტყვის“ შინაარსი? რა გავითვალისწინო?<br>• თემაში ნასწავლი ტექსტები როგორ გამოვიყენო ჩემი საბოლოო მიზნისთვის?<br>• ლოგოს შექმნისთვის რა უნარ– ჩვევები გამომადგება?<br>• სიტყვის დაწერისას არგუმენტებს და დასაბუთებას როგორ შეარჩევ?<br>• პოსტერის მთავარი სლოგანი, იდეა, რაზე დაყრდნობით მოიფიქრე?<br>• თემაში ნასწავლი მხატვრული ხერხი „შედარება“ თუ გამოგადგა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას?<br>• გამოიყენე თუ არა თემატური ლექსიკა, რომელსაც ტექსტებზე მუშაობის პარალელურად გაეცანი?<br>• რა სტრატეგიები გამოვიყენე სიტყვის წერისას?<br>• პოსტერის გაფორმებისას თუ გამოგადგა ხელნაკეთ წიგნზე მუშაობის გამოცდილება?<br>• სიტყვის მომზადებისას გაითვალისწინე თუ არა ის აუდიტორია, რომლის წინაშეც ამ სიტყვას წარადგენ?<br>• თუ კი, აუდიტორიის მიხედვით ხომ არ შეგიტანია ცვლილებები შენს სიტყვაში?<br>• განსაზღვრე თუ არა მწვანე აქციის დრო და ადგილი?<br>• თუ კი, რა გაითვალისწინე დროისა და ადგილის განსაზღვრისას?<br><br>**კომპლექსური დავალება**<br>თემის: „ჩვენ და ბუნება“ – ტექსტების დამუშავება/გააზრების შემდეგ მოაწყვე „მწვანე აქცია“, გაითვალისწინე:<br>აქციის შინაარსი;<br>მთავარი სათქმელი;<br>ლოგო;<br>წინასწარ მომზადებული სიტყვა;<br>აქციის პოსტერი და სიმბოლოები/ნიშნები. |

| | |
|---|---|
| | ნაბიჯი პირველი – წაიკითხე და გაეცანი – მოსასმენი მასალა<br>ნაბიჯი მეორე – დაასახელე, მოყევი – „ტყე და მისი სიმშვენიერე“<br>ნაბიჯი მესამე – აღწერე, გამოიყენე მიღებული ცოდნა – „საგაზაფხულო“<br>ნაბიჯი მეოთხე – იმსჯელე, დაადგინე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი -„ია ყინულებში“, „ყმაწვილი და პეპელა“, „ქეთუნა და ჩიტი“, „ზოოპარკი“, „ზოოპარკი“, „მოგზაური მაიმუნები“, სიზარმაცე თუ მოხერხება“, „ტყის შვილები“, „კინოში“, თეორიული და ენობრივი მასალა<br>ნაბიჯი მეხუთე – განაზოგადე – მწვანე აქცია |
| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>სამიზნე ცნება – ტექსტი<br>1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.<br>2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.<br>3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.<br><br>სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი<br>1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად).<br>2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება.<br>3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. | **დავალების შეფასების კრიტერიუმები:**<br>შეფასების კრიტერიუმი – (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>***„მწვანე აქციის“ მოწყობისას*** წარმოაჩინე:<br><br>თემის „ჩვენ და ბუნება“ ტექსტებში წამოჭრილი პრობლემები უკავშირდება ჩვენს ცხოვრებას, ბუნებასთან მეგობრობა – ჩვენი, ადამიანების კეთილდღეობის გარანტია. (ტ.1)<br><br>ტექსტებში მინიშნებებზე დაყრდნობით, მთავარი სათქმელის გააზრებით შენეული ხედვის, იდეების ჩამოყალიბება. (ტ.2)<br><br>პოსტერზე გამოტანილია მწვანე აქციის მთავარი იდეა და სათქმელი, გაფორმებულია შესაბამისი ილუსტრაციებით, ლოგოთი, ტიპოგრაფიული მინიშნებებით. (ტ.3)<br><br>„მწვანე აქციაზე“ წარმოსათქმელი ტექსტი შექმნილია: შესაბამისი, მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენი მრავალფეროვანი სიტყვებითა და წინადადებებით, მიზნის შესაბამისი აგებულებით. (ს.1, ს.2, ს.3) |

# კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**რესურსი:**
**აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება;**
**აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება;**

***გეზისმიმცემი შეკითხვები:***

- რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რის ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ დავალების შესასრულებლად?
- შეგიქმნია თუ არა ხელნაკეთი პოსტერი? თუ კი, მოგვიყევი მასზე.
- როგორ წარმოგიდგენია შენი როლი „მწვანე აქციის“ მოწყობისას?
- თუ შეგიქმნია ოდესმე ლოგო? თუ კი, გვიამბე, რა მიზნით შექმენი.
- როგორ ფიქრობ, ამ თემის ტექსტების დამუშავება რაში დაგეხმარება?
- შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ბუნებას გავუფრთხილდეთ?
- რა მოყვება ბუნების, გარემოს დაბინძურებას?
- ცხოველების დახოცვას?
- ხეების მოჭრას?
- შენი აზრით, რაში დაეხმარება ბუნებას „მწვანე აქციის“ მსგავსი ღონისძიებების ჩატარება?
- რა სტრატეგიებს გამოიყენებდი შენი სიტყვის წერის პროცესში?
- „მწვანე აქციის“ მოწყობისას რას მიაქცევ დიდ ყურადღებას?
- რა კუთხით დაგჭირდება დახმარება?
- როგორ ფიქრობ, ამ დავალების შესრულება რა გამოცდილებას მოგცემს?
- რაში გამოგადგება ეს გამოცდილება?
- თუ გიმუშავია ადრე მსგავს დავალებაზე?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

**ნაბიჯი 1.** თემის „ჩვენ და ბუნება“ ტექსტებში წამოჭრილი პრობლემები უკავშირდება ჩვენს ცხოვრებას, ბუნებასთან მეგობრობა – ჩვენი, ადამიანების კეთილდღეობის გარანტია. (ტ.1)
ტექსტებში მინიშნებებზე დაყრდნობით, მთავარი სათქმელის გააზრებით შენეული ხედვის, იდეების ჩამოყალიბება. (ტ.2)

## აქტივობა 1:

თემის შესწავლას იწყებენ სახელმძღვანელოში სურათის აღწერით, ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს სურათის პერსონაჟების ფიქრებ-ზე, იგონებენ დიალოგს, ამბავს, რომელიც მათ გადახდათ ტყეში. იხსე-ნებენ საკუთარ გამოცდილებას, ყოფილან თუ არა ან უნახავთ თუ არა ტყე, რა მოეწონათ, რა დაამახსოვრდათ,
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რას ნიშნავს ტყე ჩემთვის?
- რომელი სიტყვები გამოვიყენე სურათის აღწერისას?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 129; მოსწავლის რვეული: გვ. 129

## აქტივობა 2:

*(ნაწილდება რამდენიმე საათზე)*

ტექსტი: „ტყე და მისი სიმშვენიერე“ (1); „ტყე და მისი სიმშვენიერე“ (2)
სანამ ტექსტზე მუშაობას დაიწყებდნენ, კარგი იქნება, თუ მასწავლე-ბელი ბავშვებს გააცნობს ქეით ოლივია სეშენს – ხეებზე შეყვარებული გოგონას საოცარ ისტორიას (აქ ნახავთ ინფორმაციას და რამდენიმე რესურსს).
ამის შემდეგ კითხულობენ ტექსტს რომელიმე სტრატეგიით (იხ. და-ნართი). მუშაობენ ლექსიკაზე, ახალ სიტყვებს წერენ ბარათებზე და სიტყვების ყუთში ყრიან.
აკვირდებიან ტექსტის ქვემოთ ილუსტრაციებს: ხეებისა და ფრინვე-ლ-ცხოველების, ამოიკითხავენ და თან საუბრობენ, უნახავთ თუ არა რეალურ ცხოვრებაში.
ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრების შემდეგ მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რა სარგებლობა მიაქვს ტყეს? იქ მცხოვრებ ცოცხალ არსებებს? ხეებს? უნდა გავუფრთხილდეთ თუ არა?

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- როგორ გავუფრთხილდე ტყეს?
- რა გავიგე ამ ტექსტიდან ახალი და მნიშვნელოვანი?
- რა იყო ის, რაც ჩემს ცხოვრებასთან და გამოცდილებასთანაა კავშირში?

http://mastsavlebeli.ge/?p=27114 )

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 130, 131, 132, 133; მოსწავლის რვეული: გვ. 130, 131, 132, 133

## აქტივობა 3:
**„საგაზაფხულო“**

**რესურსი**

სახელმძღვანელო, გვ. 134; მოსწავლის რვეული: გვ. 134

ლექსს კითხულობენ სტრატეგიით: „კითხვის მატარებელი“ (იხ. დანართი).
ახალ ლექსიკურ ერთეულებზე ადგენენ წინადადებებს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის ლექსის მთავარი იდეა?
- რატომ ჰქვია „საგაზაფხულო?

## აქტივობა 4:
*(ნაწილდება რამდენიმე საათზე)*

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 135, 136; მოსწავლის რვეული: გვ. 135, 136

„ია ყინულებში“ (1) ტექსტი
„ია ყინულებში“ (2) მოსასმენი
სანამ ტექსტს წაიკითხავენ, ბავშვები მსჯელობენ, საიდან შეიძლება, ია ყინულებში მოხვედრილიყო? გამოთქვამენ ვარაუდებს.
კითხულობენ ტექსტს, აანალიზებენ, მსჯელობენ. მუშაობენ მოსწავლის რვეულში.
ქმნიან საერთო საკლასო თხზულებას: როგორ გააგრძელებდნენ მოთხრობას. იწერენ დამატებით რვეულებში, ასათაურებენ და უკეთებენ ილუსტრაციას.

უსმენენ „ია ყინულებში“ მეორე ნაწილს.
აანალიზებენ ტექსტს, მსჯელობენ, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდი.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- შენ როგორ ფიქრობ, რატომ გაჩნდა ია ჩრდილოეთ პოლუსზე?
- შენ როგორ გააგრძელებდი ამბავს?

## აქტივობა 5:
**შედარება**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 137; მოსწავლის რვეული: გვ. 137

რა არის შედარება?
ბავშვები პასუხობენ. მასწავლებელს მოჰყავს შედარების მაგალითები, მსჯელობენ, როგორ შეიძლება გამოიყენონ საკუთარ ტექსტებში.
მუშაობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებსა და სავარჯიშოებზე. ტექსტში: „ია ყინულებში“ ეძებენ შედარების მაგალითებს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის შედარება?
- რისთვის გამოვიყენო?
- კომპლექსური დავალების შესრულებისას რაში გამომადგება?

## აქტივობა 6:
### „ია ყინულებში“ (3)

კითხულობენ ტექსტს, მსჯელობენ: როგორ დაამახსოვრდებოდათ ია ჩრდილოეთ პოლუსზე – პატარა უსუსურ ყვავილად თუ საოცარ, უშიშარ მებრძოლად? გამოთქვამენ მოსაზრებებს.
მასწავლებელი სთხოვს, რომ შეუცვალონ დასასრული და საკუთარი ვერსია ჩაწერონ რვეულებში. შემდეგ კითხულობენ და თან განმარტავენ, რატომ გადაწყვიტეს ასეთი დასასრული.
დავალებად მოსწავლის რვეულში შესაბამისი სავარჯიშოები ეძლევათ.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 138; მოსწავლის რვეული: გვ. 138

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ დაამახსოვრდებოდათ ია ჩრდილოეთ პოლუსზე – პატარა უსუსურ ყვავილად თუ საოცარ, უშიშარ მებრძოლად?
- რის თქმა სურდა ავტორს ამ ტექსტით?

## აქტივობა 7:
### ახალი სიცოცხლე

მსჯელობენ მცენარეების სარგებელზე, რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ და გავახაროთ ისინი.
სახელმძღვანელოში მოყვანილი ინსტრუქციის თანახმად, შესაძლოა კლასში, პატარა ქოთანში დაითესოს მცენარე, თან მის ამოსვლას დააკვირდებიან, კარგი იქნება, თუ გაკვეთილი ბუნებისმეტყველებასთან ინტეგრირებით დაიგეგმება. შესაძლოა სკოლის ეზოშიც დაირგას მცენარეები. კარგი იქნება, სახლშიც მიეცეთ დავალებად, მიჰყვნენ ინსტრუქციას და ახალი სიცოცხლე შექმნან. თან დღიური აწარმოონ. მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 139; მოსწავლის რვეული: გვ. 139

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რატომ უნდა დავრგოთ მცენარეები?
- რა სარგებელი მოაქვს მცენარეს ადამიანისთვის?
- დამეხმარა თუ არა ინსტრუქცია დავალების შესრულებაში?

https://youtu.be/I5Gi15nFIUk

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 140, 141; მოსწავლის რვეული: გვ. 140, 141

## აქტივობა 8:
### „ყმაწვილი და პეპელა“

ბავშვები ლექსს კითხულობენ რომელიმე სტრატეგიის გამოყენებით (იხ. დანართი). მსჯელობენ ლექსის შინაარსზე, იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას, მათ თუ დაუჭერიათ რომელიმე მწერი და როგორ დასრულდა ეს ამბავი. შესაძლოა ნახონ მოკლე ანიმაცია პეპელას ცხოვრების ციკლზე:

წერენ მოკლე თხზულებას: რატომ არ უნდა დავიჭიროთ პეპელა. მუშაობენ მოსწავლის რვეულში

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი?
- შენ თუ დაგიჭერია პეპელა? როგორ მოექეცი მას?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 142, 143, 144; მოსწავლის რვეული: გვ. 142, 143, 144

## აქტივობა 9:
*(ნაწილდება რამდენიმე საათზე)*

„ქეთუნა და ჩიტი“ (1)
„ქეთუნა და ჩიტი“ (2)
„ქეთუნა და ჩიტი“ (3) მოსასმენი

თითოეული ნაწილის წაკითხვის შემდეგ კარგი იქნება, თუ ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს, როგორ გაგრძელდება.
კითხულობენ სასურველი კითხვის სტრატეგიით (იხ. დანართი). წესით, უკვე იცნობენ რამდენიმე სტრატეგიას და თავად სცადონ შერჩევა.
მსჯელობენ ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების დახმარებით. აწყობენ პატარა დისკუსიას: ჩიტი სად უფრო ბედნიერად გრძნობს თავს – გალიაში თუ გარეთ, თავისუფლად? შეუძლიათ არგუმენტები ტექსტიდან მოიყვანონ.
შესაძლოა როლები გადაანაწილდეს და ტექსტი როლებში წაიკითხონ.
კარგი იქნება, თუ მასწავლებელი იქცევა „კალმად“, ბავშვები უკარნახებენ წინადადებებს, მასწავლებელი კი დაფაზე დაწერს და საბოლოოდ პატარა თხზულება გამოვა: „ჩიტის გამყიდველი ბიჭუნას პატარა ამბავი“. სანამ წერას დაიწყებდნენ, მასწავლებელი სთხოვს, რომ ტექსტში მოცემულ მინიშნებებს დაეყრდნონ და ისე ჩამოაყალიბონ ამბავი. უკეთებენ ილუსტრაციასაც.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის ტექსტის „ქეთუნა და ჩიტი“ მთავარი სათქმელი?
- როგორ ფიქრობ, ჩიტი სად უფრო ლაღი და ბედნიერია – გალიაში თუ გარეთ?
- შენ როგორ იზრუნებდი ჩიტზე?

## აქტივობა 10:
**როგორ გამოვკვებოთ ჩიტები სიცივეში?**

ბავშვები, სანამ სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციას წაიკითხავდნენ, საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამენ, ასევე იხსენებენ თავად თუ გამოუკვებიათ ჩიტები ზამთარში და როგორ?
ინსტრუქციას კითხულობენ, ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერენ საკვების დამზადების პროცესს და წერენ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 145; მოსწავლის რვეული: გვ. 145

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ გამოვკვებოთ ჩიტები სიცივეში?
- შენ თუ  გამოგიკვებია ჩიტები?
- რა მინიშნებები დამეხმარა ინსტრუქციის გააზრებაში?

## აქტივობა 11:
**„გასეირნება ზოოპარკში“**

ნიშნები
ბავშვები ყურადღებით უყურებენ და უსმენენ გადაცემას ზოოპარკზე. მასწავლებელი აპაუზებს, სვამს კითხვებს, მსჯელობენ.
საუბრობენ ნიშნებზე: რატომ გვჭირდება ისინი?
აკვირდებიან ილუსტრაციებს და ამოიცნობენ ნიშნის დანიშნულებას.
იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას, სად და რომელი ან როგორი შეხვედრიათ, შესაძლოა თავადაც შევაქმნევინოთ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 146, 147; მოსწავლის რვეული: გვ. 146, 147

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა ინფორმაცია მიიღე ამ გადაცემიდან?
- შენი აზრით, ზოოპარკის ამ გალიებში ცხოველები ბედნიერად გრძნობენ თავს, თუ მაინც ბუნებაში ურჩევნიათ ყოფნა?
- რაში გვჭირდება ნიშნები?

## აქტივობა 12:
**„ზოოპარკი“ (გ. ჭიჭინაძე)**
**„ზოოპარკი“ (მ. ფოცხიშვილი)**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 148, 149; მოსწავლის რვეული: გვ. 148, 149

ბავშვები კითხულობენ ლექსებს, შინაარს ულრმავდებიან, პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს. მსჯელობენ: ბედნიერები არიან თუ არა ცხოველები ზოოპარკში? გამოთქვამენ მოსაზრებებს. ამ ორ ლექსს ადარებენ ერთმანეთს, გამოყოფენ საერთოსა და განმასხვავებლებს.
საუბრობენ ლექსის ემოციაზე, რა გრძნობებს აღძრავს ის მკითხველში.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- შენ რომელი ლექსი უფრო მოგწონს? რატომ?
- როგორ ფიქრობ, გათავისუფლებულ ცხოველს მოენატრება ზოოპარკი? დაესიზმრება გალია, ვოლიერი?

## აქტივობა 13:
**„მოგზაური მაიმუნები“**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 150; მოსწავლის რვეული: გვ. 150

ბავშვები საუბრობენ ილუსტრაციაზე, გამოთქვამენ მოსაზრებებს.
უსმენენ ტექსტს, პასუხობენ კითხვებს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- სინამდვილეში სად უმოგზაურია მაიმუნს?

## აქტივობა 14:
**„სიზარმაცე თუ მოხერხება“**

[https://youtu.be/NEtI8uWtmOo](https://youtu.be/NEtI8uWtmOo)

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 155; მოსწავლის რვეული: გვ. 155

კითხულობენ ტექსტს: თითო წინადადებას – თითო ბავშვი, მასწავლებელი სთხოვს, რომ წერტილამდე წაიკითხონ და წაკითხულზე მოკლე კომენტარი გააკეთონ: გაიგეს თუ არა, ან რა იყო უცნობი, ხომ არ ახსენებთ რამეს.
მსჯელობენ ტექსტის შინაარსზე.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.
შესაძლოა ამ პატარა ფილმსაც უყურონ და ერთად განიხილონ:

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა გაიგე გუგულის შესახებ?
- შენი აზრით, გუგულს ბუნებისთვის უფრო მეტი სარგებელი მოაქვს თუ ზიანი?

**ნაბიჯი 2.** პოსტერზე გამოტანილია მწვანე აქციის მთავარი იდეა და სათქმელი, გაფორმებულია შესაბამისი ილუსტრაციებით, ლოგოთი, ტიპოგრაფიული მინიშნებებით. (ტ.3)
„მწვანე აქციაზე“ წარმოსათქმელი ტექსტი შექმნილია: შესაბამისი, მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენი მრავალფეროვანი სიტყვებითა და წინადადებებით, მიზნის შესაბამისი აგებულებით. (ს.1, ს.2, ს.3)

## აქტივობა 1:
**ლოგო**

მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს რამდენიმე ცნობილ ლოგოს, რომლებიც ბუნებითაა შთაგონებული.
ამის შემდეგ სახელმძღვანელოში მოცემულ ლოგოებს აკვირდებიან და გამოთქვამენ მოსაზრებებს.
მასწავლებელი სთხოვს, რომ კლასის ლოგო შექმნან.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

https://bit.ly/3ZcgaJ9

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 156; მოსწავლის რვეული: გვ. 156

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- შენი აზრით, რატომაა სახელმძღვანელოში მოცემულ ლოგოებში ამდენი მწვანე ფერი?
- რა მიზნით შექმნიდი ლოგოს, რომელიც ბუნებით იქნებოდა შთაგონებული?

## აქტივობა 2:

აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ პოსტერს, განიხილავენ თითოეულ მახასიათებელს. მსჯელობენ ილუსტრაციაზე. მასწავლებელი სთხოვს, ნიმუშის მიხედვით სასწავლო პოსტერი მოამზადონ გუგულზე და გამოიყენონ მიზნის შესაბამისი სიტყვები, წინადადებები. მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 157; მოსწავლის რვეული: გვ. 157

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის პოსტერი? მისი მთავარი მახასიათებლები?
- გუგულზე პოსტერის მომზადებისას რა გაითვალისწინე?

## აქტივობა 3
**„ტყის შვილები“**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 152, 153; მოსწავლის რვეული: გვ. 152, 153

ბავშვები კითხულობენ კომიქსს, შემდეგ კი უსმენენ ვრცელ ტექსტს. ბავშვები მსჯელობენ იჩოს საქციელზე, ზოგადად ნადირობაზე. მასწავლებელი კითხვას სვამს: იჩოს რომ შეხვდეთ, რას ეტყოდით? მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- როგორ ფიქრობ, რატომ არ უნდა ვინადიროთ ცხოველებზე?

## აქტივობა 4
**კინოში წასვლა**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 156; მოსწავლის რვეული: გვ. 156

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, დადიან თუ არა კინოში. თუ კი, ბოლოს რომელი ანიმაცია ნახეს? ან თუ არ ყოფილან კინოში, რომელი ანიმაცია ნახეს ბოლოს? ხომ ვერ გაიხსენებდნენ ფილმს, რომელიც ტყესა და ბუნებას უკავშირდება?
ბავშვები გამოთქვამენ მოსაზრებებს.

ამის შემდეგ ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს: „კინოში წასვლა“, სასურველია ბავშვებმა გაგრძელებებით წაიკითხონ.

კარგი იქნება, კლასში ნახონ ნაწყვეტი ფილმიდან „ბემბი“.
https://youtu.be/hiGBEUDYPKY

ბავშვები მსჯელობენ და განიხილავენ ნანახ ანიმაციას.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რატომ გაუჭირდა ლუკას იმის გაგება, რომ დედა კინოს საყურებლად ვერ წაჰყვებოდა?
- რატომ ფიქრობს ანიკო, რომ „ასეთ დროს არ შეიძლება წუწუნი“?
- რა პასუხისმგებლობები აქვს ბავშვების დედას?
- უქმეებზე, ოჯახთან ერთად სად მოისურვებდი დროის გატარებას? რატომ?
- რა მოგეწონა „ბემბიში“ ყველაზე მეტად?
- რას ფიქრობ, დაუცველები არიან თუ არა ცხოველები ტყეში?
- როგორ უნდა დავიცვათ ისინი?

## აქტივობა 5:
**სიტყვით გამოსვლის გეგმა**

კითხულობენ სახელმძღვანელოში: ბავშვების სიტყვების გეგმას. მასწავლებელი სთხოვს, რომ გაეცნონ, აირჩიონ, რომელს ეთანხმებიან და მოცემული გეგმის მიხედვით ჩამოაყალიბონ საკუთარი სათქმელი/სიტყვა. მასწავლებელი ურჩევს, რომ ის სიტყვები და წინადადებები გამოიყენონ, რომლებიც თემის განმავლობაში ისწავლეს და ბუნებას შეესაბამება. ბავშვები ეცნობიან გეგმას და შემდეგ საუბრობენ.
დავალებად ეძლევათ, მოამზადონ სიტყვა თემაზე: „მე და ბუნება“, შეარჩიონ ერთ-ერთი თემა:
* ტყეში თუ ყოფილხარ და რა გადაგხდა.
*მცენარეებს თუ უვლი.
* თუ ცხოველი გყავს, როგორ ექცევი.
*ან ისაუბრე სხვა რამეზე, რაც ამ თემაზე გახსენდება.
*თუ აქამდე არ გქონია მსგავსი გამოცდილება, ამაზეც შეგიძლია ისაუბრო.

მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 151; მოსწავლის რვეული: გვ. 151

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა მახასიათებლები აქვს „სიტყვას“?
- რატომ უნდა შევადგინო ჯერ გეგმა?
- რა დამეხმარება სიტყვის წერის დროს?
- თემის ტექსტები ხომ არ გამომადგება? თუ კი, რომელი?

## აქტივობა 6:

სახალისო ტესტი – იპოვე ბუნების მეგობრის სახელი.
ბავშვები ავსებენ ტესტს, პასუხებზე მსჯელობენ. გამოთქვამენ ვარაუდებს, სხვადასხვა პერსონაჟს რომ შეევსო ტესტი, რომელი პასუხი ამოუვიდოდათ.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 160, 161; მოსწავლის რვეული: გვ. 160, 161

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ გესმის „ბუნების მეგობარი“?
- შენი აზრით, თემის „ჩვენ და ბუნება“ ტექსტების რომელი პერსონაჟი მიიღებდა „ბუნების მეგობრის“ წოდებას?

### აქტივობა 7:
**„მოხუცი და მსხლის ხე“**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 160; მოსწავლის რვეული: გვ. 160

ბავშვები კითხულობენ ტექსტს, მსჯელობენ, აყალიბებენ მთავარ სათქმელს. წერენ პატარა თხზულებას: „მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქრო, იზრუნე სხვა ადამიანებზეც“.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი?

### აქტივობა 8:

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 161; მოსწავლის რვეული: გვ. 161

ბავშვები ემზადებიან მწვანე აქციის მოსაწყობად.
მსჯელობენ, რა იქნება მთავარი სათქმელი, ირჩევენ თემას.
გეგმავენ, სად და როდის გაიმართება.
მსჯელობენ, ვინ იქნებიან მსმენელები/მაყურებლები და ამის გათვალისწინებით ქმნიან პოსტერს, წერენ სიტყვას. პოსტერისთვის ქმნიან ლოგოს.
ინაწილებენ როლებს: ვიღაც პოსტერზე მუშაობს, ვიღაც ლოგოს ქმნის, ვიღაცები სიტყვას წერენ, ვიღაცები ნიშნებს ხატავენ და ასე შემდეგ. ყველა ბავშვს თავისი როლი აქვს. აქციის დასრულების შემდეგ თითოეული ბავშვი საკუთარ წვლილზე ისაუბრებს.

**დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- როგორ შევაფასებდი ჩემს როლს „მწვანე აქციის“ მოწყობისას?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამომადგება პოსტერის მომზადებისას? ლოგოს შექმნისას? სიტყვის დაწერისას?
- აქციის მთავარი სათქმელის მომზადებისას?
- ნიშნების შექმნისას?
- როგორ ფიქრობ, მიაღწიე თუ არა დასახულ მიზანს?
- ასეთი აქციები რა სარგებელს მოუტანს ადამიანებს? ბუნებას?
- რამდენად დაგეხმარა ამ თემაში განხორციელებული აქტივობები?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე: რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- განსაკუთრებით რა გაგიადვილდა? რა გაგიძნელდა, რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?

**რჩევა მასწავლებლებს:**

დანართებად წარმოდგენილი სქემები, ამობეჭდვის ნაცვლად, შესაძლოა ბავშვებმა რვეულებში ფანქრით მარტივად ჩახაზონ და იქვე შეავსონ.

კარგი იქნება, ბავშვებს, გარდა მოსწავლის რვეულებისა, თუ ექნებათ უბრალო სამუშაო რვეულებიც, სადაც სქემებს ჩახაზავენ და ლექსიკაზე იმუშავებენ.

## დანართი:

რესურსი 1: ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)
რესურსი 2: თხრობის რუკა
რესურსი 3: კითხვის სტრატეგიები
რესურსი 4: წესების ხის შაბლონები
რესურსი 5: ალილოს ტექსტი
რესურსი 6: ვენის დიაგრამა

## თავი 7 — ჩემი სამშობლო

| თემატური მატრიცა |
|---|
| საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა<br>ძირითადი რესურსი/ტექსტი – „ვანო და ქალაქი“ (1), (2), „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბავშვო მანქანა“ (1), (2), „ვაფლის გულები“ (1) ,(2), ,(3), „თეასა და ნათიას არდადეგები“ (1), (2), „სიმღერა საქართველოზე“, „გიდის რჩევები“.<br>**მთავარი საკითხი:** თემის „ჩემი სამშობლო“ ტექსტების („ვანო და ქალაქი“ (1), (2), „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბავშვო მანქანა“ (1), (2), „ვაფლის გულები“ (1) ,(2), ,(3), „თეასა და ნათიას არდადეგები“ (1), (2), „სიმღერა საქართველოზე“, „გიდის რჩევები“) დამუშავება/გააზრების შემდეგ მოგზაურის შთაბეჭდილებების დღიურის შექმნა/წარმოება.<br>კლასი: მეორე კლასი |
| **თემა: „ჩემი სამშობლო“** საათების სავარაუდო რაოდენობა: |
| **თემატური მატრიცის სარჩევი**<br>შუალედური მიზანი<br>**(სამიზნე ცნება –** ტექსტი (ჟანრები); **სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** |

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 |
|---|---|
| სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრე-ბი)<br>შედეგები: I 2; I 3; I 4; I 5;<br><br>ქვეცნება – არამხატვრული ჟანრი<br><br>**ქვესაკითხები:**<br><br>**დღიური**<br>**ქვეცნება**<br>**შინაარსობრივი მხარე**<br>**ქვესაკითხები:**<br>**თემა; მოქმედების დრო და ადგილი, ავტორი, მთხრობელი.**<br>**ქვეცნება**<br>**ენობრივი მხარე**<br>**ქვესაკითხები:**<br>**თემატური ლექსიკა;**<br><br>**ქვეცნება:**<br>**ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირების სტრატეგიები.**<br>**ქვესაკითხები:**<br>**მოსმენის, კითხვის, ლექსიკის სწავლისა და წერის სტრატეგიე-ბი.** | საკითხი – თემის „ჩემი სამშობლო“ ტექსტების („ვანო და ქალაქი“ (1), (2), „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბავშვო მანქანა“ (1), (2), „ვაფლის გულები“ (1) ,(2), ,(3), „თეასა და ნათიას არდადეგები“ (1), (2), „სიმღერა საქართველოზე“, „გიდის რჩევები“) დამუშავება/გააზრების შემდეგ მოგზაურის შთაბეჭდილებების დღიურის შექმნა/წარმოება.<br><br>ქვესაკითხი: „ვანო და ქალაქი“ (1), (2), „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბავშვო მანქანა“ (1), (2), „ვაფლის გულები“ (1) ,(2), ,(3), „თეასა და ნათიას არდადეგები“ (1), (2), „სიმღერა საქართველოზე“, „გიდის რჩევები“: **დღიური,**<br>**თემა; მოქმედების დრო და ადგილი, ავტორი, მთხრობელი, თემატური ლექსიკა, მოსმენის, კითხვის, ლექსიკის სწავლისა და წერის სტრატეგიები. სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აბზაცი, ტექსტი, სათაური.**<br><br>საკვანძო შეკითხვა:<br>• რა არის დღიური?<br>• როგორ შევქმნა ჩემი დღიური?<br>• ამ თემაში მოცემული ტექსტები როგორ დამეხმარება საბოლოო დავალების შესრულებაში?<br>• შეიძლება თუ არა პერსონაჟის გამოცდილება გამომადგეს?<br>• რა სტრატეგიებს გამოვიყენებ დღიურის წერისას?<br>• მოგზაურობისას, დღიურის წარმოებისას რა მნიშვნელობა აქვს დროსა და ადგილს?<br>• როგორ დავასათაურო ჩემი ჩანაწერები?<br>• როგორ ფიქრობ, რაში გამოგადგება დღიურის წარმოება? |

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი**<br>**შედეგები:** (I). 4, 5, 6<br>ქვეცნება<br>ტექსტის ერთეულები<br><br>ქვესაკითხები<br>**სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აბზაცი, ტექსტი, სათაური** | • რით გაამრავალფეროვნებ და გაალამაზებ შენს დღიურს?<br>• შენი განწყობისა და შთაბეჭდილების გადმოსაცემად თუ გამოიყენებ იმ სიტყვებს, რომლებიც სხვადასხვა ამბის კითხვისას ისწავლე?<br>• თუ კი, რომელიმეს ხომ არ გაიხსენებ?<br>• რას დაარქმევ შენს დღიურს?<br><br>**კომპლექსური დავალება**<br>თემის: „ჩემი სამშობლო“ – ტექსტების დამუშავება/გააზრების შემდეგ შექმენი შენი „მოგზაურის შთაბეჭდილების დღიური“.<br>გაითვალისწინე:<br>დღიური უნდა აწარმოო მოგზაურობის/ლაშქრობის პარალელურად.<br>მიუთითო დრო და ადგილი.<br>ჩაინიშნო ის მნიშვნელოვანი მოვლენები და ამბები, რომლებიც თავს გადაგხდება.<br>დღიურის წერისას გამოიყენო თემატური ლექსიკა.<br><br>ნაბიჯი პირველი – წაიკითხე და გაეცანი – მოსასმენი მასალა<br>ნაბიჯი მეორე – დაასახელე, მოყევი – „ვანო და ქალაქი“<br>ნაბიჯი მესამე– აღწერე, გამოიყენე მიღებული ცოდნა – „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო ავტომანქანა“, „ვაფლის გულები“, „ნოეს ნავი“, ლენასა და თრილეს კიდობანი“<br>ნაბიჯი მეოთხე – იმსჯელე, დაადგინე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი – „არდადეგებზე“, „თეასა და ნათიას არდადეგები“თეორიული მასალა, ენობრივი მასალა, „სიმღერა საქართველოზე“<br>ნაბიჯი მეხუთე – განაზოგადე – მოგზაურის ჩანახატები |

| | |
|---|---|
| სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები<br>სამიზნე ცნება – ტექსტი<br>1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.<br>2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.<br>3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.<br><br>სამიზნე ცნება – სიტყვა – წინადადება – ტექსტი<br>1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ., დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად).<br>2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება.<br>3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. | შეფასების კრიტერიუმი – (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>მოგზაურის დღიურის წარმოებისას წარმოაჩინე:<br><br>თემაში „ჩემი სამშობლო“ მოცემული ამბები/ტექსტები ჩემი მომავალი მოგზაურობის დასაგეგმად და დღიურის წარმოებისთვის დამეხმარა. (ტ.1)<br><br>მოგზაურობისას შექმნილი ჩანაწერები დღიურის ჟანრს ესადაგება. (ტ. 3)<br><br>მოგზაურის დღიურში შთაბეჭდილებები და განწყობა გადმოცემულია შესაბამისი სიტყვებითა და წინადადებებით. (ს.1) |

## კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება;**
**აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება;**

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რის ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ დავალების შესასრულებლად?
- რა არის დღიური?
- როგორ გესმით შთაბეჭდილებებისა და ემოციების გადმოცემა?
- გიმოგზაურია თუ არა? თუ კი, სად და როდის?
- საქართველოს რომელ კუთხეში ყოფილხარ?
- რა მოგწონს ყველაზე მეტად ჩვენს ქვეყანაში?
- გიწარმოებია თუ არა დღიური? თუ კი, მოგვიყევი მის შესახებ.
- როგორ ფიქრობ, ამ თემის ტექსტების დამუშავება რაში დაგეხმარება?
- შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია მოგზაურობა?
- მოგზაურობის მოგონებების შენახვა?
- გარდა ჩანაწერებისა, კიდევ როგორ და რა საშუალებით დაიმახსოვრებდი და შეინახავდი მოგზაურობის მოგონებებს?
- რა უნდა გაითვალისწინოს მოგზაურმა?
- რა ხერხებსა და სტრატეგიებს გამოიყენებდი დღიურის წარმოებისას?
- რა კუთხით დაგჭირდება დახმარება?
- როგორ ფიქრობ, ამ დავალების შესრულება რა გამოცდილებას მოგცემს?
- რაში გამოგადგება ეს გამოცდილება?
- თუ გიმუშავია ადრე მსგავს დავალებაზე?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა**

ნაბიჯი 1. თემაში **„ჩემი სამშობლო“ მოცემული ამბები/ტექსტები ჩემი მომავალი მოგზაურობის დასაგეგმად და დღიურის წარმოებისთვის დამეხმარა. (ტ.1)**

მოგზაურობისას შექმნილი ჩანაწერები დღიურის ჟანრს ესადაგება. (ტ. 3)

**რესურსი**

სახელმძღვანელო:
გვ. 163 (მოსასმენი);
მოსწავლის რვეული:
გვ. 163

## აქტივობა 1:

https://bit.ly/3lEtWNx
https://bit.ly/3y2dBNO

მასწავლებელი ბავშვებს განუმარტავს, რა არის დღიური, უფრო კონკრეტულად კი, მოგზაურის დღიური. ჩამოწერს მის მახასიათებლებს: დღეების მიხედვით ჩანაწერების დალაგება, თარიღისა და ადგილის მითითება, სურვილის შემთხვევაში თითოეული თავისთვის სათაურის მოფიქრება, გაფორმება, სამახსოვრო ნივთებისა და სუვენირების ჩაკვრა/ჩალაგება.
აქვე შესაძლოა, უჩვენოს უცხოელი ბავშვების დღიურების ნიმუშები, ნახონ პატარა ვიდეო (ამ შემთხვევაშიც ინგლისური ენის პედაგოგთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია).

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რა არის დღიური?
- რა მახასიათებლები აქვს? რით განსხვავდება ჩვეულებრივი ჩანაწერისგან?

## აქტივობა 2:

**„ვანო და ქალაქი“ (1), (2)**

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 164, 165; მოსწავლის რვეული: გვ. 164, 165

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მსჯელობენ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქმა ვანოზე? დღიური რომ ჰქონდეს, როგორ გამოხატავდა და ჩაწერდა საკუთარ ემოციებს? განცდებს? რას ჩახატავდა?
ბავშვები გამოთქვამენ მოსაზრებებს, წარმოიდგენენ, რომ ვანო დღიურს აწარმოებს და წერენ ერთ დღეს: „როცა მამამ ქალაქში წამიყვანა“ ან „ჩემი აღმოჩენა – ქალაქი!“, ასევე გამოთქვამენ ვარაუდებს. რას ჩააკრავდა და შეინახავდა ვანო ამ დღის აღსანიშნავად, საკუთარ ჩანაწერებს უკეთებენ ილუსტრაციებს. პასუხობენ შეკითხვებს, მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**

- რას მოუყვებოდა ვანო თანატოლებს?
- რას და როგორ ჩაწერდა დღიურში?

## აქტივობა 3:
### „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“ – „დაგვიანებული არდადეგები“ (1), (2)

ტექსტის ორივე ნაწილს ამუშავებენ სხვადასხვა სასურველი კითხვის სტრატეგიით, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობენ სიტყვის რუკის გამოყენებით (იხ. დანართი).
პასუხობენ კითხვებს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.
დავალებად აქვთ: დაგეგმონ ლაშქრობა კარვებით. მასწავლებელი სთხოვს, დახატონ დიდი ჩემოდანი, მაგალითად, ასეთი:



შიგ ჩახატონ და მიაწერონ, რა ნივთებს წაიღებდნენ. შემდეგ კი იმსჯელონ, „რვა ბავშვისგან“ განსხვავებით, რა ნივთები დაიმატეს? რატომ? რაში გამოიყენებენ? დაასაბუთონ. როგორი იქნებოდა მათი კარვები? თუ იციან კარვების გაშლა? როგორ შეარჩევდნენ კარვის გასაშლელად მოსახერხებელ ადგილს? *(შესაძლოა ბუნებისმეტყველების მასწავლებელიც ჩავრთოთ პროცესში, მოვიწვიოთ და ბავშვებს უსაფრთხოებაზე ესაუბროს, ან თუ ერთი მასწავლებელი ასწავლის ორივე საგანს, ბუნებისმეტყველების საკითხების ინტეგრირებაც კარგი იქნება).*

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა თემას ეხება „დაგვიანებული არდადეგები“?
- ჩემი სამოგზაურო ჩანთა რით განსხვავდება ბავშვების ჩანთისგან?
- შენ მოგეწონება ღამე კარავში დარჩენა ოჯახთან ერთად?
- სად წახვიდოდი კარვით და რას გააკეთებდი?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 166, 167; მოსწავლის რვეული: გვ. 166, 167

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 168; მოსწავლის რვეული: გვ. 168

## აქტივობა 4:
## „ვაფლის გულები – მე და ლენა“ (1)

სანამ კითხვას დაიწყებდნენ, მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, რას უნდა ნიშნავდეს ვაფლის გულები? რაზე იქნება ამბავი? ბავშვები პასუხობენ.
იწყებენ კითხვას.
საუბრობენ და მსჯელობენ: როგორია ლენა? რა გაიგეს პაპიდაზე? ვინ ყვება ამბავს? შეიძლება თუ არა ეს მონათხრობი დღიურის ერთი ჩანაწერი იყოს?
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- ვინ ჰყვება ამბავს?
- როგორ ფიქრობ, ეს ჩანაწერი თრილეს დღიურიდანაა?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 169; მოსწავლის რვეული: გვ. 169

## აქტივობა 5:
## ჩანახატი

ბავშვები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს, გამოთქვამენ ვარაუდებს, მსჯელობენ, განმარტავენ ჩანახატს.
მასწავლებელი სთხოვს, ირგვლივ მიმოიხედონ და გააკეთონ ჩანახატი, შემდეგ კი წარადგინონ.
ფიქრობენ, როგორ შეიძლება ჩანახატი გამოიყენონ მოგზაურის დღიურის წარმოებისას, რა შემთხვევაში და რა დროს გამოადგებათ?
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის ჩანახატი?
- ჩემს მოგზაურის დღიურში ჩანახატი რა დროს გამოვიყენო?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 170; მოსწავლის რვეული: გვ. 170

## აქტივობა 6:
## „ნოეს ნავი“ (2)

კითხულობენ ტექსტს, მსჯელობენ, იქ რომ ყოფილიყვნენ, ნოესთან, როგორ ჩანაწერს გააკეთებდნენ დღიურებში, რას ჩაიხატავდნენ? შესაძლოა გააკეთონ კიდეც წარმოსახვითი ჩანახატი.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ მოყვებოდი ნოეს ამბავს?
- რას ჩაინიშნავდი დღიურში?

## აქტივობა 7:
### „ლენასა და თრილეს კიდობანი“ (3) მოსასმენი

ბავშვები უსმენენ ტექსტს, ინიშნავენ მნიშვნელოვან, საკვანძო სიტყვებს.
მსჯელობენ ბავშვების საქციელზე, იგონებენ ამბის გაგრძელებას.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 171; მოსწავლის რვეული: გვ. 171

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- შენი აზრით, როგორ გრძელდება ამბავი? რაზე მიგანიშნებს ეს სურათი და სათაური?

## აქტივობა 8:
### ფილმები არდადეგებზე

ბავშვები ეცნობიან ნაწყვეტებს „იმერული ესკიზებიდან“, კითხულობენ ფილმ „არდადეგებზე“ ინფორმაციას, განიხილავენ ფილმების შინაარს, იხსენებენ, თუ უნახავთ რაიმე ფილმი ან ანიმაცია არდადეგებზე.
საუბრობენ: რეჟისორები რომ იყვნენ, როგორ ფილმს გადაიღებდნენ ამ თემაზე? ვინ იქნებოდნენ პერსონაჟები? რა ამბავი დატრიალდებოდა? შესაძლოა ასეთი ჩარჩო შევთავაზოთ და რამდენიმე კადრი ჩახატონ.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 172, 173; მოსწავლის რვეული: გვ. 172, 173



**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა ფილმები მახსენდება თემაზე: „არდადეგები“?
- ჩემს ფილმს რას დავარქმევდი?
- რატომ არის ფილმებში პერსონაჟებს შორის „კონფლიქტი“?

### აქტივობა 9:
### „თეასა და ნათიას არდადეგები“ (1), (2)

**რესურსი**

სახელმძღვანელო:
გვ. 174, 175, 176, 177;
მოსწავლის რვეული:
გვ. 174, 175, 176, 177

ბავშვები ტექსტს კითხულობენ მონაცვლეობით, ილუსტრაციებზე წარწერებს ამოიკითხავენ და განმარტავენ. მსჯელობენ, კითხვებზე პასუხობენ. იხსენებენ, თუ აქვთ სოფლად ასეთი ეზო? თუ ატარებენ იქ არდადეგებს? ხატავენ და წარადგენენ კლასის წინაშე.
სასურველია, რომ ახალი ლექსიკური ერთეულები განმარტებასთან ერთად მასწავლებელმა ვიზუალურადაც ანახოს. მაგალითად:

ტაბლა



კეცი



მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- ვინ ჰყვება ამბავს?
- როგორია ბავშვების შთაბეჭდილებები?
- დღიურს რომ აწარმოებდნენ, როგორ ჩაწერდნენ ამ დღეს?
- შენი აზრით, რა ემოცია დაუტოვა მათ სოფელში სტუმრობამ?

### აქტივობა 10:
### რუკა

**რესურსი**

სახელმძღვანელო:
გვ. 178; მოსწავლის
რვეული: გვ. 178

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, რა არის რუკა და რაში იყენებენ მას?
ბავშვები პასუხობენ. ამის შემდეგ სახელმძღვანელოში აკვირდებიან რუკას, განიხილავენ სიმბოლოებს, ამოიკითხავენ ღირსშესანიშნაობებს. საუბრობენ, სად ისურვებდნენ წასვლას, რას მოინახულებდნენ და რატომ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- საქართველოს რომელ მხარეს ნახავდი ზაფხულში? რატომ?
- რომელ ტრანსპორტი გირჩევნია სამოგზაუროდ? რატომ?

### აქტივობა 11:
**„ლეგენდა თბილისზე“**

აკვირდებიან რუკის მეორე ნაწილს, რუკაზე პოულობენ თბილისის ლოგოს, გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რატომაა მაინცდამაინც ეს ლოგო თბილისის.
ამის შემდეგ ისმენენ ლეგენდას თბილისზე და იღებენ პასუხს თბილისის ლოგოს შესახებ, განიხილავენ ტექსტს. საუბრობენ, რა არის ლეგენდა.
საუბრობენ თბილისის უბნებისა და საქართველოს ქალაქების/სოფლების სახელწოდებებზე, უღრმავდებიან და გამოთქვამენ მოსაზრებებს.
მოსწავლის რვეულში ნათიასა და თეას რუკის ჩახატვა ეძლევათ დავალებად. მასწავლებელი უთითებს, რომ საგნები ლოგოებით/სიმბოლოებით აღნიშნონ.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 179; მოსწავლის რვეული: გვ. 179

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის ლეგენდა?
- საიდან მოდის თბილისის სახელწოდება?
- რაში დაგეხმარება რუკა მოგზაურობისას?

**ნაბიჯი 2. მოგზაურის დღიურში შთაბეჭდილებები და განწყობა გადმოცემულია შესაბამისი სიტყვებითა და წინადადებებით. (ს.1)**

### აქტივობა 1:
**წერა – მოკლე შეტყობინება**

ბავშვები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ მოკლე შეტყობინების ნიმუშებს. ცდილობენ თავადაც შექმნან. მსჯელობენ, რაში გამოადგებათ მოგზაურობისას მოკლე შეტყობინებები.

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 180; მოსწავლის რვეული: გვ. 180

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა არის მოკლე შეტყობინება?
- როგორ დავწერო?
- რაში გამოვიყენო?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 181; მოსწავლის რვეული: გვ. 181

## აქტივობა 2:
**წერა – წერილი**

ბავშვები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ნიმუშს, ადარებენ მოკლე შეტყობინებას, საუბრობენ განსხვავებებზე, აღნიშნავენ თავაზიანი მიმართვის ფორმას. გამოთქვამენ მოსაზრებებს, თუ რაში გამოადგებათ წერილის წერის ცოდნა, განსაკუთრებით კი არდადეგებზე. მუშაობენ მოსწავლის რვეულში.
დავალება: წარმოიდგინე, რომ უკვე არდადეგებზე ხარ და მოგენატრა შენი სკოლის მეგობარი, მასწავლებელი ან ნათესავი. შეარჩიე სტილი და მისწერე მას წერილი, რომელშიც შენზე მოუყვები და მის ამბებსაც გამოიკითხავ.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ დავწერო წერილი?
- რით განსხვავდება წერილი მოკლე წერილისგან?
- რაში გამომადგება წერილის წერის ცოდნა?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 182; მოსწავლის რვეული: გვ. 182

## აქტივობა 3:
**„სიმღერა საქართველოზე“**

ლექსს კითხულობენ რომელიმე სტრატეგიის გამოყენებით (იხ. დანართი).
განიხილავენ ახალ სიტყვებს. ცდილობენ ლექსი წაიმღერონ. საუბრობენ ლექსის მთავარ სათქმელზე, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემენ შინაარსს, ხატავენ ლექსში აღწერილ საქართველოს. მასწავლებელი სთხოვს, დაიმახსოვრონ და მოინიშნონ ის სიტყვები, რომლებითაც ცა, ზღვა, მთაა და ა.შ. აღწერილი, და მოგზაურის ჩანაწერების შექმნისას გამოიყენონ. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, რა იციან საქართველოს შესახებ? მასწავლებელი ბავშვების პასუხებს დაფაზე ინიშნავს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- შენი აზრით, რის თქმა უნდოდა ამ ლექსით გივი ჭიჭინაძეს?
- რომელი სიტყვები შეარჩიე დღიურისთვის?

## აქტივობა 4:
**ლექსის შექმნა**

ბავშვები სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუშისა და მითითებების მიხედვით ქმნიან ლექსს. მასწავლებელი სთხოვს, რომ ლექსის შექმნის ეს პრინციპი კარგად დაიმახსოვრონ, რადგან მოგზაურობისას, შესაძლოა მოუნდეთ ლექსის მოფიქრება და დღიურში ჩაწერა.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ შევქმნა ლექსი?
- რაში გამომადგება ლექსის წერის ცოდნა მოგზაურის დღიურის წარმოებისას?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 183; მოსწავლის რვეული: გვ. 183

## აქტივობა 5:
**გიდის რჩევები**

ბავშვები კითხულობენ გიდის რჩევებს, მსჯელობენ, თავადაც ამატებენ რამდენიმე რჩევას.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- რა გირჩია გიდმა?
- შენ რას დაამატებდი?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 184; მოსწავლის რვეული: გვ. 184

## აქტივობა 6:
**ჯანსაღი სასუსნავები**

კითხულობენ „ვაფლის გულების“ რეცეპტს. ბავშვები ასახელებენ იმ ჯანსაღ სასუსნავებს, რომლებსაც მოგზაურობაში წაიღებდნენ. მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

**გეზისმიმცემი შეკითხვა:**
- რომელ ჯანსაღ სასუსნავებს წავიღებდი მოგზაურობისას?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 185; მოსწავლის რვეული: გვ. 185

## აქტივობა 7:

ისევ უბრუნდებიან კომპლექსური დავალების ინსტრუქციას, სახელმძღვანელოში მოცემულ ნაბიჯებს დეტალურად განიხილავენ, მოჰყავთ მაგალითები. წერენ დღიურის ერთი ჩანაწერის ნიმუშს.

**გეზისმიმცემი შეკითხვები:**
- როგორ ჩავწერო დღიურში ჩანაწერი?
- რომელი სიტყვები და გამოთქმები გამოვიყენო?
- როგორ მივყვე დეტალურად ინსტრუქციას?

**რესურსი**

სახელმძღვანელო: გვ. 186, 187; მოსწავლის რვეული: გვ. 186

დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):

- როგორ შევაფასებ ჩემს „მოგზაურის დღიურს?“
- რა ცოდნა-გამოცდილება გამომადგა ლაშქრობის დაგეგმვისას? დღიურის წარმოებისას? ჩანახატების კეთებისას?
- რა გამოარჩევს შენს დღიურს სხვების დღიურებისგან?
- გამოიყენე თუ არა თემატური ლექსიკა, რომელსაც ტექსტებზე მუშაობის პარალელურად გაეცანი?
- ისიამოვნე თუ არა ამ პროცესით?
- გააგრძელე თუ არა დღიურზე მუშაობა?
- რა სარგებელი მოგიტანა ან მოგიტანს მოგზაურის ჩანაწერების შექმნა?
- როგორ ფიქრობ, მიაღწიე თუ არა დასახულ მიზანს?
- რამდენად დაგეხმარა ამ თემაში განხორციელებული აქტივობები კომპლექსური დავალების შესრულებისას?
- აღწერე, როგორ იმუშავე დავალებაზე რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- განსაკუთრებით რა გაგიადვილდა? რა გაგიძნელდა, რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?

**რჩევა მასწავლებლებს:**

დანართებად წარმოდგენილი სქემები, ამობეჭდვის ნაცვლად, შესაძლოა ბავშვებმა რვეულებში ფანქრით მარტივად ჩახაზონ და იქვე შეავსონ.

კარგი იქნება, ბავშვებს, გარდა მოსწავლის რვეულებისა, თუ ექნებათ უბრალო სამუშაო რვეულებიც, სადაც სქემებს ჩახაზავენ და ლექსიკაზე იმუშავებენ.

## დანართი:

რესურსი 1: ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)
რესურსი 2: თხრობის რუკა
რესურსი 3: კითხვის სტრატეგიები
რესურსი 4: წესების ხის შაბლონები
რესურსი 5: ალილოს ტექსტი
რესურსი 6: ვენის დიაგრამა
რესურსი 7: ასოების წერა ახალ ბადეზე

## დამატებითი საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო ჩამონათვალი

1. **სკოლა**
ბურატინოს თავგადასავალი – ალექსეი ტოლსტოი;
პეპი გრძელწინდა – ასტრიდ ლინდგრენი.

2. **ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით**
ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები – ჯანი როდარი;
ყველაფერი ყირამალა – დონალდ ბისეტი.

3. **მე და ჩემი ოჯახი**
პიტერ პენი – ჯეიმს მეთიუ ბარი;
ატუსა და მატუსა – ლელა ცუცქირიძე;
ლოტა აურზაურის ქუჩიდან – ასტრიდ ლინდგრენი;
დედა, მამა, რვა ბავშვი სდა საბარგო მანქანა – ანე-კატარინე ვესტლი;
დიდედას სახელობის გზა – ანე-კატარინე ვესტლი;
ანტონის პატარა საჩუქარი – ანე კატარინე ვესტლი;
მარტა და დიდედა, დიდედა და მორტენი – ანე-კატარინე ვესტლი;
მხიარული ოჯახი და სხვებიც – ლელა ცუცქირიძე;
პინოკიოს თავგადასავალი – კარლო კოლოდი.

4. **დღესასწაულები და საჩუქრები**
მოლი ანუ თითქმის დაუჯერებელი ამბავი – გია პაპუაშვილი;
ლოტა აურზაურის ქუჩიდან – ასტრიდ ლინდგრენი.

5. **ამბები გვასწავლიან**
იგავ-არაკები – სულხან-საბა ორბელიანი;
აი, როგორ და რატომ – რიდიარდ კიპლინგი;
ბარონ მიუნჰაზენის თავგადასავალი – რუდოლფ რასპე;
ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი – ასტრიდ ლინდგრენი;
ემილის თავგადასავალი – ასტრიდ ლინდგრენი;
პრინცესა ანაბელი – ჯულია დონალდსონი;
სატკბილეთის ქვეყანა – ირმა მალაციძე;
დაუპატიჟებელი სტუმრები სატკბილეთში – ირმა მალაციძე;
გრძელცხვირა ჯადოქარი მარსია – თამრი ფხაკაძე;
მილი-მოლი-მენდი – ჯოის ლანკასტერ ბრისლი;
იგავ-არაკები – ეზოპე.

6. **ჩვენ და ბუნება**
ექიმ დულიტლის თავგადასავალი – ჰიუ ლოფტინგი;
ჩიპოლინოს თავგადასავალი – ჯანი როდარი;
შეუდარებელი ბატონი მელია – როალდ დალი.

7. **ჩემი სამშობლო**
ბიბო და სხვა მოთხრობები – რევაზ ინანიშვილი;
უშიშა პაპას ზღაპარი – რევაზ ინანიშვილი.

## რესურსი 1:
## ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)

### სიტყვის/ცნების რუკა



# სიტყვების რუკა

საკუთარი განმარტება

სინონიმები

სიტყვა ან ტერმინი

კონტექსტის მიხედვით მნიშვნელობა

ილუსტრაცია

# სიტყვის აბლაბუდა

**ინსტრუქცია**

1. ჩაწერე ახალი სიტყვა შუა  რგოლში.
2. ჩაწერე შეკითხვებზე პასუხი შესაბამის რგოლებში.
3. განაგრძე კითხვა და მიამატე ახალი ინფორმაცია.
4. ჩაწერე, შენი აზრით, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

რას წარმოვიდგენ, როცა ამ სიტყვას ვკითხულობ?

როგორ არის ეს სიტყვა გამოყენებული ტექსტში?

ახალი სიტყვა

რას მახსენებს ეს სიტყვა?

ხომ არ მეცნობა ამ სიტყვის რომელიმე ნაწილი?

**გააგრძელე ფიქრი**

ჩემი აზრით, ეს სიტყვა ნიშნავს ...

# გააცოცხლე წარმოსახვა

**ინსტრუქცია**

1. ჩაწერე სქემის შუაგულში სიტყვა/ფრაზა/წინადადება ტექსტიდან.
2. წარმოისახე და ჩაწერე შენი შეგრძნებები სქემის შესაბამის ნაწილში.



## რესურსი 2: თხრობის რუკა

| სიუჟეტი | პერსონაჟები |
| --- | --- |
| | |

| დასაწყისი | შუა ნაწილი | დასასრული |
| --- | --- | --- |
| | | |

# თხრობის რუკა



# რესურსი 3: კითხვის სტრატეგიები

(კითხვის სტრატეგიები აღებული Usaid-ის მიერ მომზადებული კრებულიდან: კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე – https://bit.ly/3SLym9P)

ამ სტრატეგიას მივმართავთ, როდესაც გვინდა ბავშვები კითხვაში ვავარჯიშოთ, ვასწავლოთ მოსმენა და მოსმენილის გაგება.

ბავშვები დგებიან მატარებელივით, თითოეული ერთი ვაგონია.

უჭირავს ერთი და იგივე ტექსტი ან სახელმძღვანელო.

მასწავლებლის მითითებით (ტაშის დაკვრა, სასტვენი და ა.შ.) პირველი მოსწავლე იწყებს ტექსტის ხმამაღლა კითხვას, დანარჩენები ყურადღებით უსმენენ მას და თვალს ადევნებენ ტექსტს.

მასწავლებლის შემდეგ სიგნალზე მკითხველი წყვეტს კითხვას, გადადის რიგის ბოლოს და კითხვას განაგრძობს მეორე მოსწავლე. თუ მოსწავლე ვერ შეძლებს ტექსტის სათანადო ადგილიდან გაგრძელებას ან შეცდომით ამოიკითხავს სიტყვას, ეთიშება თამაშს. თუ ტექსტი დასრულდა, მოსწავლეები ხელახლა იწყებენ მის წაკითხვას. ასე გრძელდება მანამ, სანამ მატარებელში მხოლოდ უშეცდომოდ მკითხველი მოსწავლეები არ დარჩებიან.

**ერთობლივი კითხვა და მისი ვარიაციები:**

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობას.

**საჩვენებელი კითხვა** – მასწავლებელი საჩვენებელი კითხვის მეთოდის გამოყენებით ხმამაღლა და მკაფიოდ რამდენჯერმე უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს და კითხვისას ხელს გააყოლებს სიტყვებს.

**ერთობლივი კითხვა** – მოსწავლე და მასწავლებელი. მასწავლებლის მიერ საჩვენებელი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები მას გუნდურად აჰყვებიან იმ სიტყვებისა და ფრაზების წაკითხვისას, რომელთაც უკვე ცნობენ. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ხმამაღლა კითხულობს ტექსტს.

**ერთობლივი კითხვა დამოუკიდებლად** – მოსწავლეები ერთობლივად, მასწავლებლის ჩარევის გარეშე კითხულობენ ტექსტს (ზოგჯერ მასწავლებელი ხელს გააყოლებს წასაკითხ სიტყვებს). მნიშვნელოვანია, რომ ეს აქტივობა რამდენჯერმე განმეორდეს, ოღონდ იმგვარად, რომ მოსწავლეებისთვის სახალისო იყოს. ამისათვის მასწავლებელმა მარტივი, სახალისო მახასიათებლებით უნდა შეარჩიოს მკითხველები ყოველი მომდევნო წაკითხვისას (მაგ., წაიკითხონ მათ, ვისაც უყვარს შოკოლადი; მათ, ვისაც აქვთ ყავისფერი თვალები და სხვ.).

**განვრცობის აქტივობები** – მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტექსტის გარშემო. ეს შეიძლება იყოს საყვარელი მონაკვეთის ან კონკრეტული აბზაცის ილუსტრირება, „დამალული“ სიტყვების გახსენება კონტექსტის მიხედვით, არეული წინადადებებისა და სიტყვების დალაგება და სხვ.

**შენიშვნა:** ერთობლივი კითხვისათვის გამოიყენება როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტიპის ტექსტები. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისი სირთულის, რათა ბავშვებში დემოტივაცია და იმედგაცრუება არ გამოიწვიოს.

**ერთობლივი კითხვის ვარიაციები:**

**გუნდური კითხვა** – მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად კითხულობენ ტექსტს. კითხვის პროცესში მასწავლებელი ხელის/ჯოხის გამოყენებით მიუთითებს წასაკითხ სიტყვებს.

**ექოს ტიპის კითხვა** – მასწავლებელი კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მოსწავლეები ერთხმად კითხულობენ მასწავლებლის მიერ წაკითხულს. ამგვარად იკითხება მთელი ტექსტი.

**ქოროს ტიპის კითხვა** – მასწავლებელი კლასს ყოფს ორ გუნდად. ტექსტის ერთ წინადადებას კითხულობს ერთი გუნდი, მომდევნო წინადადებას – მეორე გუნდი. ამგვარად, ქოროს პრინციპით, იკითხება მთელი ტექსტი.

## რესურსი 4: წესების ხის შაბლონი



# რესურსი 5: მოსასმენი ტექსტები

## თავი პირველი – სკოლა

**1.**

თუ გინდა, რომ სასიამოვნო გარემოში ისწავლო, გარკვეულ წესებს უნდა მიჰყვე. ყველაზე მთავარი და აუცილებელი სამი წესი თანაკლასელებთან ერთად თავიდანვე შეგიძლია მოიფიქრო.

ამ თავში წაიკითხავ და მოისმენ ძალიან საინტერესო ნაწარმოებებს. დააკვირდები პერსონაჟებს და შეაფასებ მათ ქცევებს.

ყველაფერს გზადაგზა ჩაინიშნავ რვეულში. თავის ბოლოს კი თანაკლასელებთან ერთად შექმნი საკლასო წესების დიდ ხეს, რომლის ტოტებზეც ვაშლის ფორმებში ჩაწერ და ჩამოკიდებ კლასისთვის აუცილებელ წესებს.

გახსოვდეს, მთავარი მხოლოდ წესების მოფიქრება კი არა, მათი დაცვაა. გაითვალისწინეთ ერთმანეთის აზრები, რადგან მასწავლებელთან ერთად თქვენ ქმნით კლასში საინტერესო და მოწესრიგებულ გარემოს.

**2.**

**„მეც მინდა სკოლაში“, მეორე ნაწილი**

**პირველი გაკვეთილი**

პეტერს თავისი ჩანთა მიჰქონდა. გზაზე ფრთხილად უნდა გადასულიყვნენ. ქუჩაში ხომ ბევრი მანქანა იყო.

სკოლაში პეტერმა მასწავლებელს ლენა გააცნო:

– ეს ჩემი დაიკოა და აინტერესებს, როგორია სკოლა.

– რა სასიამოვნოა! – გაუღიმა მასწავლებელმა, – კეთილი იყოს შენი მოსვლა სკოლაში, ლენა!

პირველი მათემატიკის გაკვეთილი ჰქონდათ. მასწავლებელმა პეტერი გაიძახა დაფასთან. პეტერს უნდა გამოეთვალა, რამდენია 6 + 4 + 1

„პელე, გილოცავთ დაბადების დღეს!“ – ეწერა დაფაზე. დღეს თურმე პელეს დაბადების დღე ყოფილა.

**3.**

**„მეც მინდა სკოლაში“, მესამე ნაწილი**

**ჩხუბი**

გაკვეთილის შემდეგ ყველა ბავშვი ეზოში გავიდა. გოგონები ასკინკილას თამაშობდნენ. პეტერის კლასელმა, ინგერმა, ლენას ჰკითხა:

– შენც გინდა, თამაში?

– მინდა! – გაუხარდა ლენას.

პელე კი, ის იუბილარი ბიჭი, პეტერთან მივიდა და გამოუცხადა, პატარა ბავშვების სკოლაში წამოყვანა დიდი სისულელე მგონიაო. რა უხეშად გამოუვიდა!

გაბრაზებულმა პეტერმა პელეს დაარტყა. მერე ნამდვილი ჩხუბი ატყდა. ლენა ძალიან შეშინდა. თუმცა, ვერ გაბედა, რამე ეთქვა, გაიფიქრა, პეტერს არ მოეწონებაო. კიდევ კარგი, ზარი მალე დაირეკა.

**4.**

**„მეც მინდა სკოლაში“,  მეხუთე ნაწილი**

**დიდი დასვენება და სპორტის გაკვეთილი**

დიდ დასვენებაზე პეტერმა ლენა სასადილოში წაიყვანა.

– იმედია, თევზს არ გვაჭმევენ, – ჩაილაპარაკა პეტერმა, რადგან თევზი დიდად არ უყვარდა. როგორ გაუმართლა! მაჭკატები დახვდათ მოცვის ჯემთან ერთად.

– შემიძლია, ასი ცალი მაჭკატი შევჭამო! – დაიტრაბახა ინგერმა.

– მე კი – ათასობით! – არ ჩამორჩა ბო.

კიდევ კარგი, ბომ ათასი მაჭკატი არ შეჭამა. სადილის შემდეგ ბავშვებს სკოლის ეზოში სპორტის გაკვეთილი ჰქონდათ და, აბა, როგორ შეძლებდა ბო მაჭკატგამოტენილი მუცლით სირბილსა და ყვანჩალასავით ხტუნვას?

– სპორტი ყველაზე სახალისო საგანია, – აუხსნა ლენას პეტერმა.

**5.**

**„მეც მინდა სკოლაში“, მეექვსე ნაწილი**

**კითხვის გაკვეთილი**

სულ ბოლოს კითხვის გაკვეთილი ჰქონდათ. მასწავლებელმა ლენასაც მისცა

წიგნი, მერე რა, რომ მან კითხვა არ იცოდა.

– რუ მორაკრაკებს, – წაიკითხა ბირგიტამ.

შემდეგ პეტერის ჯერი დადგა. პეტერი კი ფიქრში გართულიყო და მასწავლებლის ხმაზე ისე შეკრთა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა.

– პეტერ, სად ხარ?! რაზე ფიქრობ? – გაუწყრა მასწავლებელი.

– მაინტერესებს, როგორ აკეთებენ კონსერვის მრგვალ ქილებს.

– მოდი, ეგ სხვა დროს გავარკვიოთ. ახლა კითხვის გაკვეთილია.

გაკვეთილი რომ დამთავრდა, ბავშვებმა პელეს „რა ლამაზი დღეა“ უმღერეს, შემდეგ კი მასწავლებელი და ბავშვები ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

## თავი მეორე – ჩვენ ერთმანეთისაგან განვსხვავდებით

1.

ახლა, დროა ადამიანები უფრო კარგად გაიცნო. ყველას სხვადასხვა ხასიათი გვაქვს, სხვადასხვა გარეგნობა, სხვადასხვა მიზნები და ოცნებები.

შეგიტყვია, რა სწყინთ ან რა უხარიათ შენ ირგვლივ მყოფებს? ეს თავი ამ თემაზე ნადვილად დაგაფიქრებს. აქ თავმოყრილ საინტერესო ამბებში წაიკითხავ სხვების ფიქრებსა და თავგადასავლებზე. სახალისო თამაშებითა და სავარჯიშოებით ახლოს გაიცნობ შენთვის ძვირფას ადამიანებს და სხვათა შორის, საკუთარ თავსაც. გაიაზრებ, რატომ უნდა მოუსმინო ყველას და მიიღო ისეთი, როგორიც არის.

ბოლოს კი თანაკლასელებთან ერთად საკლასო ოთახის კედელზე შექმნი ხელების ხეს, სადაც თითოეული თქვენგანი თავის ანაბეჭდში საკუთარი თავის შეფასებას ჩაწერს. თუ გაინტერესებს, როგორია ხელების ხე, შეგიძლია ახლავე გადაშალო მეორე თავის ბოლოს და ნახო.

**2.**

**„შვიდფერა ყვავილი“, მესამე ნაწილი**

**ანას სხვადასხვა სურვილი**

ანამ ბლითების ასხმულა დედას მიაწოდა და გაიფიქრა: „მართლაც, რა შესანიშნავი ყვავილი ყოფილა. ამას ყველაზე ლამაზი ლარნაკი მოუხდება!“

სკამზე აცოცდა, უნდოდა, ზედა თაროდან დედის საყვარელი ლარნაკი ჩამოეღო, მაგრამ ლარნაკი ხელიდან გაუვარდა და ნამსხვრევებად იქცა.

გოგონამ ყვავილს საჩქაროდ მოსწყვიტა წითელი ფურცელი, აისროლა და წაიჩურჩულა:

ფრინდი, ფრინდი ფურცელო,
ფრთა ჩიტივით გაშალე,
აღმოსავლეთს ეწვიე,
რომ მოივლი დასავლეთს.
სამხრეთიც და ჩრდილოეთიც
მოიარე ნაზი ფრთებით.
როცა უკან დაბრუნდები,
ძირს ფარფატით დაეშვები,
აასრულე ნატვრა ჩემი....

– ბრძანე, დედიკოს საყვარელი ლარნაკი ახლავე გამთელდეს!

ამისი თქმა იყო, და ლარნაკი გამთელდა.

სადილის შემდეგ ანა ეზოში ჩავიდა. ბიჭები „ჩრდილოპოლუსობანას“ თამაშობდნენ.

– მეც მათამაშეთ! – სთხოვა გოგონამ.

– გოგონებს რა ესაქმებათ ჩრდილოეთ პოლუსზე?! – ცხვირი აიბზუეს ბიჭებმა.

– არც მჭირდება, – წამოიძახა გაბრაზებულმა ანამ, ამოიღო ჯადოსნური ყვავილი, მოსწყვიტა ლურჯი ფურცელი, აისროლა და თქვა:

ფრინდი, ფრინდი ფურცელო,
ფრთა ჩიტივით გაშალე,
აღმოსავლეთს ეწვიე,
რომ მოივლი დასავლეთს.
სამხრეთიც და ჩრდილოეთიც
მოიარე ნაზი ფრთებით.
როცა უკან დაბრუნდები,
ძირს ფარფატით დაეშვები,
აასრულე ნატვრა ჩემი...

– ბრძანე, ახლავე გავჩნდე ჩრდილოეთ პოლუსზე.

ძლივს მოასწრო ამის თქმა, რომ გოგონა უცებ ჩრდილოეთ პოლუსზე გაჩნდა, მარტოდმარტო, საზაფხულო კაბაში.

– ვაიმე, დედიკო, ვიყინები! – დაიძახა ანამ და აღრიალდა, სად იყო და სად – არა, ყინულიდან ოთხი თეთრი დათვი გამოძუნძულდა.

შეშინებული და გაყინული ანა ეცა ყვავილს, მოგლიჯა მწვანე ფურცელი, აისროლა და დაიყვირა:

ფრინდი, ფრინდი ფურცელო,
ფრთა ჩიტივით გაშალე,

აღმოსავლეთს ეწვიე,
რომ მოივლი დასავლეთს.
სამხრეთიც და ჩრდილოეთიც
მოიარე ნაზი ფრთებით.
როცა უკან დაბრუნდები,
ძირს ფარფატით დაეშვები,
აასრულე ნატვრა ჩემი...

– ბრძანე, ახლავე გავჩნდე ჩემს ეზოში!

მართლაც, ანა იმ წამსვე გაჩნდა თავის ეზოში. იქვე გოგონები თამაშობენ ნაირნაირი სათამაშოებით. ანას უცებ მოუნდა ბევრი სათამაშო. ამოიღო ყვავილი, მოსწყვიტა ყავისფერი ფურცელი, აისროლა და თქვა:

ფრინდი, ფრინდი ფურცელო,
ფრთა ჩიტივით გაშალე,
აღმოსავლეთს ეწვიე,
რომ მოივლი დასავლეთს.
სამხრეთიც და ჩრდილოეთიც
მოიარე ნაზი ფრთებით.
როცა უკან დაბრუნდები,
ძირს ფარფატით დაეშვები,
აასრულე ნატვრა ჩემი...

– ბრძანე, რაც კი ქვეყანაზე სათამაშოა, ყველა ჩემთან გაჩნდეს!

იმწამსვე ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოაწყდნენ სათამაშოები. ანამ ჯერ არ იცოდა, სიხარულისგან რა ექნა, მაგრამ ბოლოს თოჯინებით აივსო მთელი ეზო.

– აღარ მინდა ამდენი სათამაშო, ვიხუმრე. – დაიყვირა ანამ.

მაგრამ ვინ უგდებდა ყურს, სათამაშოები ცვიოდნენ და ცვიოდნენ. ანამ საჩქაროდ მოაგლიჯა ყვავილს რუხი ფურცელი და დაიყვირა:

ფრინდი, ფრინდი ფურცელო,
ფრთა ჩიტივით გაშალე,
აღმოსავლეთს ეწვიე,
რომ მოივლი დასავლეთს.
სამხრეთიც და ჩრდილოეთიც
მოიარე ნაზი ფრთებით.
როცა უკან დაბრუნდები,
ძირს ფარფატით დაეშვები,
აასრულე ნატვრა ჩემი...

– ბრძანე, ახლავე დაბრუნდნენ სათამაშოები თავთავიანთ მაღაზიებში! – თქვა ანამ და სათამაშოები იმწამსვე გაქრნენ.

ეს იყო ანას მეექვსე სურვილი.

### 3.
### ჩვენ ყველანი განსხვავებულები ვართ და ეს ძალიან კარგია

ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიმაღლით, კანისა და თმის ფერით, თვალის, ცხვირისა და პირის ფორმით. არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი. ტყუპებიც კი რაღაცით მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს სხვადასხვანაირი ტრადიცია აქვთ. განსხვავებულად ესალმებიან ერთმანეთს: ზოგ ქვეყანაში ხელს ართმევენ, ზოგან კოცნიან, ზოგან კი ხელებს ატყუპებენ და თავს დაბლა ხრიან.

ადამიანები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ; სხვადასხვაგვარად იცვამენ და ჭამენ; განსხვავებულად ზეიმობენ დღესასწაულებზე.

## თავი მესამე – დღესასწაულები და საჩუქრები

### 1.

ყველას უყვარს დღესასწაულები. მაგალითად, შემოდგომაზე რთველი და ჩურჩხელების ამოვლება დიდი ზეიმია. ამას მოჰყვება ახალი წელი და საჩუქრები. დაბადების დღეების აღნიშვნაც ხომ მშვენიერი რამაა. კიდევ ბევრი დღესასწაული არსებობს, რომელთა შესახებაც ალბათ აქამდე არ გსმენია. ამ თავში ბევრი მხიარული ამბავი და თავგადასავალი გელოდება. თავის ბოლოს მსახიობიც კი გახდები, შენს როლს მიიღებ, სიტყვებს დაწერ, შემდეგ ისწავლი და თანაკლასელებთან ერთად ჩრდილების წარმოდგენას მოაწყობ. მოსაწვევებიც უნდა დაარიგო და მაყურებლის წინაშე წარდგე.

### 2.
### შობა

იოსები და მარიამი ბეთლემში შებინდებისას მივიდნენ. იქაურობა სავსე იყო ხალხით. მათ ბინა ვერ იშოვეს. ამიტომ ღამის გასათევად ერთ გამოქვაბულში დაბინავდნენ, სადაც ცუდ ამინდში მწყემსებს საქონელი შეჰყავდათ ხოლმე.

მარიამმა გამოქვაბულში შვა ძე, ჩვრებში შეახვია და ბაგაში ჩააწვინა.

ყველაზე ადრე ღვთის დაბადება მწყემსებმა შეიტყვეს. უეცრად ცა განათდა.

მწყემსებს ზეცაში უფლის ანგელოზი გამოეცხადათ. ანგელოზმა მათ აუწყა:

– მე გახარებთ თქვენ დიდ სიხარულს. დაიბადა მაცხოვარი, ქრისტე-ღმერთი. თქვენ მას ნახავთ შეხვეულსა და ბაგაში მწოლიარეს.

მწყემსებმა საჩქაროდ გასწიეს ბეთლემისაკენ. მალე იპოვეს გამოქვაბული, შევიდნენ შიგ და ნახეს მარიამი, იოსები და ბაგაში მწოლიარე ყრმა. მწყემსები მუხლებზე დაეცნენ და თაყვანი სცეს მას.

**3.**

**ალილო**

ოცდახუთსა დეკემბერსა შობის დილა გათენდება.
ალილო...
ვარსკვლავები აინთება, მზის სინათლე გაიზრდება.
ალილო...
თოვლით მთელი მთა და ველი გათეთრდება, გათეთრდება,
სიყვარული, სიხარული გაბევრდება, გაბევრდება.
ალილო...
თაფლი უფრო გატკბილდება,
სახლი-კარი დამშვენდება.
ალილო...
ნაძვის სათამაშოები აინთება, გაბრწყინდება.
ალილო...
გოზინაყით, ჩურჩხელებით ჩვენი სუფრა გამშვენდება,
ოცდახუთსა დეკემბერსა შობის დილა გათენდება.
ალილო...
სიყვარული, სიხარული გაბევრდება, გაბევრდება,
ოცდახუთსა დეკემბერსა შობის დილა გათენდება.
ალილო...

## თავი მეოთხე – მე და ჩემი ოჯახი

**1.**

როგორია ოჯახში ცხოვრება? სადმე თუ გვინდა წასვლა, ნებართვას ვიღებთ.

ერთად ვზრუნავთ ჩვენს შინაურ ცხოველებზე. ერთად ვსადილობთ, ვუყუ-

რებთ ფილმს, ვისვენებთ ბუნებაში... ვცდილობთ, ვთქვათ სიმართლე. ვეხმარებით მას, ვისაც ეს სჭირდება.

მხარში ვუდგავართ ერთმანეთს. ვალაგებთ ჩვენს ნივთებს. ვუღიმით და ვეხუტებით ერთმანეთს. ზოგჯერ ვუბრაზდებით კიდეც...

უფროსების თვალით თუ შეგიხედავს ამ ამბებისთვის? ალბათ აქამდე არა. ამ თავში წაიკითხავ ბევრ ამბავს ოჯახურ ცხოვრებაზე, იმსჯელებ ოჯახის წევრების სიტყვებსა და ქცევებზე, თავის ბოლოს კი შეძლებ, შენი თავი სხვის ადგილზე წარმოიდგინო.

**2.**

**„დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“, მესამე ნაწილი**

– აქ რას აკეთებთ? – ჰკითხა ბავშვებს.

– ეს ჩვენი საბარგო მანქანაა, ჩვენ მოგვპარეს! უამისობა ჩვენ არ შეგვიძლია. ეს ხომ პურს გვაჭმევს ყველას: დედას, მამას და რვა ბავშვს.

– როგორია თქვენი მანქანა? – იკითხა პოლიციელმა.

– მწვანე, – უპასუხა მონამ.

– კი მაგრამ, ეს რომ წითელია, – გაეღიმა პოლიციელს და მანქანას მიეყრდნო.

– უი, ფრთხილად, – შეწუხდა მადსი, – დაისვრებით, შეხედეთ ჩემს მაისურს!

– მაშ... ახალი შეღებილი ყოფილა, – ჩაფიქრდა პოლიციელი.

ამასობაში მაღაზიიდან გამოვიდა კაცი, რომელიც საბარგო მანქანით მოვიდა.

– ეს თქვენი მანქანაა? – ჰკითხა პოლიციელმა.

– რასაკვირველია, – უპასუხა კაცმა.

– მაშინ ჰკითხეთ, რა არის კაბინაში, სავარძლის ქვეშ, – სთხოვა პოლიციელს მადსმა.

– დანამდვილებით არ მახსოვს, მგონი, ჩვარი დევს.

– მე კი დანამდვილებით ვიცი, სავარძლის ქვედა მხარეს მამამ მიაწება დედას, მარტინის, მარტას, მონას, მილის, მინას, წრიპა მორტენისა და ჩემი სურათები, – თქვა მადსმა.

შეამოწმეს და მართალი აღმოჩნდა. დარცხვენილმა კაცმა თავი ჩაქინდრა. პოლიციელმა ის განყოფილებაში წაიყვანა.

გახარებული მადსი და მონა მანქანის ძარაზე აძვრნენ. მალე სხვა პოლიციელი გამოჩნდა. მანქანა დაქოქა და სახლისკენ დაიძვრნენ. უი, რა სიხარული იყო, როცა საბარგო მანქანით დაბრუნდნენ შინ! უხაროდა ყველას, მაგრამ ყველაზე მეტად საბარგო მანქანა იყო ბედნიერი. ამ დიდ ოჯახთან ცხოვრებას შეჩვეულს, დიდი ხანია, სხვა პატრონთან ყოფნა ვერც კი წარმოედგინა. თუმცა, წითლად რომ გადაღებეს, რაღა დაგიმალოთ და, ნამდვილად ესიამოვნა.

3.
**მაგდანას ლურჯა**

**ეკატერინე გაბაშვილის მიხედვით**

მაგდანას ქმარი ადრე გარდაეცვალა და მარტო დარჩა ოთხ შვილთან ერთად. რა ექნა უბედურ ქვრივს? რით გამოეკვება თავისი ობლები? „დედა პური, დედა პურიო" – დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა შვილების ხმა. ერთი კვირის დაქვრივებულიც არ იყო, როდესაც შავებში ჩაცმული მაგდანა მაწვნის ქილებით ცალ მხარზე და კარგა მოდიდო რძის კოკით მეორე ხელში, ქალაქისკენ გაეშურა.

ქალაქში მაგდანა ბაზართან ახლოს, ტროტუარზე ჩამოჯდა, ჩამოამწკრივა მაწვნის ქილები, რძის ლიტრები და დაელოდა მუშტარს.

ყოველდღე დადიოდა მაგდანა ქალაქში სავაჭროდ და ასე წვალებითა და ტანჯვით შოულობდა თითო ლუკმას თავისი ობლებისთვის.

დედის დაბრუნებამდე ოჯახს პატრონობდა მაგდანას უფროსი გოგო, 14 წლის სოფო და ეს ჩინებულადაც გამოსდიოდა. სანამ პატარა და-ძმას ეძინა, სახლს ჰგვიდა, კოკებს ავსებდა წყლით, მეორე დღისთვის საჭირო რძის ჭურჭელს რეცხავდა და კრუხ-წიწილას საკენკს უყრიდა. პატარები რომ გაიღვიძებდნენ, იმათაც მიხედავდა ხოლმე. მერე ბავშვები ბანზე გადიოდნენ და მზის ჩასვლამდე დედას ელოდნენ.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს დაღლილ-დაქანცულმა მაგდანამ ძლივს მიაღწია სახლამდე.

მისი შვილები თავს რაღაცას დასტრიალებდნენ; მაგდანა გაოცებული შედგა: მიწაზე სახედარი ეგდო და მძიმედ ქშინავდა.

– დედა, მიხამ ეს ვირი გზის ნაპირას ნახა. რის ვაი-ვაგლახით მოვიყვანეთ შინ. საცოდავი დატორტმანდა და ძირს დაეცა.

მაგდანა საჩქაროდ სახედრის მოვლას შეუდგა. თბილი წყლით ზურგი მოჰბანა, წყალი დაალევინა. პირუტყვი მოასულიერა და სოფოს მწვანე ბალახი მოატანინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლურჯამ მოიხედა, გაყოჩაღდა და კუნტრუშიც დაიწყო. გახარებულმა მაგდანამ მეზობლებისაგან ორი დიდი გოდორი ითხოვა, გადაჰკიდა თავის ბედაურს, შიგ მჭიდროდ ჩააწყო მაწვნის ქილები და ქალაქისკენ გაეშურა. ჩვეულებრივ ტვირთქვეშ მოხრილ მაგდანას ახლა ველარ იცნობდით, ისეთი გაღიმებული და ბედნიერი იყო. ამაყად მიაბიჯებდა და მხიარულად შესცქეროდა თავის თანაშემწე – ლურჯა სახედარს და მის გარშემო სიხარულით მოხტუნავე შვილებს.

– დედა, დღეს ხომ უფრო ადრე მოხვალ, საჩუქრებსაც ხომ მოგვიტან? – ღიმილით ეკითხებოდა მაგდანას პატარა მიხა.

მოვაჭრეებს ბაზრისკენ მიეჩქარებოდათ. მაგდანამაც ფეხი ააჩქარებინა თავის ლურჯას. უცებ ზემოდან საშინელი სიჩქარით დაეშვნენ სახედრები. მენახშირე, მთელი ძალით მოერეკებოდა ჯოგს და პირდაპირ მაგდანას ვირს გაჰკრა გვერდი. საწყალმა ქალმა ხმამაღლა წამოიყვირა.

მენახშირემ თავი მოაბრუნა და უცბად შედგა. საჩქაროდ გადმოხტა ჯორიდან და მაგდანასთან მიიჭრა:

– ეგ სახედარი შენ ვინ მოგცა!

მაგდანას მკვდრისფერი გადაედო და ხმის კანკალით ძლივს წაილუღლუღა:

– მინდორში დავარდნილი ვიპოვე, სული ამოსდიოდა და მოვაბრუნე.

– ეგ ჩემი ვირია, ახლავე დამიბრუნე, თორემ ქურდობისთვის ციხეში გიკრავ თავს.

– ვერ წამართმევ, ვერა. ეს ჩემი ნაპოვნია, ჩემი გამოკვებილია, ჩემი შვილების ნუგეში ეს არის, ვერ წამართმევ! – წივილ-კივილს მოჰყვა მაგდანა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იგერიებდა გაცოფებულ მენახშირეს.

ამასობაში პოლიცია გაჩნდა, ჩხუბის მიზეზი გამოიკითხა და მენახშირე ამ სიტყვებით გაისტუმრა:

– წადი, სასამართლოში იჩივლე, იქ გაარჩევენ საქმეს და, სახედარი ვისიც არის, იმას დაუტოვებენ.

მშვიდი, წყნარი, მთვარიანი ღამეა. მაგდანა თავისი ოთხი შვილით ვახშამს მისჯდომია ეზოში, მაგრამ არავინ ჭამს. მაგდანა მწარედ ჩაფიქრებული შესცქერის მთვარეს და თვალები ცრემლებით ევსება, ვინ იცის, როგორ გადაწყდება ხვალ მისი ბედი.

– ლურჯა რომ წაგვართვან, რაღა გვეშველება! ისევ წელში უნდა მოვიხარო და ისევ ზურგით ვზიდო რძე და მაწონი! ოხ, ოხ, ღმერთო! შენ იყავი ჩემი მფარველი.

მეორე დღეს უთენია გამოცხადდა მაგდანა სასამართლოში. დიდხანს ცდილობდა მოსამართლესთან თავისი სიმართლის დამტკიცებას. მთელი სოფელი მოწმედ დაუდგა საწყალ ქალს. არავინ იცოდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მოსამართლე...

სოფო, მიხა და ორი პატარა მთელი დღე ბანზე ისხდნენ და გზას გასცქეროდნენ. მაგდანა კი არა და არ ჩანდა. ბავშვები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. და აი, შორს გამოჩნდა ჯერ მაგდანას შავი თავშალი. მერე თვითონ მაგდანა, წელში გაშლილი, პირმოღიმარი, ლურჯას წინ მოუძღოდა, მოწმეებით გარშემოხვეული ბედნიერი მოაბიჯებდა შინისკენ. მაგდანას შვილები წივილ-კივილით გაეგებნენ, მოეხვივნენ ვირს, ჰკოცნიდნენ, ზედ ახტებოდნენ და უალერსებდნენ.

სულ მალე მაგდანას ეზოდან, წუხანდელი ტირილის შემდეგ, ჰარიარალეს ხმა მოისმოდა.

**4.**

**„მეც მინდა პატარა დაიკო ან ძამიკო“, მესამე ნაწილი**

პეტერი სწორედ მაშინ აფუჭებდა რამეს, როცა დედას ლენა კალთაში ეწვა და აჭმევდა. ასე კი მხოლოდ იმიტომ იქცეოდა, რომ დედა იძულებული გამხდარიყო, ლენა მიეტოვებინა და პეტერთან მისულიყო.

ერთხელ მაკრატელი აიღო და თითქმის ძირში მოიჭრა მთელი თმა. ერთხელაც თიხის ჩაიდანი დაანარცხა იატაკზე. დედა იმწამსვე მოვარდა და ძალიანაც კარგი! ის ხომ ჯერ პეტერის დედა იყო და არა ლენასი.

ერთ დღესაც პეტერმა ძალიან, ძალიან მოიწყინა. კუთხეში დაჯდა და ატირდა. ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დედას და მამას მხოლოდ ლენა უყვარდათ, პეტერი კი – ოდნავადაც არა. მერე მასთან დედა მივიდა და კალთაში ჩაისვა. დედას კალთა ისეთი რბილი და თბილი იყო და იქ ჯდომაც ისეთი სასიამოვნო... დედა პეტერს ზუსტად ისე არწევდა, როგორც ლენას, და ეფერებოდა:

– როგორ მიყვარს ჩემი პეტერი! თავიდან პატარა ბიჭი მიყვარდა, ახლა კი ჩემი დიდი ბიჭი მიყვარს!

პეტერი დედას მიეხუტა და ჰკითხა:

– დედა, ლენა ხომ ძალიან სულელია?

– ლენა სულელი არაა, უბრალოდ, პატარაა. პატარები კი ჭირვეულობენ ხოლმე.

– ჰო! – დაეთანხმა პეტერი.

– ხომ არ გინდა, ლენას მოვლაში დამეხმარო? – შესთავაზა დედამ, – ის ხომ შენი დაიკოა. შენთვის მოვიყვანეთ. ჰოდა, ამიერიდან შენ მოგიწევს, მიხედო.

– პატარა რომ ვიყავი, მეც ვჭირვეულობდი? – იკითხა პეტერმა.

– მერედა, როგორ! – გაიღიმა დედამ, – სულ ხელში მეჭირე, რომ არ გეტირა.

და პეტერმა გადაწყვიტა, ახლა ლენას ჯერია, პატარა და ჭირვეული იყოს, ამიტომ აჯობებს, დედას მის მოვლაში დავეხმაროო.

## თავი მეხუთე – ამბები გვასწავლიან

**1.**

შენ უკვე ბევრი ამბავი წაიკითხე. ბევრჯერ დაფიქრდი, რა შეიძლება ვისწავლოთ სხვის მიერ დაწერილი წიგნებიდან. ახლა შენი ჯერია. ამ თავის ბოლოს ავტორი უნდა გახდე.

ამ თავში ბევრი პატარა ამბავია შეტანილი სიკეთესა თუ ბოროტებაზე, სიხარულზე, მოწყენაზე... კითხვისას კარგად დააკვირდი პერსონაჟებს, დასაწყისებსა და დასასრულებს, გაგრძელებებს, ილუსტრაციებს. შენც დაწერე და გააფორმე ამბავი.

გახდი წიგნის ავტორი!

## 2.
**მეფე და მხატვარი**

იყო ერთი ცალთვალა მეფე. ჰყავდა ერთი მხატვარი. მეფეს უნდოდა, ამ მხატვრისთვის რამე მიზეზი ეპოვნა და უბრძანა: ჩემი სახე უნდა დახატოო.
მხატვარმა იფიქრა: ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე, ბრმა რომ დავხატო, მომკლავს – როგორ მაკადრეო, ორი თვალით დავხატო და თავს მომჭრის, მე არ მგავსო.
იფიქრა მხატვარმა, იფიქრა და ეს მოიფიქრა: დახატა ირემი, მეფეს ხელში თოფი მისცა და ბრმა თვალი დაუხუჭა, მეორე თვალით კი ირემი მიზანში ამოაღებინა.
მხატვარმა ნახატი მეფეს მიართვა. მეფემ მიზეზი ვეღარ უპოვა. ასე გადაურჩა მხატვარი მეფის რისხვას.

# თავი მეექვსე – ჩვენ და ბუნება

## 1.

ხშირად გადიხარ ბუნებაში? აკვირდები მცენარეებს, ცხოველებს ან მწერებს? უვლი და უფრთხილდები მათ?
ამ თავში წაიკითხავ ბევრ საინტერესო ამბავს ბუნების შვილებზე. მიიღებ სასარგებლო რჩევებს მებაღისგან. ისწავლი, როგორ გამოკვებო ჩიტები ზამთარში. გაიგებ, რომ ყველაზე „ზარმაც“ ან „მავნე“ ცხოველსა და ფრინველსაც კი დიდი სარგებლობა მოაქვთ. ისწავლი, რა შეგიძლია გააკეთო ბუნებისთვის, რომელიც ჩვენი სახლია.

თავის ბოლოს თანაკლასელებთან ერთად გამართავ მწვანე აქციას: შექმნი პოსტერს, ლოგოს, გამოხვალ სიტყვით... უფრო მეტიც, შეგიძლია აქციისთვის სკოლაში შენი შინაური ცხოველი მოიყვანო და მოწვეულ სტუმრებს გააცნო...
მოკლედ, წინ საინტერესო თავგადასავალი გელოდება.

## 2.
**„ია ყინულებში“, მეორე ნაწილი**

საიდან აღარ დაიძრნენ იის სანახავად. ციმბირიდან ირმებმა მოირბინეს, ამერიკიდან – წიქარა ხარებმა. მოცურდნენ სელაპები და ზღვის ლომები, მერე თეთრი კუდბომბორა მელიებიც მოცუნცულდნენ გაღმა მხრიდან. პირველები კი, აბა, სხვა ვინ დაასწრებდა, ენაჭარტალა კაჭკაჭები მოფრინდნენ. ყველას

უკვირდა: ამ თვალჟუჟუნა ყვავილს აქ რა უნდა, რომელმა ქარმა გადმოაგდოო. თან ჰაერს ისუნთქავდნენ, ისე ეამათ იის ნაზი სურნელი. პირდაპირ საკვირველია, ყველაზე გვიან ვინც მოდიოდა, სურნელება იმასაც ადრე მოსულებივით აბრუებდა.

– ამისთანა გამოულეველი რა გახდა! – თქვა სელაპმა, – ეტყობა, სადღაც ყინულქვეშ მარაგი აქვს.

– მეც ეგ არა ვთქვი? – დაიბუხუნა თეთრმა დათვმა, – უეჭველად რაღაც ექნება!

არაფერი ამის მსგავსი თეთრ დათვს არ უთქვამს, მაგრამ არავის აღარ ახსოვდა, თქვა თუ არა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოფრინდა ის თოლიაც, სამხრეთში რომ ჰყავდათ გაგზავნილი უცხო ყვავილის ამბის გასაგებად. თოლიამ სული მოითქვა და ჩაუკენჭა, ამ პაწაწინა სურნელოვან ყვავილს ია რქმევია, რამდენიც გინდათ, სამხრეთში იმდენიაო.

**3.**

**„ქეთუნა და ჩიტი“, მესამე ნაწილი**

– დედა, მიყიდე ჩიტი! ხომ ხედავ, ბიჭსაც ფული უნდა, დედას რომ პური უყიდოს, – ისევ გაჭირვეულდა ქეთუნა.

– გიყიდი, გენაცვალე, მაგრამ იმ პირობით, რომ მაშინვე გაათავისუფლო ეგ უბედური ფრინველი! – და ჩიტის პატრონს იმაზე მეტი ფული მისცა, რაც სთხოვა.

სტუმარმა ქალმაც გახსნა თავისი ძვირფასი ქისა და ერთი აბაზი მანაც აჩუქა სიცივისგან მოკუნტულ ბიჭს.

ბიჭი თვალებს არ უჯერებდა ამ ბედნიერებას.

– ერთი ჩიტი თქვენც მოგიყვანოთ? – შეეკითხა მორთულ ქალს.

– არა, რად მინდა მე ჩიტი! ეგ დედას წაუღე და ხვალ ნუღარ დაიჭერ ჩიტს.

ბიჭი სიხარულით შეხტა, შეითამაშა და ბედნიერი ღიმილით გარეთ გავარდა.

ქეთუნამ კი ისარგებლა დედის სტუმართან ლაპარაკით და გალიით ხელში თავის ოთახში გავიდა; ძიძას საჩქაროდ მოატანინა საკენკი, ლამბაქით წყალი და გალიაში შეუდგა ჩიტს. შიმშილით დასუსტებული ჩიტი ხარბად ყლაპავდა ერთსაც და მეორესაც.

ქეთუნა უყურებდა და ფიქრობდა: „ნეტა აღებული ფულით ჩიტის გამყიდველიც ახლა ასე ხარბად თუ ყლაპავს პურის ლუკმებს?!“

**4.**

„მოგზაური მაიმუნები“

მოდი ერთი, ვნახოთ, რა ხდება, რა ამბავია ქვეყნიერებაზეო, იფიქრეს მაიმუნებმა და სამოგზაუროდ წავიდნენ. ცოტა ირბინეს თუ ბევრი ირბინეს, დაიღალნენ და ჩამოსხდნენ.

– აბა, გაიხედ-გამოიხედეთ, რასა ვხედავთ? – თქვა ერთმა.

– რასა ვხედავთ და გალიაში ლომია, აუზში სელაპი, იმ ბაკში კი ჟირაფია.

– ქვეყანა დიდია, დიდი! მოგზაურობას რა სჯობს!

ამის თქმა იყო და ისევ გაქანდნენ. სანამ ძალიან არ დაიღალნენ, აღარ შეუსვენიათ.

უკვე შუადღის მზე აჭერდა.

– ახლა რაღასა ვხედავთ?

– რასა ვხედავთ და ბაკში ჟირაფია, აუზში სელაპი, იმ გალიაში კი ლომია.

– მართლაც დიდია ქვეყანა, დიდი! მოგზაურობას რა სჯობს! – წამოხტნენ მაიმუნები და გზა განაგრძეს. ირბინეს, ირბინეს და, ქანცი რომ გაუწყდათ, მზეც ჩასვლაზე იყო.

– აბა, თუ იტყვი, რასა ვხედავთ?

– რასა ვხედავთ და გალიაში ლომია, ბაკში ჟირაფი, აუზში კი სელაპი ჭყუმპალაობს.

– ეჰ, მართლა მოსაწყენია ეს ქვეყანა! სულ ერთი და იგივე ყელში ამოვიდა.

არა, მოგზაურობაშიც რა ყრია? არაფერი!

ოღონდ მოგზაურს გააჩნია. სირბილით კი დილიდან საღამომდე დარბოდნენ, მაგრამ ახლა იმას არ იკითხავ, სად მოგზაურობდნენ? სად და თავიანთ გალიაში.

5.

„ტყის შვილები“

რევაზ ინანიშვილის მიხედვით

– თინო! თინო! – იძახდა ბებერი რცხილას კენწეროზე შემომჯდარი საბა ჩხიკვი.

– რა გინდა, რა! – გამოსძახა ხმელი ფოთლების ქექვით გართულმა თინომ.

– გაიხედე ერთი, გაიხედე!

– რა არის, სად უნდა გავიხედო, კაცო?

– გზაზე გაიხედე-მეთქი, გზაზე.

საბამ გზისკენ ანიშნა და სიცილი წასკდა.

გზაზე თოფმომარჯვებული ბიჭი მოდიოდა და მედიდურად იყურებოდა აქეთ-იქით.

– ვერა სცნობ? იჩოა.

– უყურებ, მაგასაც რომ თოფი აუღია! დახე, როგორ მოდის, დახე, – გაწიწმატდა თინო და საბას მიუბრუნდა, – ამ აღმართის თავში, კუნელზე, შაშვები სხედან, შევატყობინოთ, რამე არ ავნოს პატარებს.

აფრინდა თინო და საბაც, მეტი რა გზა ჰქონდა, გაჰყვა ფრთების ნელ-ნელა ქნევით, მთქნარებით.

– მეზობლებო, მეზობლებო! – შესძახა თინო ჩხიკვმა შაშვებს, – ფრთხილად იყავით, ქვემოდან მონადირე მოდის, იჩო.

კუნელის ბუჩქიდან ქვრივი შაშვი თებრო და სამი შაშვი ამოფრინდა და იმათაც გზისკენ დაიწყეს ყელყელი და მზერა:

– ჯერ შურდულით არ გვაძლევდა მოსვენებას და თოფით მოდის! შვილო, მალხაზო, გადაფრინდი აი მანდ, მლაშე წყალთან, ობოლი ბაჭია სძოვს და უთხარი, გაერიდოს, სიფრთხილეს თავი არა სტკივა-თქო.

ბაჭიამ გაიგო თუ არა, მონადირე მოდისო, არაფერი უთქვამს, გაიწყო სიფრიფანა ყურები მხრებზე და გავარდა თავ-პირის მტვრევით სერ-სერ. ჩხიკვებმა და შაშვებმა კი ტყის სიღრმისაკენ გადაინაცვლეს და ახლა იქიდან ადევნებდნენ თვალს დიდი ამბით მომავალ იჩოს.

მოდიოდა იჩო და როგორ მოდიოდა! თოფი მომარჯვებული ეჭირა, თითქოს იქადნებოდა, აბა, მოვდივარ და ვაი ხესა და ქვასაო.

– ერთი ჭკუის მასწავლებელი უნდა ვინმე...

– თევდორე დათვის შვილისთვის რომ გვეთხოვნა დახმარება, აშლაპუნესთვის? – ფრთხილად ჩაურთო სიტყვა მალხაზა შაშვმა, – დილას ვნახე. ამ სერს გადავალთ თუ არა, დაბლა, პანტებს ბერტყავდა. ეგ ბიჭიც სწორედ იქით მიდის.

უფროსებმა ერთმანეთს გადახედეს.

– დაანებეთ თავი იმ აშლაპუნესაც და მაგ ყმაწვილსაც. პატარა ბიჭია, გაუშვით, ივლის, ივლის, დაიღლება, ერთი ორჯერ გააბახუნებს თოფს ჰაერში და წავა შინ, – თქვა საბა ჩხიკვმა.

– რას ამბობ, კაცო, რას! – გაუწყრა თინო ჩხიკვი. – ეგ ისე არ დაბრუნდება შინ. წავიდეთ აშლაპუნესთან და ვთხოვოთ იმ სახელოვან მამის შვილს დახმარება.

აფრინდნენ ჩხიკვები და შაშვები და წავიდნენ.

მიფრინავდნენ ტყე-ტყე, აღმა-დაღმა და თან მთელი ტყის გასაგონად იძახდნენ:

– მონადირე! მონადირე მოდის, მოერიდეთ!

ყველა რაღაცას ჩიოდა, ყველა რაღაცა რჩევას იძლეოდა, მხოლოდ საბა ჩხიკვი არ იღებდა ხმას და დამცინავი ღიმილით ხან ერთს გადახედავდა, ხან მეორეს, ხან მესამეს...

აშლაპუნე დათვი პანტით გამძღარიყო და ერთ ფუტურო მუხასთან ჩამჯდარიყო.

შემოეხვივნენ ფრინველები და დაუწყეს ხვეწნა-მუდარა. დათვმა ყურებში თითები დაიცო და თვალები დახუჭა: – ერთმა თქვას, რა გინდათ, ყველა რომ ერთად ყაყანებთ, რა გავიგოო.

მაშინ თინო ჩხიკვი წადგა წინ და გულზე ფრთა შემოიფათქუნა.

– გვიშველე, იმ შენი კარგი მამის სახელის დღეგრძელობამ. გვიქენი სიკეთე და, აი, თოფიანი ბიჭი რომ მოდის გზაზე, ის შეგვიშინე. შეგვიშინე, თორემ გაგვჟუჟავს, მთლად ამოგვჟლეტს.

– დამშვიდდით, დაწყნარდით! – ჩაიდუდუნა დათვმა და წამოდგა, – აბა, მაჩვენეთ, სად არის ის ბიჭი.

დათვმა წინა თათით მოიჩრდილა და ბილიკს გახედა.

ისევ ისე მედიდურად მოდის იჩო ბიჭი, ხან რას მოუღერებს თოფს და ხან რას.

დათვი წამოვიდა ზემოდან გრიალით, ლაწა-ლუწით, ზედ იჩოს ფეხებთან წამოიტოტა და...

– ბაა! – დაიღრიალა ერთი.

იჩოს თოფი ხელიდან გაეშვა, ვაიმე დედაო, და მოუსვა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

– დამიდექ, დამიდექ, თუ ბიჭი ხარ! – მიჰბუხუნებდა დათვი და, ვითომ მისდევდა, ფეხებს ერთ ადგილზე ატყაპუნებდა.

– ხა-ხა-ხა! – ახარხარდა ტყე, – ხა-ხა-ხა...

მერე, თავქუდმოგლეჯილი იჩო რომ სერს გადაეფარა, დათვსაც გაეღიმა. იჩოს თოფი აიღო, შემოჰკრა ხეს და ორად გადაამტვრია. ფრინველებს თათი დაუქნია, – კარგად იყავითო, – და წავიდა თავისი გზით. გახარებული ფრინველები დიდხანს მისდევდნენ და აქებდნენ, მადლობას ეუბნებოდნენ. მხოლოდ საბა ჩხიკვი იჯდა ერთ ადგილას, მარტოდმარტო, და ცხვირში დუდღუნებდა:

– უკვირთ მაგათაც რაღა! რა დიდი ამბავია, თინო, თინო!.. დაბრუნდები თუ არა, თინოოო!

## თავი მეშვიდე – ჩემი სამშობლო

### 1.

სულ მალე მესამე კლასში გადახვალ და ნანატრი არდადეგებიც დაიწყება. რა თქმა უნდა, მეორე კლასის დამთავრება უნდა აღნიშნო. ზაფხულის არდადეგების დაგეგმვაც არ დაივიწყო, რადგან მოდის დრო სოფელსა და უცხო ქალაქებში გამგზავრების, ნაცნობი და უცნობი ადგილების ფეხით მოვლის, ზღვაზე თუ მთაში დასვენების, ახალი თავგადასავლებისა და მეგობრების პოვნის, ოჯახის წევრებთან დაახლოების, წიგნების კითხვის, ფილმების ყურების, გართობისა და უდარდელად ყოფნის დრო.

არ გაჩერდე შინ, არ მოგბეზრდა სულ კომპიუტერთან ჯდომა? აუცილებლად დალაშქრე მშობლიური მხარე – ჩვენი სამშობლო ხომ ასეთ ლამაზი და წარმტაცია?!

ამ თავში წაიკითხავ, როგორ მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები თავიანთ სამშობლოში, გაეცნობი გიდის რჩევებს, დაწერ ლექსს მხიარულ ზა-

ფხულზე და აამღერებ კიდეც. აბა, ვის გაუგია მოგზაურობა სიმღერის გარეშე?

ბოლოს კი დაგეგმავ ლაშქრობას ან ექსკურსიას და შეადგენ მოგზაურის ჩანახატების რვეულს, რომელიც ბევრი სურათითა და შთაბეჭდილებებით იქნება სავსე.

***

სასწავლო წლის დამთავრებამდე შეგიძლიათ, მოაწყოთ წვეულება, სადაც აირჩევთ ყველაზე წიგნიერს, ყველაზე კარგად მოსაუბრეს, ყველაზე შემოქმედს, ყველაზე, ყველაზე ...

შენ როგორ ფიქრობ, რომელ ნომინაციაში გაიმარჯვებ?

**2.**

**„ვაფლის გულები“, მეორე ნაწილი**

**ნოეს ნავი**

სკოლაში ნოეს ნავის შესახებ გვიამბეს.

ნოემ, რომელიც რამდენიმე ათასი წლის წინ ცხოვრობდა, მთის წვერზე ააშენა დიდი ნავი, კიდობანი. ღმერთს წინასწარ ჰქონდა ნათქვამი მისთვის, რომ მთის წვერზე უნდა აეშენებინა საკუთარი ნავი, რადგან მოვიდოდა საშინელი თავსხმა და წყალი დედამიწას დაფარავდა. სანამ გაწვიმდებოდა, ნოეს უნდა შეეკრიბა ყველა არსების წყვილი, ანუ დედალი და მამალი და კიდობანზე აეყვანა, დახრჩობას რომ გადარჩენილიყვნენ.

ხალხს უცნაურად ეჩვენებოდა, ნოეს მთის მწვერვალზე მოთავსებულ ნავში ცხოველები რომ ჰყავდა, მაგრამ ნოე არავის აქცევდა ყურადღებას. ნავის აგება დაასრულა თუ არა, გაწვიმდა, წყალმა ჯერ მინდვრები და გზები, შემდეგ კი სახლები და ხეები დაფარა და ბოლოს, იმ მთის წვერამდეც ააღწია, სადაც ნოეს კიდობანი იყო. წყალმა ის დიდი ნავი წამოიღო მთის წვერიდან. ნოე, თავის ოჯახთან და ცხოველებთან ერთად, კიდობნით რამდენიმე კვირის განმავლობაში მიცურავდა. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ვინც კიდობნის გარეთ დარჩა, დაიხრჩო. ღმერთი თავადაც ბევრს ფიქრობდა ამ სამწუხარო ამბავზე, ცაზე ცისარტყელა გამოსახა და ადამიანებს შეჰპირდა, რომ აღარასოდეს განმეორდებოდა ასეთი თავსხმა.

**3.**

**„ვაფლის გულები“, მესამე ნაწილი**

**ლენასა და თრილეს კიდობანი**

ნოეს ამბავი რომ მოვისმინეთ, ლენამ გამოაცხადა:

– ამიტომ გადაშენდნენ დინოზავრები, რადგან ნოეს ადგილი არ ჰქონდა მათთვის.

– ლენა, ჩვენც ხომ არ გვეცადა იგივე? ვნახოთ, რამდენი ცხოველი დაეტევა ძია თურის დიდ ნავზე?

ლენას თვალები გაუბრწყინდა.

კვირადღეს ძია თური კინოში იყო წასული ქალაქში. მისი ნავი კი ნავმისადგომთან ლივლივებდა. უსაფრთხოების ჟილეტები ჩავიცვით და შევუდექით საქმეს. პირველად პაპას ორი ბაჭია, თებერვალა და მარტა ჩავიყვანეთ, შემდეგ ერთი ქათამი და ერთი მამალი წამოვიყვანეთ საქათმიდან. ერთადერთი თხაც გამოვიყოლეთ. ორ კნუტს ვეძებდით, მაგრამ მხოლოდ ერთი ვიპოვეთ. ბოლოს მწერების ჯერი დადგა. ორი ფუტკარი, ორი ობობა, ორი ლოკოკინა და ორი ხოჭო დავიჭირეთ და ქილებში ჩავსვით. ერთმა ფუტკარმა ლენას უკბინა კიდეც, როცა იგი ცდილობდა, გაერკვია, გოგო იყო თუ ბიჭი.

თავიდან ცხოველები მშვიდად იყვნენ გემბანზე, სანამ ლენამ ხბოს აყვანა არ მოინდომა. კატარღაზე ლენამ რომ დაინახა, თხა ფარდებს ჭამდა, კივილი ატეხა, ამაზე გულგახეთქილმა ხბომ წიხლების სროლა დაიწყო. ბაჭიები, თხა და კატაც შეშინდნენ, მამალი და კრუხიც ახმაურდნენ. ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ბოლოს ძია თური გამოჩნდა. ისეთი გაბრაზებული იყო, რომ ძლივს გავასწარით.

მიუხედავად იმისა, რომ მე და ლენამ ნავი ცხოველებით გავავსეთ, იმ დღეს არც ცისარტყელა გამოჩენილა ცაზე და არც უწვიმია. აი, რა უცნაურობაში აღარ გაეხვევი, როდესაც ისეთი მეზობელი და უახლოესი მეგობარი გყავს, როგორიც ლენაა.

### 4.
### ლეგენდა თბილისზე

ძველად ის ადგილი, სადაც ახლა თბილისია, ტყით იყო დაფარული.

ლეგენდის თანახმად, მეფე ვახტანგ გორგასალი ამ ტყეში ნადირობდა. მეფის მიმინო თავს დასხმია ხოხობს. შემდეგ ორივე ფრინველი მიწიდან ბუნებრივად ამოსულ ცხელ წყალში ჩაცვენილა. მართალია, ხოხობი და მიმინო ვერ გადაარჩინეს, მაგრამ მეფეს ეს ადგილები ძალიან მოეწონა.

ცხელი წყლის და კარგი ადგილმდებარეობის გამო მეფემ გადაწყვიტა:

– ამ ადგილას ავაშენებ ქალაქს, რომელსაც ერქმევა თბილისი.

მალე დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანეს.

იმ ადგილას, სადაც მეფემ ცხელი წყლები აღმოაჩინა, აბანოები გაშენდა – თბილისის ისტორიული უბანი აბანოთუბანი.

დაარსებიდან დღემდე თბილისში სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის ადამიანები ცხოვრობენ.

თბილისი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქია.

## რესურსი 6: ვენის დიაგრამა



# რესურსი 7: ასოების წერა ახალ ბადეზე

ა ა ა ა ა

ბ ბ ბ

გ გ გ

დ დ დ დ დ

ე ე ე ე ე

ვ ვ ვ ვ ვ

ზ ზ ზ ზ ზ

თ თ თ თ თ

ი ი ი ი ი

კ კ კ კ კ

ლ ლ ლ ლ ლ

მ მ მ მ მ

ნ ნ ნ ნ

ო ო ო

პ პ პ პ

ჟ ჟ ჟ ჟ

რ რ რ რ

ს ს ს ს ს

ტ ტ ტ ტ

უ უ უ უ უ

ფ ფ ფ ფ ფ

ქ ქ ქ ქ ქ

ღ ღ ღ ღ ღ

ყ ყ ყ ყ ყ

შ შ შ შ შ

ჩ ჩ ჩ ჩ ჩ

ც ც ც ც ც

ძ ძ ძ ძ ძ

წ წ წ წ

ჭ ჭ ჭ ჭ ჭ

ხ ხ ხ ხ

ჯ ჯ ჯ ჯ

ჰ ჰ ჰ ჰ ჰ